საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №36 (3077) ოთხშაბათი, 10 თებერვალი, 1999 წელი. ფასი სახელშეკრულებო.

ინტეგრაცია

პირველი ვიზიტი თავმჯდომარის რანგში

მეოცე საუკუნის მიწურულს საქართველოში განხორციელებულმა პოლიტიკურმა კურსმა, მასშტაბურმა რეფორმებმა და, რაც მთავარია, ქართველი ხალხის ურყევმა ნებამ, გამხდარიყო ცივილიზებული სამყაროს შემადგენელი ნაწილი, თავისი ასახვა, სწორედ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებაში ჰპოვა – საქართველო ევროპის წევრი სახელმწიფოა. ამიერიდან, იგი სრულიად ახალ სამართლებრივ სივრცეში განაგრძობს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას და მის სახელმწიფოებრიობას უსაფრთხოების თვისობრივად ახალი გარანტიები უზრუნველყოფს. ამასთან ერთად, საქართველო იღებს ყველა იმ ვალდებულებას, რომელსაც მას პლურალისტური დემოკრატია აკისრებს და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალობას აყალიბებს. ამ პროცესში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელია საქართველოს პარლამენტის როლი და ამის ერთ-ერთი დასტურია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალი პრეზიდენტის, ლორდ რასელ-ჯონსტონის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე მოსული წერილიც.

ბატონი რასელ-ჯონსტონი კიდევ ერთხელ ულოცავს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული კენჭისყრის წარმატებულ შედეგს და გამოთქვამს რწმენას, რომ ეს ფაქტი ევროპაში საქართველოს ინტეგრირების და ევროპის საბჭოში საქართველოს აქტიური მონაწილეობის წარმმართველი ფაქტორი იქნება.

იგი მზად არის ეწვიოს საქართველოს, რათა უკეთ გაეცნოს ქართველ ხალხს და ევროპული ოჯახის ახალი წევრი სახელმწიფოს სინამდვილეს. „ეს იქნება ჩემი პირველი ვიზიტი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის რანგში. მე უაღრესად მოხარული ვიქნები, ვიხილო თქვენი ქვეყანა და კიდევ ერთხელ შეგხვდეთ თქვენ“, – ნათქვამია წერილში.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, ლორდი რასელ-ჯონსტონი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით 13 თებერვალს ეწვევა.

კანონმდებლები

პარლამენტის ბიუროს სხდომა

გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელმაც 16-19 თებერვალს პლენარული სხდომის დღის წესრიგზე იმსჯელა.

საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 16 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენებით დაიწყება და ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხება, რის შემდგომ გაიმართება ფრაქციათა ხელმძღვანელების გამოსვლები.

მომავალი კვირის პლენარულ სხდომაზე დაიწყება „საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა. განიხილავენ ისეთ მნიშვნელოვან კანონპროექტებსაც, როგორიცაა „ნავთობისა და გაზის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, დადგენილების პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული ფონდის შესახებ კანონპროექტი“, კიდევ სხვა პროექტები და კონვენციები. ბიუროს სხდომაზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხებიც.

პარლამენტის პრესსამსახური.

პირველად ქართული მასმედიის ისტორიაში!

ახალი ამბების სააგენტო

პრაიმ-ნიუსი

interfax
ИНТЕРФАКС

ინტერფაქსის ოფიციალური და ექსკლუზიური

დისტრიბუტორი

საქართველოში

ტელ: 92 32 14 ფაქსი: 92 32 02
e-mail: pna@pna.com.ge

პრეზიდენტი

ავღანეთის ომის დამთავრებიდან 10 წელიწადი გასულა...

ზუსტად ათი წლის წინათ, 1989 წელს მოხერხდა ავღანეთის ომის დასრულება. ეს თარიღი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც მეოცე საუკუნის მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეები ცივი ომის დასრულებას სწორედ ავღანეთში უსამართლო, ბარბაროსული ომის დასრულებასაც უკავშირებენ.

საქართველოში ამ ათწლეულის აღნიშვნა იმიტომაც არის აუცილებელი, რომ ავღანეთის ომში 5.000-ზე მეტი ჩვენი თანამემამულე მონაწილეობდა. მათგან 150-მდე კაცი დაიღუპა, 300 დაინვალიდდა, 3 დღესაც უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება! ავღანეთის სისხლისღვრის შეწყვეტაში კი ლომის წილი დაიდო სსრ კავშირის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ.

„ავღანელებმა“, უცხო მიწიდან, უცხო ქვეყნის ჯარის ნაწილებიდან დაბრუნების შემდეგ, მეომართა კავშირი ჩამოაყალიბეს და აგერ, მშობლიურ მიწაზე, გუშინ და გუშინწინ, აფხაზეთის ომშიც ვაჟკაცურად იომეს. თუნდაც ერთი ფაქტი: „ავღანელები“ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობას, ჟიული შარტავასთან ერთად ბოლომდე უშიშრად და გმირულად შეაკლეს თავი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას, მასთან ერთად დაიღუპა 23 ქართველი „ავღანელი“, 15 უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ავღანეთის ომი ერთმა მუჭა რუსმა პოლიტიკოსებმა წამოიწყეს. აფხაზეთის კონფლიქტიც ამბიციური რუსი პოლიტიკოსების წაქეზებით გაჩაღდა. სამწუხაროდ, ასევე მოხდა სამაჩაბლოშიც. სამივე შემთხვევაში წაგებული დარჩა ჩვენი ხალხი, უპირველეს ყოვლისა, მებრძოლი ახალგაზრდობა და მერე, მთელი ჩვენი ქვეყანა, გაჩანაგდა ეკონომიკა.

– აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტი რომ არა, საქართველო დღეს სულ სხვა მასშტაბის ქვეყანა იქნებოდა, – გულისტკივილით იტყვის მერე ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ სახელმწიფოებრივი თანადგომის გასაცხადებლად ავღანეთის ომის ვეტერანები და საერთოდ, ქვეყნის ვეტერანთა დეპარტამენტის წარმომადგენლები თავისთან მიიწვია. მისალმების შემდეგ პირველი სიტყვაც მათ დაუთმო.

აკაკი ბორზაძე: – ავღანეთის ომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე:

– დღეს მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ედუარდ შევარდნაძის პრინციპული, შეუვალი პოზიციის წყალობით მოხერხდა ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა. ეს რომ მაშინ არ მომხდარიყო, მსხვერპლი ასჯერ მეტი იქნებოდა. ამისთვის გულწრფელი, ჯარისკაცური მადლობა თქვენ. ვსარგებლობ ჩვენდამი თქვენი კეთილგანწყობით და მინდა გთხოვოთ, რომ დედაქალაქის მერიამ მთაწმინდის რაიონში მდებარე ავღანელთა ოფისის შენობა, როგორც გამონაკლისი, ან გვაჩუქოს, ან გადასახადებისგან გაგვათავისუფლოს; ჩვენს ვეტერანებს უჭირთ

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 9 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს ვეტერანი ფალავნების ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ჭიდაობის განვითარებაში, ახალგაზრდა თაობების აღზრდაში, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევისათვის დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით საქართველოს ვეტერანი ფალავნები:

ზარბეგ ბერიაშვილი – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი;

ჯუმბერ დავლიანიძე – სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი ჭიდაობაში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე;

ოთარ კანდელაკი – მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი ჭიდაობაში, მსოფლიოს თასის გათამაშების პრიზიორი;

გურამ საღარაძე – მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობაში, საერთაშორისო ტურნირების ექვსგზის გამარჯვებული, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე;

გიორგი სხირტლაძე – მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობაში, ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი;

ომზარ შოშიტაშვილი – საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჭიდაობაში;

ლერი ხაბელოვი – ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ჭიდაობაში, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ე. შევარდნაძე.

დღის თემა

წლევანდელი ბიუჯეტი მძიმე, მაგრამ რეალური იქნება

ასე სწამს საქართველოს ფინანსთა მინისტრს დავით ონოფრიშვილს

დავით ონოფრიშვილი დაიბადა 1961 წელს თბილისში. 1984 წელს დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1991 წელს მოსკოვში, სახალხო მეურნეობის პროგნოზირების ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრებისთანავე, დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1993 წელს მუშაობდა ჯერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, შემდეგ – მინისტრთა კაბინეტში წამყვან სახელმწიფო მრჩევლად. 1993-94 წლებში სწავლობდა კოლუმბიის (აშშ) უნივერსიტეტში, სადაც მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ეკონომიკური პოლიტიკის მართვის საკითხებში. 1994-95 წლებში მუშაობდა ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის ექსპერტ-კონსულტანტად. 1995 წლიდან საქართველოს პარლამენტის წევრი და ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარეა. 1998 წლის ნოემბერში დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრად. იცის ინგლისური და რუსული ენები. ჰყავს მეუღლე.

ძალიან მძიმე დროს მოუწია დავით ონოფრიშვილს ფინანსთა მინისტრობამ. უამრავი ოპერატიულად გადასაწყვეტი საკითხი და პრობლემა ასევე უამრავ დროსა და ენერგიას ითხოვს. ამიტომაც გაუჭირდა ამერიკიდან დაბრუნებულ მინისტრს გადატვირთულ სამუშაო გრაფიკში ჩვენი გაზეთის რედაქციის წარმომადგენლებთან სასაუბროდ „ფანჯრის“ გამონახვა. ბოლოს შევთანხმდით შეხვედრაზე და ჩვენი დიალოგიც სწორედ ამერიკულ ვიზიტზე საუბრით დაიწყო.

იხ. მე-3 გვ.

> წლეულს, წლის მეორე ნახევარში დაგეგმილი შემოსავლის მიღებისა და დავალიანებათა გასტუმრების კვალობაზე, განზრახულია ხელფასების ათპროცენტიანი ზრდა.

პერსპექტივა

ანაკლია ხვალ



გასული იანვრის ბოლოს მართლაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა. საქართველო სანავსადგურო პოტენციალის განვითარების შესახებ მისმა განკარგულებამ, რომელიც არსებული ნავსადგურების რეკონსტრუქცია-განვითარების ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს ანაკლიის ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობასაც, ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ სასიამოვნო ამბავმა, ცხადია, ყველაზე მეტად სამეგრელოში გაიჟღერა და საყოველთაო განსჯის თემად იქცა.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

ეროვნული თანხმობისაკენ

გუშინ ჟურნალისტთა სახლში საინიციატივო ჯგუფისა და ჟურნალისტთა ფედერაციის ინიციატივით განახლდა ეროვნული თანხმობის დარბაზის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა დარბაზის თავმჯდომარე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა. მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ სურმანიძე, სახალხო დამცველი დავით სალარიძე, პარლამენტარები, პარტიებისა და მოძრაობების ხელმძღვანელები, მეცნიერები, ჟურნალისტები.

სიტყვით გამოსულებმა მხარი დაუჭირეს ეროვნული თანხმობისაკენ გზების ძიების აუცილებლობას, ამასთან, გამოთქვეს მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ.

მორიგი სხდომა მომავალ ოთხშაბათს გაიმართება, რომელზეც მომავალ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ.

„ბრწყინვალე რეჟისორული ნამუშევარი“

28 იანვრიდან 8 თებერვლამდე ნიუ-იორკის ახლადგახსნილ კულტურის ცენტრში მიმდინარეობდა კინოფესტივალი დევიზით: „ქალის თვალთახედვა – ბოლო 20 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფილმები“.

კინოფორუმზე აჩვენეს ის 20 ფილმი, რომლებმაც „კვალი დააჩნიეს მსოფლიო კინოს განვითარებას“. მათ შორის იყო ქალბატონ ლანა ღოღობერიძის ნამუშევარი „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“. ეს ფილმი ფესტივალის მონაწილეებმა და ნიუ-იორკის წამყვანმა კინომცოდნეებმა შეაფასეს, როგორც „ლანა ღოღობერიძის ბრწყინვალე რეჟისორული ნამუშევარი“. მაყურებლებით გადაჭედილმა დარბაზმა ფილმი შესანიშნავად მიიღო.

სურათის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია ქართველი რეჟისორის ნამუშევრის გამო, რომელიც ორ საათს გრძელდებოდა. ქალბატონმა ლანამ უპასუხა ჟურნალისტების მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

სამხედრო ატაშეებმა თავდაცვის მინისტრს დახმარება აღუთქვეს

გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ საქართველოში აკრედიტებული საელჩოების სამხედრო ატაშეები მიიღო. მინისტრმა მათ არმიაში არსებული ვითარება გააცნო და შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების თაობაზე ესაუბრა. შეხვედრის დასასრულს სამხედრო ატაშეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ გამოიყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, რათა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას არმიის რეფორმებისკენ მიმართულ ძალისხმევაში.

სატრანსპორტო დერეფნების განვითარებისთვის

1999 წლის მაისში პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ევროპის ტრანსპორტის მინისტრების კონგრესის სხდომა გაიმართება, რომელზეც ხელს მოაწერენ ურთიერთგაგების მემორანდუმს. ივნისში კი თბილისი უმასპინძლებს შავი ზღვის პანევროპული სატრანსპორტო არეალის კომიტეტის პირველ სხდომას.

„საქართველო მხარს უჭერს რუსეთის გადაწყვეტილებას მე-2 და მე-9 ევროპული სატრანსპორტო დერეფნების განვითარების შესახებ“, – აღნიშნა საქართველოსა და რუსეთის ტრანსპორტის მინისტრების მერაბ ადეიშვილისა და სერგეი ფრანკის გუშინდელ შეხვედრაზე. მხარეები შეთანხმდნენ განავითარონ თანამშრომლობა შავი ზღვის პანევროპული სატრანსპორტო არეალის პროექტის რეალიზაციის საკითხში.

შევინარჩუნოთ ძველი თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ექსპერტები მსოფლიო ბანკის, ევროსაბჭოსა და ჰოლანდიის მთავრობის მიერ მოვლენილი სპეციალისტების დახმარებით უკვე 2 წელია, რაც მიწისქვეშა წყლების პრობლემაზე მუშაობენ. „მათ მიერ ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგები საფუძვლად დაედება საკონსერვაციო გეგმის მომზადებას, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიის შემუშავებას ძველი თბილისის შენარჩუნების მიზნით“, – განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დირექტორმა დავით ნინიძემ.

სოხუმის ცენტრში ყუმბარებს ისვრიან

8 თებერვალს დილის 4 საათზე სოხუმში ყუმბარმტყორცნიდან ცეცხლი გაუხსნეს სეპარატისტთა შინაგან საქმეთა სამინისტროს გვერდით მდებარე გაუქმებულ საბავშვო ბაღს. მსხვერპლი არ არის, მაგრამ ტერორისტს ოდნავ ზემოთ რომ დაემიზნებინა, ყუმბარა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ვალერი ლაგვილავას კაბინეტს მოხვდებოდა.

მესამე ძალის ჩაურევლადაც შეიძლება მოლაპარაკება

„აფხაზებს და ქართველებს მშვენივრად შეუძლიათ მოლაპარაკება მესამე ძალის ჩაურევლად“ – განაცხადა აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ იოსელიანმა.

იგი თვლის, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების დატოვება ამ ტერიტორიაზე მიზანშეწონილი არ არის იმ რეჟიმში, რომელშიც ისინი ამჟამად იმყოფებიან.

აფხაზთა დელეგაცია თბილისში ხვალ ჩამოდის

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკოორდინაციო საბჭოს მორიგ სესიაში მონაწილეობის მისაღებად აფხაზთა დელეგაცია, რომელსაც სოხუმის მთავრობის პრემიერ-მინისტრი სერგეი ბაგაფში მეთაურობს, თბილისში ხვალ ჩამოვა.

რუსთავის მაცხოვრებლებს ანადუღარი წყლის სმას ურჩევენ

რუსთავის სასმელი წყლის მიღება კვლავ საშიშია ჯანმრთელობისთვის. ქვემო ქართლის სანიტარიული ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის დავით კვეზერელის თქმით, მე-17, მე-19 და მე-20 მიკრორაიონებში სასმელი წყლის მიღება მხოლოდ ადუღების შემდეგ შეიძლება.

„ელექტროენერგიის არასტაბილური მიწოდება დაქლორვის რეჟიმს არღვევს, რაც უარყოფითად მოქმედებს წყლის ხარისხზე“, – აღნიშნა დავით კვეზერელმა. სათავე ნაგებობებზე ელექტროენერგიის სტაბილურად მიწოდება კვლავ პრობლემაა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, გეამ, პრაიმ-ნიუსმა.

უკანასკნელ საათს

გუშინ პარიზის რამბუიეს გარეუბანში გაგრძელდა კონფერენცია კოსოვოში ვითარების მოწესრიგების თაობაზე, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის საკითხთა საკონტაქტო ჯგუფის ინიციატივით გაიმართა.

გუშინ, გროზნოში, პრეზიდენტ ასლან მასხადოვის თავმჯდომარეობით გაიმართა რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პირველი სხდომა. ყოფილმა საველე მეთაურებმა კი შექმნეს ალტერნატიული ისლამური სახელმწიფო საბჭო და მასხადოვს გადადგომისკენ მოუწოდეს, რადგან შარიათი არც პარლამენტს ითვალისწინებს და არც პრეზიდენტს.

ირანის სახელმწიფო უმიშროების მინისტრი დორი ნაჯაფაბადი გუშინ თანამდებობიდან გადადგა, რისი მიზეზიც გახდა პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერების მკვლელობასთან სამინისტროს თანამშრომლების კავშირის გამო ამტყდარი სკანდალი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 9 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.5855 ლარი
გერმანული მარკა	1	1.2608 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1951 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3759 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0647 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0946 ლარი.

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა, მთაში თოვლი. დასავლეთის ქარი 8-13 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +1+6; დღისით +8+13.
მთაში: ღამით -3+2; დღისით +2+7.
მაღალ მთაში: ღამით -2-7; დღისით -2+3.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა, მთაში თოვლი. დასავლეთის ქარი 10-15, ზოგან 17-22 მეტრი წამში.

ბარში: ღამით 0+5; დღისით +8+13.
მთაში: ღამით: -2+3; დღისით +5+10.
მაღალ მთაში: ღამით -4-9; დღისით 0+5.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 17-22 მეტრი წამში.

ღამით +2+4; დღისით +11+19.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

გვწერენ

ჩვენი ავ-კარგი

ქალბატონი ნანა გურამშვილი მესტუმრა და მთხოვა ინტერვიუ გაზეთ „დრონისათვის“. საუბარი გამოქვეყნდა ამა წლის 2 თებერვალს.

მე კმაყოფილიც ვარ და უკმაყოფილოც. საუბარი ხანგრძლივი იყო. პრეზიდენტიც ვახსენეთ ორიოდ სიტყვით. მისი ავტორიტეტის მეოხებით ჩვენი ქვეყნის ევროპის საბჭოს წევრად დამტკიცება დიდმნიშვნელოვან მოვლენად მივიჩნიე. ვილაპარაკეთ, აგრეთვე, საქართველოს პატრიარქზე. 15 იანვარს მე და მეუღლე დაგვპატიჟა რეზიდენციის სააქტო დარბაზში მიმდინარე დიდმეცნიერთა ბჭობაზე. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ილია ჭავჭავაძის წმინდანად აღიარება უკვდავყოფს-მეთქი პატრიარქის სახელს.

არც ერთი და არც მეორე გაზეთში არ დაიბეჭდა. რატომ?

მახსენდება მომაკვდავი გიორგი მეფის სიტყვა კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა“: „მტერი აურაცხელი გვყავს და ჩვენს სიმცირეს მიგტირით მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც ყვავები დაკოდილ ძერას“.

დავანებოთ თავი ერთმანეთის კორტნას. ზნეობრივმა სიმტკიცემ და ერთსულოვნებამ უნდა დააჩქაროს ჩვენი ერის აღორძინება.

ვახტანგ ტაბლიაშვილი.

ამბობენ, მართალია?

საიდან შეგაქანათ?

მოსალოდნელი მიწისძვრის შესახებ გუშინ გავრცელებულმა ჭორმა თბილისის მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. რუსთავში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და საბავშვო ბაღები დაიხურა. ზოგიერთმა თბილისელმა „იგრძნო“ კიდეც მიწისქვეშა ბიძგები. თუმცა, ჩვენი თანამოქალაქენი უფრო შიშით შექანდნენ.

მოსვენებადაკარგულ ხალხს, ბუნებრივია, აინტერესებს რამდენად მართალია გავრცელებული ხმები.

– მოსალოდნელი მიწისძვრის შესახებ თბილისში გავრცელებული ხმები სინამდვილეს არ შეესაბამება, – თქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიური ობსერვატორიის ხელმძღვანელმა ავთანდილ ახალბედაშვილმა, – მსოფლიოში, ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი სამსახური, ან ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მიწისძვრის პროგნოზირება, მით უმეტეს – დროის ასეთი სიზუსტით. ერთადერთ მეთოდად სტატისტიკური მონაცემების დამუშავება რჩება, მაგრამ მისი მეშვეობით მიწისძვრის განსაზღვრა საკმაოდ რთულია.

გაზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

ბიბლიოთეკა

პრეზიდენტი

ავღანეთის ომის დამთავრებიდან 10 წელიწადი გასულა...

(პირველი გვერდიდან)

ბიზნესში ჩართვა. იქნებ, უცხოური ინვესტიციების მცირე ნაწილი ჩვენც გადმოგვეცეს; გვყავს რამდენიმე გმირულად დაღუპული და დაინვალიდებული, რომლებსაც სახელმწიფო ჯილდოები არ მიუღიათ. თუ ნებას მოგვცემთ, მათ სიას უახლოეს დღეებში წარმოგიდგენთ.

ნოდარ გიორგაძე – ქართველ „ავღანელთა“ კავშირის საპატიო თავმჯდომარე, ომების ვეტერანთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური დელეგატი, ვეტერანთა მუდმივი წარმომადგენელი გაეროს ევროსტრუქტურებში:

– საერთო გაჭირვების მიუხედავად, საქართველოს „ავღანელთა“ კავშირი მაინც ახერხებს თანამებრძოლების, განსაკუთრებით, ინვალიდების და ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებას. ბუნებრივია, თანხები გვიჭირს, მაგრამ გვაქვს რამდენიმე პროგრამა, მათ შორის, ბიზნეს-გეგმაც, რომელთა განხორციელება ძალიან წაგვადგება. სწორედ ამ გეგმების განხორციელებაში გვჭირდება სახელმწიფოს თანადგომა... ბატონო პრეზიდენტო, თუ თქვენი სურვილიც იქნება, მსოფლიო ვეტერანთა ფედერაციას წლეულს, შემოდგომაზე განზრახული აქვს საქართველოში ომების ვეტერანთა მსოფლიო კონგრესი მოაწყოს. თუ ეს მოხერხდა, ჩვენ შევეცდებით ეს კონგრესი ჩვენი ვეტერანების სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

ვაჟა დუმბაძე – ქართველ „ავღანელთა“ აჭარის რეგიონული განყოფილების თავმჯდომარე:

– აჭარიდან 500-ზე მეტი კაცი ვიბრძოდით ავღანეთში. ადგილობრივი ხელისუფლება, შესაძლებლობის მიხედვით, დიდ პატივს მოგვაგებს. „ავღანელები“ გათავისუფლებული ვართ კომუნალური გადასახადებისგან, თვეში ერთ ბალონ გაზს უფასოდ გვაძლევენ, ჩვენი ბიჭების დასაქმებაშიც გვეხმარებიან, ბევრი სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობს. ჩვენი სახსრებით საუწყებო საცხოვრებელი სახლის მშენებლობაც წამოვიწყეთ, მაგრამ ბოლო წლებში უსახსრობის გამო შევწყვიტეთ. ბათუმური წვიმა ნელნელა შლის აგებულ კედლებს. იქნებ, მოგვიხერხოთ სახელმწიფო სესხი, რომ სახლი ბოლომდე მივიყვანოთ და ასობით „ავღანელის“ გული გავახაროთ.

გიორგი ციციშვილი – საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე:

– ჩვენი დეპარტამენტი პირველია მსოფლიოში, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი ვეტერანთა დეპარტამენტი თვითანგარიშზეა. ჩვენი ვეტერანებისადმი ასეთი მზრუნველობა საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის დამსახურებაა. ამას კარგად ხედავენ „ავღანელებიც“ და შესაძლებლობის მაქსიმუმსაც აკეთებენ ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსაყვანად. ბევრი მუშაობს, მაგრამ მთავარი საქმე, რომელსაც ჩვენ ხვალ და ზეგ უნდა დავეყრდნოთ, ავღანელთა საბრძოლო გამოცდილებაა. მოგეხსენებათ, ღირსეული რეზერვის გარეშე ქართული ჯარი ვერ შეიქმნება. ავღანელები რაინდული სულისკვეთების, ყოველმხრივ სანდო რეზერვისტები არიან. დიდი მადლობა მათ.

ქართველ „ავღანელებს“ მიესალმა ავღანეთის ვეტერანთა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი **გიორგი ჯაყელი**.

ვეტერანებს ყოველმხრივი თანადგომა აღუთქვა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა **ვაჟა ლორთქიფანიძემ**.

შეხვედრის შედეგები შეაჯამა საქართველოს პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ**:

– ვიეტნამის და ავღანეთის ომზე უსამართლო ომი ძნელი წარმოსადგენია, – თქვა მან, – ვიეტნამის ომში მონაწილე ამერიკელ ჯარისკაცს, როგორც სახელმწიფო ინტერესების დამცველს, დღესაც უდიდეს პატივს მიაგებენ, მით უფრო, ომში დაღუპულთა ოჯახებს. ასეა, ყველა ჯარისკაცი პატივისცემის ღირსია, ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ, ჯერჯერობით, არა გვაქვს საშუალება პრაქტიკულად უფრო მეტად დავეხმაროთ ვეტერანებს. ავღანეთის ომის მონაწილენი ყველანი ახალგაზრდები ხართ, მაგრამ, ხომ ხედავთ, მაინც ვეტერანებს გიწოდებთ...

მე უნდა ვთხოვო ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს, – თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, – მისი ხელმძღვანელობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც ავღანეთის ომის მონაწილეებისადმი, საერთოდ, ომების მონაწილეებისადმი, განსაკუთრებით კი – დაინვალიდებული ბიჭებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისადმი სახელმწიფოებრივ ზრუნვას გააძლიერებს.

აქ „ავღანელთა“ ოფისის საკითხი დაისვა. მე დარწმუნებული ვარ, რომ დედაქალაქის მერი ვანო ზოდელავა, ჩემი თანადგომით, ამ პრობლემის მოგვარებას შეძლებს. ქვეყნის რეგიონებშიც შეიძლება საქმის გამოსწორება. რაიონებს ახლა საკუთარი ბიუჯეტი აქვთ და ამ ბიუჯეტიდან რაღაც ნაწილი სწორედ ვეტერანებს უნდა დაეთმოს. არსებობს ვეტერანთა დახმარების სახელმწიფო პროგრამაც. ამ პროგრამიდან „ავღანელებსაც“ თავიანთი წილი ეკუთვნით. ყოველმხრივ მივესალმები იმას, რაც აჭარაში კეთდება. აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის და ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ხელმძღვანელის დამოკიდებულება ვეტერანებისადმი სამაგალითოა. სრულიად სერიოზულად უნდა ვიფიქროთ საინვესტიციო პროგრამების და ბიზნეს-გეგმების განხორციელებაზე... მივესალმები ვეტერანთა მსოფლიო კონგრესის საქართველოში გამართვის იდეას, მაგრამ მასშტაბი უნდა განვსაზღვროთ. თუ მსოფლიოს ვეტერანთა ფორუმზე იქნება ლაპარაკი, ამას საერთაშორისო ორგანიზაციების დაუხმარებლად ვერ შევძლებთ. ყველაზე კარგია, თუ კავკასიის ვეტერანთა შეხვედრას მოვაწყობთ. „ავღანელებს“ მართლაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ მშვიდობიანი კავკასიის პრობლემის გადაწყვეტაში. მშვიდობიანი კავკასია ლამის მთელი მსოფლიოს, მათ შორის, ჩვენი უპირველესი ოცნებაა.

რაც შეეხება ღირსეულთა დაჯილდოებას, თქვა ბოლოს პრეზიდენტმა, ეს საკითხი გადაწყვეტილად ჩათვალეთ. ყველა, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებს, სახელმწიფო ორდენისა და მედლის გარეშე არ დარჩება.

პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა საქმიანი, გულახდილი შეხვედრისათვის და ვეტერანებს მშვიდობიან, გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრება უსურვა.

სპარტაკ ძოგულია.

კანონმდებლები

განიხილავენ 1999 წლის ბიუჯეტის პროექტს

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტში განიხილეს „საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“ პროექტის ძირითადი პარამეტრები. ქვეყანაში ძალოვანი სტრუქტურებისათვის გამოყოფილ თანხებზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ისაუბრა. სხდომას ამ სტრუქტურების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომელთაც თავიანთ გამოსვლებში მიმდინარე წლის სახელმწიფო დაფინანსება არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, შარშანდელ ბიუჯეტში შეიარაღების, თავდაცვის, საზღვრების დაცვისა და სხვა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოყოფილი იყო 53 მლნ 631 ათასი ლარი. წელს კი – 67 მლნ ხუთასი ათასი ლარია. რევაზ ადამიას აზრით, თანხის რაოდენობა, პრაქტიკულად იგივე დარჩა, ხოლო ლარის დევალვაციიდან გამომდინარე, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მისი უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად ახალ ბიუჯეტში ორჯერ ნაკლები თანხა არის გათვალისწინებული, რაც სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოებასა და ქართული ჯარის ნორმალურ ფუნქციონირებასთან პირდაპირ კავშირშია.

რევაზ ადამიას განცხადებით, საპარლამენტო კომიტეტი ქვეყანაში შექმნილ რთულ ფინანსურ მდგომარეობას გაგებით ეკიდება, თუმცა ამ სფეროსათვის თანხის დაკლება, კომიტეტის წევრთა აზრით, ყოვლად დაუშვებელია. მისივე თქმით, ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტში თანხები საჭიროებისდა მიუხედავად უნდა გადაანაწილოს, და არა იმის მიხედვით, თუ რომელი უწყება უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვს მათგან დაფინანსებას, რადგან კომიტეტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ბევრი სამინისტრო და დეპარტამენტი მათთვის განკუთვნილ ფინანსურ რესურსებს არამიზნობრივად მოიხმარს.

სხდომის დასასრულს გადაწყდა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა ფინანსთა სამინისტროსა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად, ბიუჯეტის პროექტის პარლამენტისათვის წარდგენამდე, დაფინანსების მათთვის მისაღები ვარიანტი შეიმუშაონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საპარლამენტო კომიტეტი თანხების ასეთ გადანაწილებას მხარს არ დაუჭერს, განაცხადა რევაზ ადამიამ.

* * *

პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში ბიუჯეტის პროექტის განხილვისას კომიტეტის თავმჯდომარის როზა ლორთქიფანიძის განცხადებით, აგრარული სექტორი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სახელმწიფოსგან. სოფლის მეურნეობის სისტემას ესაჭიროება ის აუცილებელი მინიმუმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ სფეროში დარგების ნორმალურ ფუნქციონირებას და რეფორმების ეტაპობრივი თანმიმდევრობით განხორციელებას.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთვის ბიუჯეტის პროექტით 17,7 მლნ ლარია გამოყოფილი. აქედან 1,7 მლნ ჩაის რეაბილიტაციის პროგრამისათვის არის გათვალისწინებული. ევროკომისიის წარმომადგენლის ბერნარ გიერმანის განმარტებით, სამინისტროს რეფორმების გაგრძელებისათვის 17 მლნ ლარი სჭირდება, რომელშიც ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა არ იქნება ჩადებული.

ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ბიუჯეტი მაქსიმალურად შეზღუდულია. სიტუაციას გასული წლის დავალიანებებიც ართულებს. მიუხედავად ამისა, სამინისტრო ყველანაირად ეცდება დააკმაყოფილოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საბიუჯეტო განაცხადი.

პარლამენტის პრესსამსახური.

რეაქცია

ვინ დგას შურმანის ეკალივით გაზეთსა და მკითხველს შორის?

ამას წინათ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტმა ზაზა ცოტნიაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა.

ლტოლვილი მეცნიერის ამ წარმატების თაობაზე პუბლიკაცია დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“.

– გილოცავ, ზაზა. ძნელი იყო დაცვა?

– ბუნებრივია, ძნელი იყო. მაგრამ კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა გორში „საქართველოს რესპუბლიკის“ იმ ნომრის შეძენა, რომელშიც დისერტაციის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა.

ზაზა ცოტნიაშვილთან ერთად ჩამოვიარე ქალაქის საგაზეთო ჯიხურები. ადრე აქ მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებით ვაჭრობდნენ. ახლა „ასორტიმენტი“ გაუზრდიათ: მზესუმზირა, სალეჭი რეზინები, საპარსი, სნიკერსი, ქალის პერანგი თავისი ამხანაგით...

– ჟურნალ-გაზეთებით აღარ ვაჭრობთ?

– მა ეგ რა არის?! „სექსი“, „სიყვარულის წვრილმანები“, „სექსი და პოლიტიკა“, „სიძე-სიდედრი“, „ინტიმი“. ზოგი ქართულია, ზოგიც – რუსული. ადრე კარგი გასავალი ჰქონდა. ახლა ხამუშ-ხამუშ თუ მოიკითხავენ.

– „საქართველოს რესპუბლიკა“ გაქვთ?

– არ მოაქვთ. შეკვეთითაა. რამდენსაც მოითხოვ, მოგიტანენ. ოღონდ უკან ველარ ჩააბარებ. თუ ვერ გაყიდე, შენი ფული უნდა დადო. უკან რომ იბრუნებდნენ, კარგია, გაზეთიც მუდამ გვექნებოდა, მკითხველიც კმაყოფილი გვეყოლებოდა.

* * *

მირეკავს საზოგადოება „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის მესამე საშუალო სკოლის დირექტორი როზალია ჯავახიშვილი.

– კარგი ღონისძიება მოვაწყვეთ: ხაშურში უდედმამო და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებთან ვიყავით, კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, სასკოლო სახელმძღვანელოები ჩავუტანეთ, „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოხმაურებია ჩვენს აქციას, მაგრამ რად გინდა?! ვერსად ვშოულობთ იმ ნომერს, ჩვენც რომ წავიკითხოთ. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმაროთ.

და მეც ვეხმარები მას, ისევე, როგორც ზაზა ცოტნიაშვილს მივეხმარე, ანუ ვათხოვებ ჩემს გაზეთს, ისინი მათთვის საინტერესო მასალებს ქსეროქსზე გადაიღებენ, მე გაზეთს დამიბრუნებენ, მათ კი საგაზეთო პუბლიკაციების ქსეროასლები დარჩებათ.

და ეს ხდება დღევანდელ საქართველოში, შიდა ქართლში, მესამე ათასწლეულის ზღურბლზე. ასეთი ტანჯვა-წამებით ხომ თავის დროზე „ისკრაც“ არ ვრცელდებოდა?!

რაშია საქმე, ვინ ულობავს „საქართველოს რესპუბლიკას“ თავის მკითხველებთან მისასვლელ გზებს?

„იქნებ, გორსაც მივხედოთ?“ ამ სათაურით „საქართველოს რესპუბლიკამ“ დასტამბა გაზეთის გორელი მკითხველის რამაზ ტატინაშვილის რეპლიკა – „საქართველოს რესპუბლიკა“ გორში არ მოაქვთ, არ იყიდება, მეტიც, ხალხი გადაეჩვია ჯიხურებში ამ გაზეთის ყიდვასო.

8 თებერვალს „საქპრესის“ გორის ფილიალში (დირექტორი – მურად სამადალაშვილი) გაიმართა თათბირი, რომელზეც გაზეთის გავრცელების საკითხებზე იმსჯელეს, ჯიხურის გამყიდველებმა. ამასთან დაკავშირებით ბევრი საქმიანი წინადადება და შენიშვნა გამოთქვეს. მთავარი, მათი აზრით, ის არის, რომ გაზეთები დედაქალაქიდან უნდა მოდიოდეს შეკვეთის გარეშე და გაუყიდავ ეგზემპლარებს უკან უნდა იბრუნებდნენ. და, რა თქმა უნდა, გაზეთების გავრცელებაში გამყიდველები მატერიალურად უნდა დააინტერესონ.

აგეტირება კაცს, ისეთი მდგომარეობაა ქ.გორში „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა-გაყიდვაში. გამოწერილია სულ 19 გაზეთი, ჯიხურებში 60-ათასიან ქალაქში სულ ორი ცალი გაზეთი მოდის (!). „საქართველოს რესპუბლიკას“ ჯერჯერობით არ იღებენ შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში. ცუდი მაგალითი რომ გადამდებია, გორის რაიონის გამგეობის გაზეთების გამოწერისადმი დამოკიდებულებიდანაც ჩანს. გაზეთი, რომელიც მათ ყოველი ფეხის ნაბიჯზე სჭირდებათ, წლეულს არ გამოუწერიათ და დღემდე ჯიუტად არიდებენ თავს მის გამოწერას. ის კი არა, ჯერ შარშანდელი ვალი – 1800 ლარიც არ დაუფარავთ. საით იხედება გამგეობის ეკონომიკური სამსახური?! სამაგიეროდ გამგეობისა და სამხარეო სტრუქტურების ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი არ იშურებს ფულს საეჭვო რეპუტაციის გაზეთების გამოსაწერად.

გემოვნებაზე არ დაობენ.

ყველა გაზეთი თავისი მკითხველის ღირსია, ისევე, როგორც ყველა მკითხველი – მის მიერ ნაყიდი გაზეთისა.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

რედაქციისაგან: „არ მოაქვთ, შეკვეთითაა. რამდენსაც მოითხოვ, მოგიტანენ“. – გაზეთების გამყიდველის ამ სიტყვებით თითქმის ყველაფერია ნათქვამი. მუდამ მზად ვართ დავბეჭდოთ და გამავრცელებლებს შეუზღუდავად მივაწოდოთ იმდენი გაზეთი, რამდენსაც მოითხოვენ. მეტიც – სწორედ შეკვეთის გაზრდას ვთხოვთ და მოვითხოვთ კიდეც მათგან დღენიადაგ. მაგრამ ვინ უნდა შეისწავლოს ადგილებზე რეალური მოთხოვნა და შეგვიკვეთოს საჭირო რაოდენობა, თუ არა გამავრცელებელმა – შპს „საქპრესამ“, მისმა საქალაქო და რაიონულმა ფილიალებმა? რაც შეეხება გაუსაღებელი გაზეთების უკან დაბრუნებას, თუ ადგილებზე მუშაობის გააქტიურებით რეალიზაცია მოიმატებს, ჩვენც მზად ვართ საგრძნობლად გავზარდოთ „საქპრესასთან“ დადებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არარეალიზებული გაზეთების დაბრუნების პროცენტული მაჩვენებელი.

მცირე ბიზნესი

„ყოველმხრივ ვიწონებ გადამხდელთა კავშირის ინიციატივას“

ეს სიტყვები, რომლებიც ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის, ქვეყნის პრეზიდენტმა მაშინ წარმოთქვა, როცა გადამხდელთა კავშირის მორიგ საინიციატივო წერილს გაეცნო. იქვე მიაწერა: „დ. ონოფრიშვილს, თ. ბასილიას. მოიფიქრეთ, როგორ, რა გზებით გამოვხატოთ მხარდაჭერა (უცხოური წყაროების ჩათვლით)“.

ფაქტობრივად, ეს უკვე მხარდაჭერაა, რასაც ჩვენი გადამხდელები, – იგივე მეწარმეები კარგახანია ნაგვალავზე ღრუბლის გამოჩენასავით ელიან. „გვალვა“ კი მათ კარგახანია უდგათ უსახსრობის გამო. დღეს საქართველოში უამრავ ადამიანს, უამრავ მოქალაქეს სურს წამოიწყოს მცირე ბიზნესი, საოჯახო თუ მომსახურების სფეროს ბიზნესი, მაგრამ რადგან არა აქვს ხუთი, ათი, ოცი ათასი ლარი და არც ბანკში გარანტად ჩასადები ქონება, იძულებულია გულხელი დაიკრიფოს და ღმერთისგან ბოძებულ სიკეთეს დაელოდოს. ხოლო ის, ვინც მაინც ახერხებს ამა თუ იმ სახის მცირე ბიზნესში ჩაბმას, უკიდურესად შეჭირვებულია და ხშირად კოტრდება კიდეც.

და რადგან ბიზნესს უჭირს, ბუნებრივია, უჭირს ქვეყანასაც, რომელიც ბოლო პერიოდში სერიოზული შიდა, გარე თუ გლობალური პროცესების შედეგად, საბიუჯეტო-საფინანსო კრიზისმა მოიცვა. სახეზეა ეკონომიკური კრიზისის ნიშნებიც.

როგორ დავაღწიოთ თავი შექმნილ სიტუაციას? ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ხელი უნდა მოვკიდოთ ეროვნული ეკონომიკის, მცირე ბიზნესის განვითარებას. ყველასთვის ცხადია, ის ქვეყნები, რომელთაც ძლიერი ეროვნული ეკონომიკა, ძლიერი საშუალო ფენა და მცირე ბიზნესის ჯანსაღი სპექტრი აქვთ, გლობალურ საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისებს შედარებით იოლად უმკლავდებიან.

ეს კარგად ესმის გადამხდელთა კავშირს, რომელიც ეროვნული ეკონომიკის აღორძინების პლატფორმაზე დგას და ქვეყნის მმართველი ძალების წინაშე გადასაწყვეტად და მხარდასაჭერად უამრავ საჭირბოროტო პრობლემას აყენებს. ერთი ამ პრობლემათაგანია მცირე ბიზნესი, რომლის განვითარება შექმნის კეთილმყოფელ ფონს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის, ხალხის მატერიალური და სულიერი ამაღლებისათვის.

გადამხდელებს, მეწარმეებს მიაჩნიათ, რომ დღემდე ამ მიმართულებით სახელისუფლებო თუ სხვა სახის ინსტიტუტების საქმიანობა არასაკმარისი და არაეფექტიანია. მათი აზრით, ამას, ერთი მხრივ, განაპირობებს ობიექტური წანამძღვრები, ფინანსური რესურსების უკმარისობა, ხოლო, მეორე მხრივ, მიდგომების სტერეოტიპულობა და პროცესის თანმდევი ნეგატიური დანაშრევები.

გადამხდელთა კავშირს, რომელიც თავისი არსით მასობრივი საზოგადოებრივი გაერთიანებაა, ამ პრობლემების ირგვლივ ხშირად მიმართავენ მოქალაქეები, რომლებიც ბიზნესის დასაწყებად მოითხოვენ დახმარებას, აქვთ საქმიანი წინადადებებიც, მაგრამ... პოდა, ეს წინადადებები მხოლოდ სურვილებად რომ არ დარჩეს, **გადამხდელთა კავშირთან შეიქმნა მცირე ბიზნესის განვითარების საბჭო, რომელიც პრეზიდენტის თანხმობისა და სპეციალური განკარგულების შემთხვევაში, მზადაა შეიმუშაოს საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა პროგრამა, და არა მარტო პროგრამა შეიმუშაოს, მისი რეალიზაციის კონკრეტული მექანიზმებიც მიუთითოს, თუ საჭირო გახდა, საკანონმდებლო და აღმასრულებელ სახელისუფლებო შტოებთან ერთად, მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ფინანსური რესურსებიც მოიძიოს. თანაც ყოველივე ამას გააკეთებს სრული საჯაროობის პრინციპების დაცვით.**

ვერაფერს იტყვი. მშვენიერი ინიციატივაა, რომელსაც პრეზიდენტი ყოველმხრივ იწონებს და მხარს უჭერს. ახლა საჭიროა სახსრების გამოძებნა (როგორც ადგილობრივი, ისე უცხოურის) და ხელის განძრევა, რათა მცირე ბიზნესმა საქართველოს ეკონომიკაში თავისი ადგილი დაიმკვიდროს. თუ ეს მოხდა (და უეჭველად უნდა მოხდეს), შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ქვეყანა ნელნელა, მაგრამ საბოლოოდ წელში მაინც გაიმართება.

ოთარ ხუციშვილი.

პარტიების აზრი

პასუხისმგებლობაც და უფლებამოსილებაც

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი დავით ტყეშელაშვილი.

– ბატონო დავით, ევროსაბჭოში საქართველოს გაერთიანებაზე უკვე ბევრი ითქვა. თქვენ წილად გხვდათ ბედნიერება ყოფილიყავით ჩვენი ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის მომსწრე, უშუალოდ თვითმხილველი...

– ეს ნამდვილად დიდი ბედნიერება იყო. ერთი მხრივ, ეს იყო სუფთა ემოციური გრძნობა, რომელიც თითოეულმა ქართველმა, ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ განიცადა ამ გადაწყვეტილების მიღებისას. საუბარია საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყნის სწრაფვაზე, გამხდარიყო ერთიანი ევროპული ოჯახის შემადგენელი ნაწილი და ამ ოცნების რეალობად ქცევაზე. მეორე გახლავთ შეგრძნება იმ პასუხისმგებლობისა, რომელიც მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, პარლამენტის წევრს დამეუფლა.

– საქართველომ უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა დემოკრატიული, სამართლებრივი, ევროპული სტანდარტების სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის. მაგრამ პრობლემები კვლავ რჩება. არადა, ამ ორგანიზაციის წევრობა, ალბათ, უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეული ეტაპი ჩვეულებრივ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების გზაზე.

– პრობლემები მართლაც ბევრი გვაქვს – კორუფციის საკმაოდ მაღალი დონე, ჩვენი თანამოქალაქეების, ხშირ შემთხვევაში, სოციალური დაუცველობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სხვა. ყველა უახლოეს მომავალში გადაწყვეტას ითხოვს. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წინ მივდივართ. ალბათ, ეს იყო საწინდარი, გარანტი იმისა, რომ ყველა დეპუტატმა ერთხმად დაუჭირა მხარი ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებას. საქართველო, მრავალი პრობლემის მიუხედავად, დღეს უკვე აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც ამ ევროპულ სტრუქტურაში გაწევრიანებისათვის არის საჭირო.

– საქართველო ჯერჯერობით ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც კავკასიის რეგიონიდან მიიღეს ამ გაერთიანებაში.

– დიახ, და ალბათ, სწორედ ჩვენ უნდა ვიყოთ პირველი მხარდამჭერი უახლოეს მომავალში ამ ორგანოში ჩვენი მეგობარი და მეზობელი სახელმწიფოების – სომხეთისა და აზერბაიჯანის გაწევრიანებისა.

ერთი რამ ცხადია, – ევროპის საბჭოში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანება კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და გეოპოლიტიკური მდგრადობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უნდა გახდეს.

ესაუბრა
მზია გელენავა.

ჯანდაცვა

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

ერთად ვიზრუნოთ უკეთესი ჯანმრთელობისათვის

მიმდინარეობს ექიმთა სერტიფიკაცია

მარტო „მეანობა-გინეკოლოგიისა და პერინატალური მედიცინის“ სპეციალობებში დღეისათვის ჩატარებულია 10 გამოცდა, რომლებზეც დაშვებული იყო 276 მაძიებელი, მათგან გამოცდაზე გამოცხადდა 228 სპეციალისტი.

საატესტაციო გამოცდის სამივე ეტაპი წარმატებით ჩააბარა 154 მეან-გინეკოლოგმა. სერტიფიკატი სტაციონარში მუშაობის უფლებით მოპოვებული აქვს 97 (63 პროცენტს) მაძიებელს, ხოლო ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ ქსელში მუშაობის უფლებით – 57 (37 პროცენტს) მაძიებელს.

რაც შეეხება 1998 წელს უმაღლეს სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებათა კურსდამთავრებულებს, მათგან დაშვებული იყო 611 ახალკურსდამთავრებული (იგულისხმება საერო უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებიც), ჩააბარა – 427, მათ შორის მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 417 წარმომადგენელი, რომელთაგან ჩააბარა 354-მა.

შარშან სამედიცინო პროფილით უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა 2000-მდე ახალგაზრდამ. ზემოთმოყვანილი მონაცემების მიხედვით (ჩააბარა 427) დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლება მოპოვებული აქვს მხოლოდ 21 პროცენტს.

უახლოეს პერიოდში, კერძოდ, მარტის თვის ბოლოდან, დაგეგმილია „ზოგადი ჰიგიენის“ სპეციალისტთა ატესტაცია. ასევე აპრილში დაგეგმილია „შინაგანი მედიცინისა“ და „ზოგადი ქირურგიის“ სპეციალობებზე სერტიფიცირების ჩატარება.

გამოვიდა ფარმაკოპეის I ტომი

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ და გამომცემლობა „მეცნიერებამ“ ქართულ ენაზე გამოსცეს სახელმწიფო ფარმაკოპეის I ტომი (მთავარი რედაქტორი – პროფესორი ბ. ჭუმბურიძე, რედაქტორი – ფარმაკოპეის მეცნიერებათა კანდიდატი ქ. ბარამიძე).

სახელმწიფო ფარმაკოპეა ფარმაცევტული საქმიანობის ძირითადი საკანონმდებლო დოკუმენტია. ის სახელმწიფო სტანდარტებისა და დებულებების კრებულია, რომლებიც განსაზღვრავენ წამლის ხარისხს.

სახელმწიფო ფარმაკოპეა საკანონმდებლო ხასიათისაა, მისი მოთხოვნები წამლებისადმი სავალდებულოა შეასრულოს ყველა საწარმომ და დაწესებულებამ, რომლებიც ამზადებენ, ინახავენ, აკონტროლებენ და გამოიყენებენ სამკურნალო საშუალებებს.

ფარმაკოპეა სასწავლო სახელმძღვანელოც არის უმაღლესი და საშუალო ფარმაცევტული სასწავლებლებისთვის. ამდენად იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ სფეროში ახალგაზრდა კადრების მომზადებასა და ფარმაცევტთა სერტიფიცირების წარმატებით ჩატარებაში.

ფარმაკოპეის I ტომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებისათვის და აფთიაქის საკონტროლო კაბინეტის მუშაკებისათვის. საქართველოში სამკურნალო საშუალებებს ამზადებს 30-მდე ფარმაცევტული ფირმა და 80-ზე მეტი ფარმაცევტული საბითუმო ბაზა. ამ დაწესებულებათა მუშაკებს სახელმწიფო ფარმაკოპეა მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს.

ფარმაკოპეის II ტომს მალე იხილავს ჩვენი სამედიცინო საზოგადოება. გათვალისწინებულია III ტომის გამოცემაც. ეს გამოცემა უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს წამლის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემის ამოქმედებაში.

ემსახურებიან კოდორის ხეობას

შარშან ნოემბერში მწყობრში ჩადგა რეკონსტრუირებული კოდორის ხეობის უბნის საავადმყოფო, რომლის შემადგენლობაშია პოლიკლინიკური განყოფილება და 10-საწოლიანი სტაციონარი ქირურგიული და სამშობიარო ბლოკებით.

საავადმყოფო პირველ ეტაპზე აღჭურვეს ძირითადად საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ და საერთაშორისო ორგანიზაციამ „ქაუთენ პარტიმა“ (ქ-ნი რებეკა ბრაიენი).

საავადმყოფოში დღეისათვის მუშაობს ორი ქირურგი, ერთი თერაპევტი, ერთი სტომატოლოგი, 11 ექთანი. მათ სპეციალური პროგრამით აფინანსებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. ამას გარდა ხეობაში ფუნქციონირებს 8 საფერშლო პუნქტი.

მედიკამენტებით ძირითადად საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს. დღეისათვის კოდორის ხეობაში დამატებით იგზავნება მედიკამენტები.

შარშან საავადმყოფოს მიმართა 1500-ზე მეტმა ავადმყოფმა. ევაკუირებული იყო 9 მძიმე ავადმყოფი და დაჭრილი და სხვ.

„სრ“ კორ.

საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა

1999 წლის 19 თებერვალს, 11 საათზე, სახელმწიფო კანცელარიის სხდომათა დარბაზში გაიმართება საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელზეც მოწვეული იქნებიან თავდაცვის, უშიშროებისა და სამართალდაცვის ორგანოების ხელმძღვანელები, პარლამენტის წევრები, ადგილობრივი მმართველობის, ინტელიგენციის, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, სახელმწიფო კანცელარიის პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომაზე განხილული იქნება სამართლებრივი რეფორმის მიმდინარეობის, კანონიერების განმტკიცების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით 1998 წელს გაწეული მუშაობის შედეგები და 1999 წლის ამოცანები.

როცა არგუმენტები აკლიათ

ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ მ. კუდავამ მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები. მისი განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ მათ არაერთგზის მიმართა ძებნილ იგორ გიორგაძის დაკავებისა და საქართველოსთვის გადმოცემის თაობაზე. ამის მიუხედავად, გიორგაძე რეგულარულად გამოდის რუსეთის ტელევიზიის სხვადასხვა არხზე და ინტერვიუებს აძლევს გაზეთებს. საილუსტრაციოდ მისიის წარმომადგენელმა დაასახელა გაზეთ „ზავტრაში“ გამოქვეყნებული საქართველოს პრეზიდენტისა და ხელისუფლების შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური სტატია და იგორ გიორგაძის „ქართველ ერისადმი მიმართვა“.

რუსეთის წარმომადგენლის საპასუხო განცხადებით, რუსეთს გიორგაძის საქართველოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებით არავითარი ვალდებულება არ უკისრია. რაც შეეხება „ზავტრას“, იგი, მისი შეფასებით, რუსეთის უკიდურესად მემარჯვენე ძალების გაზეთია, რომელიც თვით ელცინის მკვლელობის მოწოდებითაც კი გამოდის, და, ამდენად, მასში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ერთმნიშვნელოვანი და შორსმიმავალი დასკვნების გამოტანა მართებულად არ მიაჩნია.

ემზადებიან მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადისთვის

საქართველოს კულტურის სამინისტროში ხალხური შემოქმედების მეორე რესპუბლიკური ოლიმპიადისთვის მზადება დაიწყო. ოლიმპიადის პირველი და მეორე ტური მარტსა და აპრილში რაიონებში გაიმართება, ხოლო დასკვნითი ტური და გალა-კონცერტი გამარჯვებულთა მონაწილეობით შემოდგომაზე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოეწყობა. ოლიმპიადაში საქართველოს თითქმის ყველა რაიონის წარმომადგენლები, მათ შორის, სომხური, აზერბაიჯანული და ოსური ხალხური შემოქმედებითი კოლექტივებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ტრადიციული კვირეული დასრულდა

რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში საზეიმოდ დაიხურა თბილისის მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების კვირეული.

700 მონაწილიდან 110 საუკეთესო თბილისის მერიის განათლების სამმართველომ საჩუქრებითა და დიპლომებით დააჯილდოვა. ყველა გამარჯვებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უშუალო დახმარებითა და ხელშეწყობით მონაწილეობას მიიღებს მუნიციპალურ პროგრამაში (ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის პროგრამა). ისინი გაერთიანდებიან მცირე აკადემიის შესაბამის სექციებში და მათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უხელმძღვანელებს. ამ პროგრამას მერია დააფინანსებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ბგამ და ჩვენმა კორესპონდენტმა.

პერსპექტივა

ანაკლია ხვალ

(პირველი გვერდიდან)

პრეზიდენტის ეს ჩანაფიქრი, საქართველოს საზღვაო სანაპიროზე „ტრასეკას“ დერეფნის დიდი „სატრანსპორტო დელტით“ დასრულებას გულისხმობს.

ეს იქნება მძლავრი სანავსადგურო სისტემა — ბათუმი, სუფსა, ფოთი, ანაკლია, ოჩამჩირე, სოხუმი, — სისტემა, რომელიც განლაგდება საქართველოს შავი ზღვისპირეთის მთელ პარამეტრზე და სრულფასოვნად უზრუნველყოფს „ევრაზიის დერეფნის“ დიდი პროგრამით ჩვენთან შემოსული უდიდესი ტვირთნაკადის მიღება-გადამუშავებას.

ჩვენს თვალწინ იბადება ახალი, თავისუფალი ქვეყანა, რომელიც ყოველწლიურად იძენს ახალ დიდ საერთაშორისო ფუნქციას და თანდათანობით იმკვიდრებს თავის ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში.

ანაკლია ამ დიდი ჩანაფიქრის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება. სწორედ ამიტომაც ანაკლიაში დაიგეგმა ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილი სამთავრობო კომისიის პირველი გამსვლელი სხდომის გამართვა.

* * *

ასეთი ხალხმრავლობა, საყოველთაო სიხარული კარგა ხანია არ ახსოვთ ანაკლიელებს, ზუგდიდელებს, საერთოდ, სამეგრელოს. იმ დღეს თითქოს დავიწყებას მიეცა ურონგისპირა ქალაქისა თუ რეგიონის მცხოვრებთა ყველა სატკივარი, საერთო გაჭირვება, წუხილი. ამ სასიამოვნო მოლოდინისა და მხიარულებაში ერთადერთი დისონანსი შემოჰქონდა იქვე ნავმისადგომთან განლაგებულ რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯავშანტრანსპორტიორებით შეიარაღებულ ჯგუფს, რომელსაც 12-კილომეტრიანი ბუფერული ზონის კონტროლის ფუნქცია აქვს დაკისრებული, მაგრამ... მათ არავინ ამჩნევდა.

უკვე თითქმის დაბინდებული იყო, როდესაც ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე, და მისი თანმხლები მინისტრები, კომისიის წევრები ბატონები: მერაბ ადეიშვილი, მიხეილ უკლება, მერაბ ჩხენკელი, ვლადიმერ პაპავა, ზურაბ გეგეჭკორი, საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირაკლი ანდრიაძე, პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში ბონდო ჯიქია და სამთავრობო კომისიის სხვა წევრები ანაკლიის ნავმისადგომთან შეკრებილი მოსახლეობის გარემოცვაში აღმოჩნდნენ.

საუბრები ერთობ მეგობრული და ხალისიანი იყო. ანაკლიის გამგებელმა თემურ ეჯენიამ ასე მიმართა სახელმწიფო მინისტრს:

— დღეს ანაკლიაში 1800 ადამიანი სახლობს, ერთი ამდენი ლტოლვილი თანამოძმე გვყავს შეფარებული. ასე რომ, ერთ სოფელში მეორე სოფელიც ცხოვრობს. ის გადაწყვეტილება, რაც პრეზიდენტმა მიიღო, მარტო ჩვენთვის კი არა, მათთვისაც მეორე სუნთქვის გახსნა იქნება, ჩვენ ყველა ასე აღვიქვამთ ამ მომენტს: — ეს ჩვენთვის მხოლოდ ეკონომიკური ხსნა კი არ არის, მასში იმ პრობლემის დიდ პოლიტიკურ გასაღებსაც ვხედავთ, რომელიც ჩვენთან ერთად მთელ საქართველოსაც აწუხებს, ამისათვის დიდ მადლობას ვუხდით პრეზიდენტს, პირადად თქვენ და თქვენი კომისიის წევრებს.

— ერთი რამ უკვე ნათელია ჩვენთვის, — ეუბნება შეკრებილთ ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე — რომ ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობა არის ჩვენი ქვეყნის მომავლის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი. ამას, როგორც ჩვენი მასპინძლები ამბობენ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, კერძოდ სამეგრელოსთვის, ზუგდიდისთვის, სადაც ახალი ნავსადგურის მშენებლობით სრულიად ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს.

მართალია, ყველას გვიჭირს, მაგრამ უნდა გამოვძებნოთ ყველა საშუალება იმისათვის, რომ ეს მშენებლობა განხორციელდეს. ამ პროცესის უპირველესი ამოცანა ის არის, რომ მისი სიკეთე დააჩნდეს ადგილობრივ მოსახლეობას, რადგან აქ შემოსული ნებისმიერი გემი თქვენს ოჯახებში შემოსულ ბარაქას და შემოსავალს, დასაქმებას ნიშნავს. დღეს ფოთში რომ გახლდით, ნიკო ნიკოლაძეს იხსენებდნენ. მან იქ სანავსადგურო ქალაქი ააშენა, მაგრამ დღეს უკვე ძნელია მისი განცალკევება. ნავსადგურიც და ქალაქიც დღეს ერთი მთლიანობაა. ასევე იქნება ანაკლიაც.

ღმერთმა ქნას, რომ ანაკლიაც დიდი ქალაქი გახდეს... ეს მიწა, რეგიონი და ხალხი ღირსია ამ სიკეთისა და ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ამ ამოცანას ჩვენ წარმატებით გადავწყვეტთ. რაც შეეხება ჩვენს მომავალ შეხვედრებს — აღნიშნა ბატონმა ვაჟამ — გპირდებით, რომ ხშირად ჩამოვალთ და თქვენთან ერთად განვიხილავთ მომზადებულ პროექტებსაც, პრობლემებსაც, რომლებიც წარმოიქმნება მშენებლობის პროცესში.

ის იყო გულთბილად გამოვეთხოვეთ ანაკლიელებს და გეზი ზუგდიდისკენ უნდა აგვეღო, რომ სახელმწიფო მინისტრთან სოფელ დარჩელის მკვიდრთა ერთი ჯგუფი მივიდა.

ყველას გვახსოვს დარჩელის ტრაგედია. გონებაარეულ ვაითანამოძმეთა პარპაში სამეგრელოს ამ სოფელში, რის შედეგადაც სამარცხვინო მოგონებად დაგვრჩა დარჩელელთა ათეულობით გაძარცვული და გადამწვარი სახლკარი. პრეზიდენტისა და პარლამენტის გადაწყვეტილებით გამოიყო სახსრები ამ სახლების აღსადგენად. ნახევარი თანხა უკვე მიუღიათ კიდეც აქაურებს, მაგრამ დანარჩენი ნახევარი დღემდე არსად ჩანს.

უკვე შელამებული იყო დარჩელში, სწორედ იმ გადამწვარ სახლებთან რომ შევჩერდით. მართლაც ამაზრზენი სანახაობა ვიხილეთ... ცხადია, ეს სამარცხვინო ნაშთი ჩვენი ზოგიერთი ვაიქართველის ნამოქმედარისა, ჩვენი საერთო ტკივილისა, რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა აღმოიფხვრას, სწორედ ასეთი იყო ბატონი ვაჟას დაპირებაც და სიტყვაც, რომელიც მან მისცა დარჩელელებს.

ზუგდიდი... იმ საღამოს აქ, მართლაც, იშვიათი განწყობა იყო. სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში გაიმართა ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის სამთავრობო კომისიის პირველი სხდომა. კომისიის წევრებმა ჯერ პროექტის ავტორებს, სპეციალისტებს მოუსმინეს. „საქნაპირდაცვის“ გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა არჩილ კიკნაძემ, მისმა კოლეგებმა როინ ჭყოიძემ, ნოდარ მიქაძემ, რევაზ თოფურიამ და სხვებმა კომისიას დაწვრილებით გააცნეს ანაკლიის მომავალი ნავსადგურის მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებები, რომლებიც თვალნათლივ იყო წარმოსახული აქ წარმოდგენილ პლანშეტებზე, უპასუხეს კომისიის წევრთა კითხვებს. საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრმა **მერაბ ჩხენკელმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თვენახევრის წინ სამინისტროს კოლეგიამ, რომელმაც განიხილა ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის საპროექტო კონცეფცია საინვესტიციო საბჭოს სხდომაზე განსახილველად, წარდგენის რეკომენდაცია მისცა მას, რადგან მიიჩნია, რომ ეს დიდად საჭირო საქმეა ქვეყნისათვის. ამასთან, აღნიშნა მინისტრმა, — იგი უნდა განვიხილოთ საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის კონტექსტით, რომელიც უზრუნველყოფს „ტრასეკას“ პროგრამის განხორციელებას. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ანდრიაძემ**, რომლის სამსახურიც მეურვეობს ამ პროექტს, განაცხადა, რომ აღნიშნულ მშენებლობაში ინვესტიციების დასაბანდებლად მზად არიან მთელი რიგი ინვესტორები, მათ შორის, ამერიკა-ისრაელის ცნობილი ფირმა „ნოუმენეჯმენტ ჯორჯია“, რომელმაც უკვე დააფინანსა დღეს წარმოდგენილი საპროექტო კონცეფციის მოსამზადებელი სამუშაოები. უახლოეს დღეებში, — თქვა შემდეგ ბატონმა ირაკლიმ, — უკვე ჩამოყალიბდება ერთობლივი კომპანია „ანაკლია“, რომელიც უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მოამზადებს მომავალი მუშაობის პროგრამას და მას სამთავრობო კომისიას წარუდგენენ.

ბიზნესისა და საინვესტიციო პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა **ჯუანშერ მხეიძემ** დამსწრეთ გააცნო მომავალი მშენებლობის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა. იგი ნახევარ მილიარდს მიაღწევს. რაც შეეხება პროექტის მომზადებას, ამისათვის ინვესტორი 8 მილიონს გაიღებს. ბატონმა ოთარ ფაცაციამ, რომელიც ესწრებოდა სხდომას, აღნიშნა რომ, სამეგრელოს რეგიონს აქვს დიდი მშენებლობების, მათ შორის, ენგურჰესის მშენებლობის გამოცდილება, ჰყავს მშენებელთა შესანიშნავი კადრები, რაც ცოტას არ ნიშნავს. მან რამდენიმე საინტერესო წინადადების გათვალისწინებაც ურჩია პროექტის ავტორებს.

— ის, რომ დღეს არ გვაქვს შესაძლებლობა — აღნიშნა ტრანსპორტის მინისტრმა **მერაბ ადეიშვილმა**, — ჩვენს ნავსადგურებში მივიღოთ დიდი წყალწყვის ტანკერები, ეს ჩვენი ნავსადგურების დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ამ ნიშნით უნდა მოვიაზროთ ამ სისტემაში ანაკლიის ნავსადგური, იგი უნდა აშენდეს სწორედ ღრმაწყლიანი ნავსადგურისათვის დამახასიათებელი ტვირთებისათვის, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენს საპორტო პოტენციალს. სწორედ ამიტომ უჭერს მხარს ამ პროექტს ტრანსპორტის სამინისტრო.

— დღეს მეტად კარგი დღეა, რადგან ეს საუბარი შედგა — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს ქონების მართვის მინისტრმა **მიხეილ უკლებამ**. მან ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ მიზანმიმართულად ზრუნავს მთავრობა საქართველოს სანავსადგურო სისტემის შექმნისათვის. უკვე დადგა დრო, რომ ამ პროცესში ფართოდ ჩაერთონ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორები.

სამთავრობო კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა **ვაჟა ლორთქიფანიძემ**, — ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობის იდეა, — აღნიშნა მან, — უცებ ზეციდან არ ჩამოვარდნილა, მასზე უკვე 15-17 წელია მუშაობენ ჩვენი სპეციალისტები. ასე რომ, იდეა თუმცა ძველია, მაგრამ კარგია. როგორც დღეს დავრწმუნდით, წინასწარი სამუშაოები, მართლაც პროფესიულად არის შესრულებული. ანაკლიის ნავსადგური დღეს მოიაზრება როგორც საქართველოს შავი ზღვისპირეთის ერთიანი სანავსადგურო კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. საპროექტო კონცეფცია, რომელიც დღეს განვიხილეთ, შეასრულეს იგივე სპეციალისტებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაიწყეს მუშაობა ამ პრობლემაზე. არ მინდა დამსწრეთ ისეთი შთაბეჭდილება დარჩეთ, თითქოს ის 38 ათასი ლარი, რომელიც ინვესტორმა გაიღო ამ საპროექტო კონცეფციის დასაფინანსებლად, ჩვენ რაღაცით გვავალდებულებდეს ინვესტორის წინაშე. ახლა მთავარია ის, თუ როგორ შევასხამთ ხორცს ამ იდეას. ის, რომ მან უკვე მოიპოვა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, უკვე მრავლისმეტყველი ფაქტია არა მხოლოდ ქვეყნის სანავსადგურო პოტენციალის, არამედ სამეგრელოს რეგიონის განვითარებისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ გამოჩნდება ძალიან ბევრი ინვესტორი, რომელიც დაინტერესდება ამ საქმით. ყოველდღიურად ჩვენ მოგვდის ინვესტორთა უამრავი წინადადება სხვადასხვა პროექტების დაფინანსების თაობაზე. ეს ეხება ჰესებს, მცირე ჰესებს, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ნავსადგურების მშენებლობასა და სხვა.

ახლა, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარია, — განაგრძო სახელმწიფო მინისტრმა, — არ შევცდეთ მუშაობის ორგანიზაციასა და დაგეგმვაში. ალბათ, უნდა ვიფიქროთ ვიღაც ერთიან დამკვეთზე, რომელიც უახლოეს პერიოდში უნდა გამოიკვეთოს. ჩვენ დღეს უკვე წარმოდგენილი გვაქვს მომავალი მშენებლობის კონცეფციაც და მასშტაბიც. ახლა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს, თუ როგორი იქნება მისი მონაწილეობა ფინანსური თუ სხვა თვალსაზრისით. ერთი სიტყვით, უნდა შევიმუშაოთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება საჯაროობასა და კონკურსის პრინციპებზე. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა დიდად შეუწყობს ხელს ამ პროექტის განხორციელებას.

დასასრულ, ვაჟა ლორთქიფანიძემ სთხოვა კომისიის წევრებს ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებანი და პრაქტიკული წინადადებანი. ეს ისეთი პროექტი არ არის, — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა, — ერთბაშად რომ გაკეთდეს, იგი თანდათანობით უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება პირველ ეტაპს, არ მგონია, რომ იგი შორეული მომავლის ამოცანა იყოს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩვენი კომისია ნამდვილი, მუშა კომისია იქნება.

გამსვლელი სამთავრობო სხდომა დამთავრდა. კომისიის წევრმა, პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელოსა და ზემო სვანეთში ბონდო ჯიქიამ მადლობა გადაუხადა სახელმწიფო მინისტრს, კომისიის სხვა წევრებს ანაკლიის ნავსადგურის საპროექტო კონცეფციის საინტერესო საქმიანი განხილვისა და მხარის მოსახლეობის დიდი თანადგომისათვის.

დღეს მე ანაკლიის ახალი ნავსადგურის მომავალი მშენებლობის სამთავრობო კომისიის პირველი გამსვლელი სხდომის მიმდინარეობის შესახებ მოგითხრეთ.

მაინც, როგორი იქნება საქართველოსა და მთელი შავი ზღვის ყველაზე ღრმაწყლიანი ნავსადგური — ანაკლია... როგორ გადაწყვეტას გვთავაზობენ ჩვენი სპეციალისტები, როგორ აღიქვამენ ამ ისტორიულ ფაქტს სამეგრელოში, ამაზე უკვე შემდგომ გესაუბრებით.

გია ჭელიძე,
„სრ“ სპეც. კორ.

ფოთი-თბილისი.
ავტორის ფოტო.

დღის თემა

წლევანდელი ბიუჯეტი მძიმე, მაგრამ რეალური იქნება

ასე სწამს საქართველოს ფინანსთა მინისტრს დავით ონოფრიშვილს



(პირველი გვერდიდან)

— ბატონო დავით, ჩვენი საზოგადოებრიობა პრესითა თუ ტელევიზიით კარგად არის ინფორმირებული ნაახალწლევს ბატონ ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დელეგაციის ვიზიტის შესახებ, რომელშიც თქვენც მონაწილეობდით. ამიტომაც ვიზიტის მხოლოდ მთავარ მომენტებზე გვითხარით რამე. რამდენად შედეგიანი იყო იგი?

— ამერიკის შეერთებულ შტატებში წლის პირველ ნახევარში უნდა ჩავსულიყავი მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელებთან შესახვედრად, მაგრამ რაკი იქ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი იანვარში დაიგეგმა, ბატონმა ზურაბმა შემომთავაზა დელეგაციაში ჩართვა, რაც ჩემი, როგორც ახალი ფინანსთა მინისტრის, უმაღლეს დონეზე წარდგენაც იქნებოდა.

შეხვედრები ძალიან საქმიანი და სასარგებლო იყო. განვიხილეთ დღევანდელ საქართველოში არსებულ ვითარებასთან, ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო, საგადასახადო პოლიტიკის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. სხვათა შორის, ამ შეხვედრებისას ისიც ნათლად გამოიკვეთა, რომ საქართველოს მიიჩნევენ ერთ-ერთ ისეთ გამორჩეულ ქვეყნად, სადაც მსოფლიო ბანკის პროექტები კარგად ხორციელდება.

ამასთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: შარშან ოქტომბერში ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიურ შეხვედრაზე ამ უკანასკნელის პრეზიდენტმა ჯეიმს ვოლფონსონმა წამოაყენა წინადადება, მსოფლიოს ყველა იმ მსხვილ რეგიონში, სადაც ბანკის პროექტები ხორციელდება, შეირჩეს თითო, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამაგალითო ქვეყანა, სადაც მაქსიმალური ეფექტიანობითა და უკუგებით გამოიყენება პროექტების ხორცშესხმისათვის გამოყოფილი სხვადასხვა დონორის თანხები. უახლოეს მომავალში, პირველ ეტაპზე, რამდენიმე ასეთი ქვეყანა შეირჩევა კიდეც. ბატონმა ზურაბმა ჯეიმს ვოლფონსონს აუწყა საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის სურვილი და მზადყოფნა, რომ ჩვენი სახელმწიფო იყოს ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა რეგიონში, თუკი მსოფლიო ბანკი ამას მოისურვებს და საჭიროდ ჩათვლის.

— კავკასიის რეგიონზეა საუბარი?

— არა მარტო კავკასიისა. ამ რეგიონის არეალი, ალბათ, უფრო ფართო იქნება.

— თუ საკითხი დადებითად გადაწყდა, ამით საქართველო რამე დამატებით სარგებელს მიიღებს?

— რაიმე დამატებითი თანხების მიღებაზე არ არის საუბარი. ლაპარაკია მიღებული დახმარებების უფრო რაციონალურ გამოყენებაზე, რაც მუდამ პრობლემა იყო და, შესაბამისად, ნაკლებ უკუგებასაც იძლეოდა როგორც დონორებისთვის, ისე იმ ქვეყნისთვისაც, ვისაც ისინი ეხმარებიან. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის თაობაზეც ესაუბრა ბატონი ზურაბი ჯეიმს ვოლფონსონს. საქმე ის არის, რომ ლარის კურსის ცვალებადობისა და ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ინტერვენციის შეწყვეტის გამო ჩვენთან, დოლართან შეფარდებაში, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, საგრძნობლად შემცირდა მთლიანი შიდა ეროვნული პროდუქტი. შესაბამისად, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო შენარჩუნებულიყო საქართველოსთვის გასაწევი დახმარების აღრინდელი მოცულობა, უფრო ზუსტად, მისი პროცენტული განაკვეთი.

— კონკრეტულად რა სახისა და ოდენობის სესხს ვღებულობდით და როგორი პროცენტული განაკვეთით?

— ბოლო წლების მანძილზე მუდმივად ვღებულობდით აიტას (საერთაშორისო განვითარების სააგენტო) ფარგლებში არსებულ საკრედიტო რესურსებს, რომლის პროცენტული განაკვეთი მსოფლიოში ყველაზე იაფია — 0,75 პროცენტი. თანაც მიღებიდან პირველი ათი წლის მანძილზე არაფერს არ ვიხდით, სესხის მთლიანი დაფარვის ვადა კი დაახლოებით 40 წელიწადია. ხოლო მსოფლიო ბანკის პრაქტიკით იმ ქვეყნებს, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნის მაჩვენებელი შედარებით მაღალია და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით იგი მინიმუმ 600 დოლარის ოდენობით მაინც იწარმოება, უკვე ბევრად უფრო მაღალპროცენტიანი განაკვეთის სესხი ეძლევათ. ამიტომაც ვთხოვეთ მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობას, ქვეყანაში ამჟამად არსებული სიტუაციის გათვალისწინებით მოეხდინათ გადაანგარიშება, რათა უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე კვლავ ზემოაღნიშნული, ყველაზე დაბალპროცენტიანი განაკვეთის სესხი მოეცათ. საკითხი, ალბათ, დადებითად გადაწყდება. არადა, მომავალი წლიდან უკვე მეორე რეჟიმში, უფრო მაღალპროცენტიანი სესხით სარგებლობის პირობებში უნდა გვემუშავა.

— ახლა უშუალოდ თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობიდან და მოვალეობიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ ამ ვიზიტის შედეგებზე. რას ისახავდა იგი მიზნად და რამდენად გაამართლა მოლოდინი?

— საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულებით ვალდებული ვართ გავაცნოთ მას ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. ხოლო რაკი ამ ფონდის მისია საქართველოში იანვრის მეორე ნახევარში უნდა ჩამოსულიყო, იმ მიზნით, რომ ძალიან არ დაგვეგვიანებოდა წლევანდელი წლის ბიუჯეტის პროექტის პარლამენტისთვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენა, ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები სავალუტო ფონდის სათანადო ხელმძღვანელებს ამერიკაში ყოფნისას გავაცანი. შეხვედრები ძალიან საქმიანი, ზოგჯერ მძიმეც, მაგრამ სასარგებლო იყო. ბევრ მნიშვნელოვან საკითხში შევთანხმდით.

— რით გამოიხატება ეს კონსენსუსი?

— საბოლოო კონსენსუსი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მოხდა.

უმთავრესად იმაში შევთანხმდით, რომ წლეულს უთუოდ უნდა დაიფაროს შარშანდელი ხელფასების, პენსიების, ანუ დაცული მუხლებით გათვალისწინებული დავალიანებები და დავიწყოთ საგარეო ვალების მომსახურება. ხოლო რაკი ჩვენთან ამჟამად ლარი დევალვაციას განიცდის, შევთანხმდით, რომ საგარეო ვალების მომსახურებისას ლარის კურსი დოლართან მიმართებაში განისაზღვროს თანაფარდობით — ერთი ორზე.

— მაგრამ ამჟამად ჩვენთან დოლარის ოფიციალური კურსი 2,2 ლარსაც რომ აღწევს და ეს მაჩვენებელი შესაძლოა კვლავაც გაიზარდოს?

— კურსის მეტ-ნაკლები ცვალებადობა შესაძლებელია, მაგრამ თუ იგი საგრძნობლად არ შეიცვალა, აღნიშნულ თანაფარდობაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს.

— უკაცრავად ასეთი ჩაძიებისთვის, მაგრამ თუ კურსი უფრო გაიზარდა, ამით ბიუჯეტი არ იზარალებს?

— ჩვენი გათვლებით საგრძნობლად არ უნდა გაიზარდოს, მაგრამ თუ ასე მაინც მოხდა, გამოინახება იმგვარი დამცავი მექანიზმები, რომ ამან ბიუჯეტზე უარყოფითად არ იმოქმედოს.

— თქვენი ნათქვამითაც ჩანს და მოსახლეობამ ისედაც იცის, რომ წლევანდელი ბიუჯეტი, განსაკუთრებით, მისი ხარჯვითი ნაწილი, თუნდაც მხოლოდ ზემოაღნიშნული ორი ფაქტორის გათვალისწინებით, საკმაოდ „შეკრეჭილი“ და „მძიმეა“. კიდევ ხომ არ არის მისი უფრო დამამძიმებელი სხვა რამე ფაქტორი?

— წლევანდელი ბიუჯეტის პროექტის შედგენისას პირველად ხდება, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი პრაქტიკულად არ გვაძლევს დაფინანსებას. პირიქით, ბიუჯეტი იქით უხდის მას პროცენტს 86 მილიონი ლარის ოდენობით.

— რატომ მოხდა ასე და რის პროცენტებს უხდის ბიუჯეტი ეროვნულ ბანკს?

— იმიტომ, რომ ბიუჯეტს ეროვნული ბანკის ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი ვალი აქვს. ეს ძირითადად წლების მანძილზე აკუმულირებული სამთავრობო ხარჯებია. ასეთი რამ სხვა ქვეყნებშიც ხდება. მთავრობა, საჭიროებისას, სესხულობს ბანკისგან ფულს და მერე უბრუნებს, მაგრამ შარშან ეროვნული ბანკისგან განსაზღვრულზე მეტი თანხა გავიდა, რის გამოც წლეულს იგი ბიუჯეტს არაფერს მისცემს. სწორედ ამ სამმა ძირითადმა ფაქტორმა შეცვალა ბიუჯეტის შიდა სტრუქტურა და შეზღუდა სხვა ხარჯების გაწევის შესაძლებლობები. ბიუჯეტის პროექტში, როგორც ვთქვი, პრიორიტეტი აქვს დაცულ მუხლებს, კაპიტალური ხარჯების საკითხი კი მეორე პლანზე დგას.

— ამით თქვენ პრაქტიკულად უკვე უპასუხეთ ჩემს მორიგ კითხვას, რომელიც გათვალისწინებული მქონდა ბიუჯეტის თქვენეულ შეფასებასთან დაკავშირებით. ამიტომ ახლა იქნებ ის გვითხრათ, თუ რამდენად რეალურია თვით ასეთი ბიუჯეტის შესრულება და, თქვენი აზრით, დაამტკიცებს მას პარლამენტი ამგვარი სახით, სერიოზული შესწორებების შეუტანლად?

— პარლამენტმა ცალკეული ცვლილებები, ცხადია, შეიძლება შეიტანოს, მაგრამ მან იგი უნდა დაამტკიცოს. სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, რჩება ერთადერთი გამოსავალი — ემისია, და მისი ლოგიკური შედეგი — ინფლაცია, რაც დაუშვებელია. ეს დამღუპველად იმოქმედებს ჩვენს საბანკო სისტემაზეც (რომელიც ბოლოდროინდელი ცნობილი მოვლენების მიუხედავად, რაიმე განსაკუთრებული ნგრევის გარეშე შევინარჩუნეთ), ჩვენს ეკონომიკაზეც და მთლიანად მოსახლეობაზეც. თუ ვინმე სხვა შემოსავლების კონკრეტულ წყაროს მიუთითებს, მაშინ, ცხადია, ბიუჯეტის არც ხარჯვითს ნაწილში იქნება პრობლემები.

— ესე იგი, წლევანდელ ბიუჯეტში პრიორიტეტი დაცულ მუხლებს ექნება. მაგრამ რამდენად რეალურად დაიცავს იგი, ბიუჯეტი, ამ დაცული მუხლების „ინტერესებს?“

— დაცული მუხლებით გათვალისწინებული პარამეტრები შესრულდება, ყოველ შემთხვევაში, უთუოდ უნდა შესრულდეს. მოგეხსენებათ, ქვეყანაში არის საგადასახადო, საბაჟო სამსახურები, რომელთა გეგმებით გათვალისწინებული შემოსავლები ჩადებულია პროექტში. ისინი უნდა შესრულდეს. ამასთანავე არის გარე დაფინანსების წყაროებიც. წინასწარი გათვლებით გარღვევა არ უნდა მოხდეს.

— ამასთან დაკავშირებით, წინასწარ ვთხოვ როგორც ფინანსთა, ისე იმ ნებისმიერი სხვა სამინისტროსა თუ უწყების სპეციალისტებს, რომლებიც თქვენს მიერ ნახსენები გათვლების შედგენაში მონაწილეობენ, ჩემს კითხვას ისე ნუ გამიგებენ, თითქოს მათს კომპეტენტურობაში ეჭვი მეპარებოდეს, მაგრამ რამდენად რეალისტურია თვით ეს გათვლები, ისინი ხომ საკმაოდ ხშირად არ ამართლებს?

— გეთანხმებით, ზოგჯერ ასეც ხდება, მაგრამ ძირითადად იმიტომ, რომ ეს გათვლები ეფუძნება გაანგარიშებებს, რაც უნდა შესრულდეს. საბიუჯეტო შემოსავლები მაქვს მხედველობაში, საგადასახადო სამსახურის განხრით იქნება იგი, თუ საბაჟოსი. ზოგის აზრით, გათვალისწინებულზე მეტი გადასახადის ამოღებაც შეიძლება, მაგრამ წლევანდელ ბიუჯეტში გავითვალისწინეთ მხოლოდ 40-პროცენტიანი ზრდა იმ მაჩვენებელთან შედარებით, რაც შარშან გადასახადების ამოღების მიხედვით გვქონდა. ამიტომ, ეს მთავრობის იმ სხდომაზეც განვაცხადე, რომელმაც ბიუჯეტის პროექტი განიხილა, ყოველთვიურად მკაცრად გავაკონტროლებთ ბიუჯეტის შემოსავალ და გასავალ ნაწილებს. ამის მიხედვით, პირველ რიგში, დაფინანსდება სწორედ დაცული მუხლები, სხვა გასავალი ნაწილი კი, თუ საჭირო გახდა, შესაბამისად და ოპერატიულად შეიკვეცება. იმედია, ასეთი რამ არ მოხდება, მაგრამ თუ მაინც ამაზე მიდგება საქმე, დროულად მოვახდენთ რეაგირებას. შარშანაც, როდესაც დავალიანებები სულ უფრო მატულობდა, ნოემბერში კი არ უნდა შეკვეცილიყო ბიუჯეტი, არამედ ბევრად ადრე.

— მაგრამ სეკვესტრი შარშან ნოემბრამდეც ხომ იყო?

— იყო, მაგრამ უმნიშვნელო ოდენობით, თორემ საქმე აქამდე არ მივიდოდა. ამიტომაც ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული გვაქვს, რომ ექვსი თვის შედეგებით, თუ საჭიროება მოითხოვს, პარლამენტში დავაყენოთ საკითხი ბიუჯეტის გადასინჯვის თაობაზე, ანუ, თუ შემოსავლები გათვალისწინებულზე მეტი იქნა, გასავლის რა ნაწილს მოხმარდეს ეს ნამატი თანხა, ხოლო თუ შემცირდა (ვიმედოვნებთ, რომ ეს არ მოხდება), გასავლის რა ნაწილი შეიკვეცოს. მოკლედ, ხარჯი არ უნდა გავწიოთ მანამ, სანამ შემოსავლის რეალური წყარო არ იქნება.

— ბიუჯეტის პროექტში თუ არის გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების — საკრებულოების მუშაკთა ხელფასების დაფინანსება?

— არის, მაგრამ აქ საკითხი სხვაგვარად დგას. პარლამენტი ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და არა კონსოლიდირებულს. საკრებულოების ხელფასი ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა გაიცეს.

— მაგრამ ადგილობრივ ბიუჯეტებს, სხვას რომ თავი დავანებოთ, პედაგოგთა ხელფასების დაფინანსება უჭირს და მათში საკრებულოს მუშაკების სარგოს გათვალისწინებაც რანაირად მოახერხებენ?

— შედარებით უნდა გაიზარდოს ადგილობრივი გადასახადების ბაზა და ამოღება, მიწის გადასახადი. ამასთანავე, როგორც მოგეხსენებათ, სერიოზულად მიმდინარეობს არასასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზება, რაც დამატებითი შემოსავალია ადგილობრივი ბიუჯეტისათვის.

— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მიწის გადასახადის გაზრდა და ამით დამატებითი შემოსავლების მიღება, როდესაც გაზრდილის კი არა, ამჟამინდელი გადასახადის გადახდაც უჭირს გლეხობას?

— მე გლეხობას კი არა, უმთავრესად, იმ ბიზნესმენებს ვგულისხმობ, ვისაც აქვს ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის დამატებითი შემოსავლების მიცემის შესაძლებლობა. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ისინი, რბილად რომ ვთქვათ, არასწორად გეგმავენ ბიზნესს. რაც შეეხება პედაგოგთა ხელფასებს, ბიუჯეტში მათი სარგოებისთვის საჭირო თანხებიც არის გათვალისწინებული. ისინი ხომ მარტო ადგილობრივი ბიუჯეტებიდან არ ფინანსდებიან, რაიონებს ტრანსფერის სახით ცენტრალური ბიუჯეტიდანაც ეძლევათ თანხა.

— ახლახან ერთმა პენსიონერმა დამირეკა და ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი მასალიდან ერთი აბზაცი წამიკითხა: შინაგან საქმეთა მინისტრმა, ეკონომიკის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, რაკი ლარი დოლართან შედარებით საგრძნობლად გაუფასურდა, მოიმატებს ავტომანქანების ტექდათვალიერების ტარიფები. თუ ლარის გაუფასურების გამო სახელმწიფო უწყებებისთვის კეთდება გადაანგარიშება, პენსიონერებმა რა დავაშავეთ, ჩვენც ხომ იგივე მიზეზით გაგვინახევრდა ისედაც მწირი პენსიაო.

— ლარი დოლართან შედარებით კი გაუფასურდა, მაგრამ საზოგადოების ერთ ნაწილს ერთმანეთში ერევა დევალვაცია და ინფლაცია. არადა, ესენი აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია. თანაც საბიუჯეტო ორგანიზაციათა თანამშრომლები ხელფასს, რომლითაც მათ, სამწუხაროდ, სოციალური და ყოველდღიური ყოფითი პრობლემების მოგვარებაც უჭირთ, არა მგონია, დოლარის შესასყიდლად იყენებდნენ. ამიტომ დოლართან შედარებით ლარის გაუფასურებას ხელფასებთან მიმართებაში პირდაპირი კავშირი არა აქვს. ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ ინფლაციისას, როდესაც ფასები იზრდება იმ პროდუქციაზე, რომელსაც მოსამსახურეები თავიანთი ხელფასებით შეიძენენ. შარშან ფასები გაიზარდა ძირითადად იმპორტირებულ საქონელზე, თანაც დევალვაციის ოდენობის შესაბამისად. ჯამში წლიურმა ინფლაციამ მიაღწია 10-10,5 პროცენტს. იგივე მაჩვენებელია დაგეგმილი ახალი ბიუჯეტის პროექტშიც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქონელზე, ძირითადად კვების პროდუქტებზე, ფასები წელიწადის დროის მიხედვით, სეზონურად, მუდამ იცვლებოდა და მომავალშიც შეიცვლება. და კიდევ: წლეულს, წლის მეორე ნახევარში, დაგეგმილი შემოსავლის მიღებისა და დავალიანებათა გასტუმრების კვალობაზე, განზრახულია ხელფასების ათპროცენტიანი ზრდა. ამით კი შეიქმნება იმ ათპროცენტიანი ინფლაციის მინიმუმამდე შემცირების საშუალება, რომელიც, როგორც გითხარით, წლევანდელ ბიუჯეტშია გათვალისწინებული. ხელისუფლება ახლაც მზად არის გაზარდოს ხელფასები, მაგრამ ვიდრე ამ მხრივ შარშანდელი დავალიანება არ გასტუმრებია, მის მომატებაზე ლაპარაკი, უბრალოდ, არარეალურია.

— კიდევ ერთი, ამჯერად უკვე საკუთარი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე „პირადი“ ხასიათის შეკითხვა. ჩვენმა გაზეთმა და მისმა გამომცემელმა ფირმა „პრესამ“ სახელმწიფო კა[illegible] ლი ხელ[illegible] რომელში[illegible] ბისთვის შესატყვისი ანაზღაურებაც იყო გათვალისწინებული, შეასრულა გარკვეული სამუშაოები. თანხის თითქმის 80 პროცენტი არ მიგვიღია, სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ კი, სამუშაოს შესრულებიდან 90 დღის შემდეგ, როგორც ეს კანონით არის განსაზღვრული, მთლიანი თანხიდან, რომელიც არ მიგვიღია, მოითხოვა სახელმწიფოს კუთვნილი წილი და წაიღო კიდეც 230 ათას ლარზე მეტი... ჩვენს ანგარიშზე ყადაღის დადებით. რამდენად სამართლიანია ეს, თუნდაც მორალური თვალსაზრისით?

— ჩემთვის ცნობილია, რომ, თუ დავალიანება წარმოიშვა სახელმწიფოს მხრიდან და ამ უკანასკნელმა ვერ გასწია ეს ხარჯები, მაშინ, ცხადია, საგადასახადო სამსახურმა ასეთი მკაცრი ზომები არ უნდა მიიღოს და არც ამგვარი სანქციები განახორციელოს.

— კიდევ ერთი მომენტი: ჩვენ მრავალგზის გვითქვამს საგადასახადო სამსახურის მესვეურთათვის — რახან ბიუჯეტს უჭირს, არ ვითხოვთ სახელმწიფოსგან კუთვნილ თანხას, მაგრამ თქვენც ნუ მოგვთხოვთ მიუღებელი თანხიდან სახელმწიფოს წილს, მაგრამ...

— ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ. იმასღა დავსძენდი, რომ ეს საკითხი სერიოზულად არის მოსაწესრიგებელი.

— ვინ და როდის გააკეთებს ამას?

— ამისთვის სპეციალური შეხვედრაა საჭირო. შესაძლოა საგანგებო კომისიის შექმნის აუცილებლობაც დადგეს დღის წესრიგში. უკვე ვმუშაობთ ამ საკითხზე, როგორც ჩანს, მისი ტემპი დასაჩქარებელია.

— ამ საკითხზე არ შევაჩერებდი ასე დაჟინებით თქვენს ყურადღებას, იგი მარტო ჩვენი პრობლემა რომ იყოს. ანალოგიურ მდგომარეობაშია ბევრი სხვა ფირმაც. საქმისადმი ამგვარი მიდგომა კი ბიზნესის განვითარებას ვნებს, იმ ბიზნესისა, ურომლისოდაც ქვეყანას გაუჭირდება. და კვლავ ჩვენი გასაჭირის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორე ნაწილი. გვეუბნებიან, რომ ამ დავალიანებას, სხვათა დავალიანებებთან ერთად, შეიტანენ სახელმწიფო შიდა ვალში. მაგრამ, ვფიქრობ, ეს ბევრი ვერაფერი ნუგეშია, რადგან, არა მგონია, წლევანდელმა და თუნდაც მომდევნო წლის ბიუჯეტმაც შეძლოს მისი გასტუმრება.

— წლეულს ნამდვილად ვერ გავისტუმრებთ, მომავალი წლის ბიუჯეტის შესაძლებლობებზე კი ჩემთვის ჯერ ნაადრევია ლაპარაკი.

— შარშან საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მიშელ კამდესიუმ განაცხადა, რომ უნდა დაეხმარონ ბრაზილიას, ლათინურ ამერიკას, სამხრეთ კავკასიისა და აზიის ქვეყნებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნებისადმი თავიანთი ერთგულება. რაიმე განსაკუთრებული ფინანსური დახმარება შარშანდელი წლის მეორე ნახევარში, ვგონებ, არ მიგვიღია. მიმდინარე წლის დასაწყისისთვის გათვალისწინებული ტრანშიც გაზაფხულისთვის გადაგვივადეს... ეს გარკვეულწილად ჩვენი ცალკეული კორუმპირებული ჩინოვნიკების „დამსახურებაც“ ხომ არ არის, რომელთა გამოც ჩვენთვის გამოყოფილი ყველა კრედიტი მუდამ მაქსიმალური სარგებლიანობით ვერ ხმარდება საქვეყნო საქმეს?

— გასული წლისთვის გათვალისწინებული თითქმის ყველა კრედიტი მივიღეთ, მაგრამ თუ მათი ეფექტი განსაკუთრებით საგრძნობი არ ყოფილა, ეს, უმთავრესად, იმ კრიზისის ბრალია, რომელმაც შარშან მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვა. ჩვენზე განსაკუთრებით იმოქმედა რუსეთის კრიზისმა, რის თაობაზეც ჩვენი საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული და ამიტომაც, ამაზე დაწვრილებით არ ვილაპარაკებ.

შარშან ნოემბერ-დეკემბერში ჩვენმა სახელმწიფომ გადადგა ის ნაბიჯები, რომლებიც მას ადრე თუ გვიან უნდა გადაედგა საერთაშორისო ორგანიზაციებში ნდობის ფაქტორის ასამაღლებლად. კერძოდ, ნოემბერში საგადასახადო კოდექსში გაუქმდა შეღავათები, მიღებულია გადაწყვეტილება აქციზური მარკების შემოღების თაობაზე. ეს მარკები უკვე იყიდება კიდეც და უმათოდ პირველი თებერვლიდან აკრძალულია სიგარეტისა და ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, პირველი მარტიდან კი — მათი გაყიდვაც. სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს საბაჟო სამსახურის მუშაობა. ამის გათვალისწინებით უკვე გამოცხადებულია ტენდერი უცხოური კომპანიებისათვის, რომელთა შორის გამარჯვებულიც წლევანდელი პირველი ივნისიდან ქართველ მებაჟეებთან ერთად იმუშავებს ჩვენს საბაჟოებზე, დაგვეხმარება თანხების ამოღებაში, თანამედროვე ტექნიკისა და სისტემების დანერგვაში, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებაში. ტენდერის პირობებში გათვალისწინებულია, რომ გამარჯვებულმა კომპანიამ ერთობლივი მუშაობის პირველსავე წელს მინიმუმ 50 პროცენტით უნდა უზრუნველყოს შემოსავლების ზრდა. მომდევნო ორი წლის მანძილზე კი — ყოველწლიურად კიდევ მინიმუმ 20-20 პროცენტით. გამკაცრდა კანონმდებლობაც გადასახადის ურჩი გადამხდელების წინააღმდეგ...“

ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელებამდე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, მათ შორის, სავალუტო ფონდი, ევროკავშირი და სხვებიც, თავს იკავებდნენ საქართველოსთვის თანხების გამოყოფაზე, რადგან შემოსავლები საგრძნობლად კლებულობდა, მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კი, მათი აზრით, ყველაფერი არ კეთდებოდა.

მაგრამ ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, შარშანდელი ნოემბრიდან მოყოლებული, მივიღეთ ჰოლანდიური გრანტი, ევროკავშირის ექვსი მილიონი ეკიუ, მსოფლიო ბანკის საკი ორის მეორე ტრანში. ამას „თელასის“ პრივატიზებ[illegible]ნხებიც დაემატა. ამ თანხე[illegible]ლება ჩვენდამი ნდობის დამ[illegible]რებაც არის. აკი ბატონ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრისას ბატონმა მიშელ კამდესიუმ ხაზგასმით განაცხადა კიდეც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი კვლავაც სრულ ნდობას უცხადებს საქართველოს, თვლის, რომ ჩვენთან არსებული პრობლემები დროებითია და ფონდი კვლავაც დაუჭერს მხარს რეფორმების ჩვენეულ კურსს.

რაც შეეხება ამ ფონდის 37-მილიონიან ტრანშს, რომელიც ეროვნულ ბანკში მიდის, მას მივიღებთ ყველა იმ პარამეტრის შესრულებისთანავე, რომლებიც ფონდთან გვაქვს შეთანხმებული. ისინი აპრილის თვის ჩათვლით გვაქვს გაკეთებული და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მათი ხორცშესხმისათვის, რათა მაისში ფონდის დირექტორთა საბჭომ განიხილოს და დადებითად გადაწყვიტოს ამ ტრანშის გადმოცემის საკითხი.

წლეულს დაგეგმილი ყველა სხვა დახმარება კი ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია.

— კონკრეტულად რა ოდენობის კრედიტებზეა საუბარი?

— ეს არის ენერგეტიკის სფეროში გარდაქმნათა კრედიტი 25 მილიონი დოლარის ოდენობით, საკი სამის 40-მილიონიანი კრედიტი და სხვა. მათი მიღება კი მხოლოდ ჩვენზე, ჩვენს მუშაობაზეა დამოკიდებული. ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი კორუფციის საწინააღმდეგოდ, რომელიც ახრჩობს ეკონომიკას, საბაჟო და საგადასახადო სამსახურის, სხვა უწყებების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის და ა. შ.

ცხადია, უმჯობესია საკუთარი ძალებით ვძლეოდეთ ყველა პრობლემას და გარეშე დახმარებებს არ ვსაჭიროებდეთ, მაგრამ საქართველო ხომ ახლაღა ყალიბდება როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რასაც თავისი სიძნელეები ახლავს. თუმცა ჩვენ კი არა, შარშანდელი კრიზისით დაზარალებული აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისთვის იაპონიის მთავრობამ დახმარების ღონისძიებათა სპეციალური პაკეტი შეიმუშავა 50 მილიარდი დოლარის ოდენობით, ძალიან დიდი დახმარება გაეწია ბრაზილიას, იგივე შეიძლება ითქვას რუსეთზე, თუმცა მას სრულად არ მიუღია თანხა.

ასე რომ, განვითარებული მსოფლიო თანამეგობრობის პოზიცია ასეთია: ქვეყნებს, რომლებიც გაუნხრელად ადგანან რეფორმების კურსს და გარეშე მიზეზების გამო წინსვლის ხელშემშლელი პირობები შეექმნათ, დაეხმაროს მათს დაძლევაში. მაგრამ, საბოლოო ჯამით, ყველაფერი მაინც ჩვენზეა დამოკიდებული.

... მინისტრის მაგიდაზე კვლავ აწკარუნდა ტელეფონი. საათს დავხედე. საათნახევარზე მეტი ისე „გაპარულიყო“, საინტერესო საუბრისა და მასპინძლის თავაზიანობის გამოისობით, ვერც ვიგრძენი. თან მისაღებში მომლოდინე ხალხიც გამახსენდა და, დიქტოფონი გამოვრთე.

როდესაც ბატონმა დავითმა ყურმილი დადო, ჯერ უახლოეს მომავალში მორიგ შეხვედრაზე შევუთანხმდი, მერე კი ვთხოვე დასკვნის სახით, ორიოდ სიტყვით მაინც შეეფასებინა წლევანდელი ბიუჯეტი.

1999 წლის ბიუჯეტი, — თქვა მან, — ცნობილი მოვლენების გამო, ძალიან დაძაბული და მძიმე, მაგრამ რეალური იქნება. სამინისტროებსა და უწყებებს ასიგნებანი შეუმცირდებათ, მაგრამ სჯობს ამთავითვე მომჭირნედ მოვეკიდოთ ბიუჯეტს და, განსაკუთრებით, მის ხარჯვითს ნაწილს, არ შევუქმნათ ნოყიერი ნიადაგი დევალვაციასა და ინფლაციურ პროცესებს. ამგვარი მიდგომა კი უკვე 2000 წლისთვის ბევრად უკეთესი ბიუჯეტის შედგენის მყარ საფუძველს შეგვიქმნის...

ესაუბრა რუსლან, რუსია.

პროკურატურა

თურმე, ჩვენი სასამართლოები უსუსურ მოტივებზე დაყრდნობით თავს იკავებენ მკვლელების, ყაჩაღების და სხვა მძიმე დანაშაულობებში მხილებულ პირთა დაპატიმრებისაგან. ამ და კიდევ სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე თამაზ კოღუა.

– კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის პრობლემების განხილვა შეუძლებელია დამნაშავეობის მდგომარეობის ზუსტი ანალიზის უქონლად. სწორედ ზუსტი ანალიზით იკვეთება დამნაშავეობის ძირითადი ტენდენციები, გამომწვევი მიზეზები, მომავალი საქმიანობის მიმართულებები.

შარშან, სამწუხაროდ, აღრიცხულ დანაშაულობათა საერთო რაოდენობამ 998 ერთეულით მოიმატა. ამ ფონზე, საგანგაშოისაა, რომ საგრძნობლად მოიმატა მძიმე კატეგორიის დანაშაულმა და მისი ხვედრითი წილი საერთო სტრუქტურაში თითქმის 35 პროცენტამდე ავიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დანაშაულის ასეთი შკვეთრი ზრდა განაპირობა სამხედრო პროკურატურის კანონიერმა რეაგირებამ ისეთ მძიმე და გავრცელებულ დანაშაულზე, როგორიცაა დეზერტირობა. თუმცა, დეზერტირობასთან ერთად საკმაოდ მოიმატა ქურდობამ, მკვლელობის მცდელობამ, ყალბი ფულის მოჭრამ.

მძიმე დანაშაულის გახსნის მხრივ მოიკოჭლებენ ადიგენის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ვანის, საგარეჯოს, ბორჯომის, სამტრედიის რაიონებში, განზრახ მკვლელობების მხრივ: – კახეთში, შიდა ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში, თბილისში. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პროკურატურისა და პოლიციის მუშაკების კოორდინირებული მუშაობის შედეგად გახსნილია წინა წლებში ჩადენილი 682 დანაშაული.

1998 წლის 2 ნოემბერს ნატახტარი-თბილისის გზატკეცილზე, სოფელ წიწამურთან, ოთხმა დაუდგენელმა პირმა გააჩერა ავტომანქანა „მოსკვიჩი“, რომელსაც მართავდა საქართველოს საფოსტო ბანკის გორის ფილიალის საკრედიტო განყოფილების უფროსი ზურაბ ანიაშვილი. ავტომატისა და პისტოლეტის მუქარით მას წაართვეს 600 ათასი აშშ დოლარი. ჩაისვეს ანიაშვილი და მისი მეუღლე ნონა ლობჟანიძე ავტომანქანა „ბმვ“-ში და წაიყვანეს თბილისში, სადაც გაგარინის მოედანზე გადმოსვეს ავტომანქანიდან და მიიმალნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს საქართველოს საფოსტო ბანკის გორის ფილიალის სავალუტო ოპერაციების განყოფილების უფროსი დავით კაპანაძე და ამავე ბანკის ოპერატორი გიორგი გერმანიშვილი, რომლებიც დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ და მობილური ტელეფონის საშუალებით მიმართულებას და ფულის გადაზიდვის საშუალებებს ატყობინებდნენ ამჟამად ძებნაში მყოფ თავიანთ თანამზრახველებს, რომლებმაც 2 ნოემბერს მოახდინეს შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმა ბანკის თანამშრომელ ზურაბ ანიაშვილზე და გაიტაცეს 600 ათასი აშშ დოლარი.

შიშის სინდრომი თუ განუკითხაობის ბუმი?

დანაშაულობათა რაოდენობა გაიზარდა, დაკავებულთა რაოდენობა კი შემცირდა. რატომ?

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ 1375 პირს დანაშაული ჩადენილი აქვთ ჯგუფურად, შეგვიძლია დავასკვნათ დამნაშავეთა სამყაროს საკმაოდ მაღალ აქტიურობაზე, მის ორგანიზებულობაზე.

კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის თანამშრომელთა მიერ განხორციელებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად აღიკვეთა ე. წ. „ლოტკინის“ ბანდიტური ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობა. ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ეს ლამის 40-კაციანი ბანდა 1993-98 წლებში თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ძარცვის მიზნით აწყობდა ყაჩაღურ თავდასხმებს, სჩადიოდა მკვლელობებს, ძალადობას. მაგალითად, 1996 წლის 9 აგვისტოს ბანდის წევრებმა თბილისში, ლოტკინის დასახლებაში მოკლეს გ. სუხიტაშვილი; 1997 წლის 8 მაისს თბილისში, სულიაშვილის ქუჩის № 12-ში თავს დაესხნენ აბრამიშვილების ოჯახს და მცირეწლოვანი შვილების თვალწინ დახოცეს ცოლ-ქმარი ნანა და ნუგზარ აბრამიშვილები; 1997 წლის 24 აგვისტოს თბილისში, ბახმაროს ქ. № 13-ში კონსტანტინე პუჩკარიდის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმისას ავტომატური იარაღით მოკლეს მეზობლის დასახმარებლად მისული უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი ზაურ ტალახაძე...

განსაკუთრებით გვაღელვებს ბოროტების ჩამდენ პირთა ასაკი. დამნაშავეთა 65 პროცენტი 14-დან 30 წლამდეა. საგულისხმოა, რომ დამნაშავეთაგან თითქმის 90 პროცენტი შრომის უნარიანია, ჯანმრთელია, უმეტესობას სამუშაო აქ არა აქვს. არც იქ ექნება – ციხეში.

– ბატონო თამაზ, კონკრეტულად სად, რომელ რაიონებსა და ქალაქებში მოიმატა დანაშაულობებმა?

– დანაშაულის საერთო რაოდენობა გაზრდილია 25-მდე ქალაქსა და რაიონში. მათ შორის ტრადიციულად მშვიდ რაიონებსა და ქალაქებშიც: – ამბროლაურში, აბაშაში, დედოფლისწყაროში, ახალციხეში, მარნეულში, ოზურგეთში, ჩხოროწყუში, ზუგდიდში, რუსთავში, ქუთაისში.

მძიმე კატეგორიის დანაშაულმა საგრძნობლად იმატა 10-ზე მეტ ქალაქსა და რაიონში. მათ შორის: ვანში, გურჯაანში, ხობში, ზუგდიდში და ქუთაისში.

დანაშაულობათა ზრდის მონაცემები ერთი საწუხარია, მეორე საწუხარია მისი გახსნის მაჩვენებელი. მიუხედავად გაუმჯობესებისა (1,2 პროცენტით), იგი მაინც ტოვებს უკმაყოფილობის გრძნობას, შარშან გაუხსნელი დარჩა – 1798 დანაშაული. მათ შორის მძიმეა – 469. სახელდობრ: 50 – მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა, 62 – ძარცვა, 205 – ყაჩაღობა, 978 – ქურდობა...

დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი განსაკუთრებით ცუდია ოზურგეთის, ცაგერის, ონის, ამბროლაურის, სამტრედიის, ვანის, ბორჯომის, კასპის რაიონებში, ქუთაისში.

არც ის უნდა დავმალოთ, რომ ყოველთვის დროულად ვერ ხერხდება მძიმე დანაშაულობათა ჩადენაში მხილებულ პირთა დაძებნა-დაპატიმრება. ძებნაში მყოფ 7048 ბოროტმოქმედთაგან შარშან დაძებნეს და დააპატიმრეს 3528, ანუ – 50 პროცენტი.

საგულისხმოა, რომ ძებნილთა დიდი ნაწილი მკვლელები, ყაჩაღები და მძარცველები არიან, რომელთა გარეთ ყოფნა კარგს არაფერს უქადის საზოგადოებას.

– თქვენ ყოველთვის მწვავედ რეაგირებთ დანაშაულთა დამალვა-შელამაზებაზე...

– ეს ძალზე მავნე პრაქტიკაა. მოქალაქეთა საჩივრები, საპროკურორო ზედამხედველობის მასალები ნათლად მეტყველებენ, რომ ამ სახის დარღვევები საკმაოდ ფეხმოკიდებულია. დაზარალებულებისათვის საჩივრის რეგისტრაციაზე უარის თქმა, უკანონო დადგენილებების გამოტანა, სისხლის სამართლის დანაშაულის ადმინისტრაციულ ქმედებად დაკვალიფიცირება... ეს დანაშაულის დამალვის ხერხებია.

შარშან პროკურორებმა გამოავლინეს სახელმწიფო აღრიცხვის გარეშე დატოვებული – 717 დანაშაული; ამასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა ორგანოების სხვადასხვა დონის ხელმძღვანელების სახელზე შეტანილია – 477 წარდგინება, 700-მდე პოლიციელი დასჯილია დისციპლინარული წესით, 17 მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

დანაშაულის დამალვის არსებული პრაქტიკა დღეს განსაკუთრებული საშიშროების შემცველია, რადგან იგი აძლიერებს უნდობლობას ხელისუფლების ორგანოების მიმართ. ამან კი შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოგვიტანოს.

ამ ჭეშმარიტებას ანგარიში უნდა გაუწიონ ქვემო ქართლის, რაჭა-ლეჩხუმის ოლქების, თიანეთის, ლენტეხის, ცაგერის, ნინოწმინდის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, მცხეთის, სიღნაღის, სენაკის, თერჯოლის, ზუგდიდის, ქუთაისის, თელავის და ჭიათურის პროკურორებმა, რომლებსაც შარშან არ გამოუვლენიათ დანაშაულის დამალვის არც ერთი ფაქტი.

– ბატონო თამაზ, სადღეისოდ დიდი აჟიოტაჟია სასამართლოებში შექმნილ განუკითხაობაზე. იქ მართლაც გაუგებარი ვითარებაა...

– სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით მოქალაქეთა დაკავების, დაპატიმრების შესახებ საკითხი გადაწყვეტილია ახლებურად, რამაც წარმოშვა უამრავი დამატებითი სიძნელეები. შეინიშნება ეჭვმიტანილთა დაკავების შიშის აშკარა სინდრომი.

წინა წლებთან შედარებით შარშან დანაშაულმა მოიმატა, 121-ე მუხლის შესაბამისად დაკავებულთა რიცხვი კი რატომღაც შემცირდა. ამასთან ერთად, აღკვეთის ღონისძიებების შერჩევისა და საპატიმრო ვადების დადგენის უფლების სასამართლოს კომპეტენციაში გადაცემამ ვერ შექმნა პიროვნების დაცვის სრული გარანტიები, რადგან სასამართლო სისტემა ამისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა.

გამოძიებას გააჩნია მრავალი მაგალითი, როდესაც სასამართლოებმა უსუსურ მოტივებზე დაყრდნობით, თავი შეიკავეს მკვლელების, ყაჩაღების და სხვა მძიმე დანაშაულში მხილებულ პირთა დაპატიმრებისაგან. ყოველივე ეს კი, თუ პირუთვნელად ვიტყვით, დიდ საშიშროებას უქმნის დამნაშავეობასთან ბრძოლას, ქვეყანაში სიმშვიდის დამკვიდრებას.

მართლმსაჯულების განხორციელებას სერიოზულად აბრკოლებს სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა პროცესუალური ვადების დარღვევით განხილვაც. წლევანდელი 1 იანვრისათვის სასამართლოებზე ირიცხებოდა 779 პატიმარი, აქედან – 76 პირის მიმართ სასამართლო პროცესი საერთოდ არ დაწყებულა. ეს კი ძაბავს საგამოძიებო იზოლატორებში არსებულ ისედაც რთულ მდგომარეობას.

და კიდევ: – ჩვენი ვარაუდით, სასამართლო ორგანოებს ნაშთად ერიცხებათ 2700-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე, რაც შეადგენს შარშან, მთელი წლის განმავლობაში განხილულ საქმეთა რაოდენობის 50 პროცენტზე მეტს. როგორც ჩანს, აქ ტემპი უნდა დაჩქარდეს.

– თითოეული დანაშაული მტკივნეულია, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად რომელია ჩვენი მომავალი სადარდებელი?

– უპირველესად, მინდა ყველას ყურადღება შევაჩერო არასრულწლოვანთა დანაშაულზე, რომლის ოდენობამ შარშან 12,2 პროცენტით გაიზარდა. საგანგაშო ის არის, რომ საგრძნობლად იმატა მათ მიერ ჩადენილმა მძიმე კატეგორიის დანაშაულობებმა. მაგალითად, არის განზრახ მკვლელობების (11), სხეულის განზრახ მძიმედ დაზიანებების (16), ყაჩაღობების (51), ქურდობების (420), ხულიგნობის (21), ავტომანქანების გატაცების (35) და ნარკომანიის (13) ფაქტების ზრდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა თბილისის ისნის, გლდანის, კრწანისის, ნაძალადევის, ჩუღურეთის რაიონებში, წყალტუბოსა და ჭიათურაში, აჭარაში.

– ბატონო თამაზ, ახლა ხალხი ბევრს ლაპარაკობს ზნეობრივ დივერსიაზე, ეგრეთ წოდებულ ნარკო თუ პორნო ბიზნესზე, ჩვენი ტრადიციებისათვის მიუღებელი ვიდეოკასეტების, კინოფილმების შემოტანაზე, რაც ძირითადად, ახალგაზრდობას აბრუებს და ათაყვანებს...

– ქვეყანაში უკვე თვალნათლივაა ძალადობის, სექსის, იარაღის პროპაგანდა. ამას თავისი უარყოფითი შედეგები უკვე მოაქვს. სამართალდამცავი ორგანოები რთული ამოცანების წინაშე აღმოჩნდნენ. არ არსებობს სტრუქტურა, რომელიც წინ აღუდგება ამ სახის პროდუქციის გავრცელებას, საბოლოო ჯამში კი, ადამიანების ზნეობრივ, სულიერ გახრწნას. იქნებ ზნეობის პოლიციის შექმნაზეც ვეფიქრა.

ახალგაზრდობას, მომავალ თაობას დროზე უნდა მივხედოთ, თორემ უზნეო ადამიანი საზოგადოებასაც მოწამლავს, კრიმინოგენურ სიტუაციასაც გაამწვავებს და მთელ ჩვენს ძალისხმევასაც გააქარწყლებს.

ესაუბრა
ბონდო გულიაშვილი.

პოლიცია

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ბოროტმოქმედებთან შეტაკებისას გამოჩენილი მამაცობის, გაბედული მოქმედებისა და თავგანწირვისათვის საგარეჯოს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების კრიმინალური პოლიციის არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი ზაზა ქურხული საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 28 იანვრის განკარგულებით დაჯილდოვდა III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

21 იანვარს ღამით, საგარეჯოში, ყუმბარმტყორცნით, ავტომატებით, პისტოლეტებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფებთან შეტაკებისას დაღუპული 23 წლის ზაზა ქურხული 68-ე პოლიციელია, რომელმაც ბოლო ერთ წელიწადში სიცოცხლე შესწირა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას და მშვიდობიანი ცხოვრების გადარჩენას.

საქართველოს პოლიციის მიერ გაღებული ეს დიდი მსხვერპლი, თავისთავად მიანიშნებს იმ ურთულეს ვითარებაზე, რომელშიც მთელი 1998 წლის მანძილზე ყაზარმულ და მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე მყოფ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა სამსახურს, მთელ პირად შემადგენლობას, უხდებოდა საქმიანობა.

დიდი მსხვერპლის ფასად

ბოროტმოქმედთა ჯგუფებთან შეტაკებისას შარშან საქართველოს პოლიციამ 68 მუშაკი დაკარგა

სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ დაუშვა ორი-სამი წლის წინა დამნაშავეობის ახალი აფეთქება, რაც როგორც წესი, ყველა ქვეყანაში თან სდევს საომარ, პოლიტიკურ თუ სოციალურ ეკონომიკურ დაძაბულობას. საქართველოს პოლიციის ძალისხმევით მოხდა პირიქით. არათუ აღარ განმეორდა ორი-სამი წლის წინ ჩავლილი ავადმოსაგონარი კრიმინალური კოშმარი, როცა ცხოვრების წესს გვკარნახობდნენ „შავი სამყაროს“ ლიდერები, შემცირდა მძიმე დანაშაულობათა რიცხვი. მათ შორის მკვლელობების 14,6 პროცენტით, ადამიანის გატაცების 52,5 პროცენტით, ყაჩაღობის – 3,2 პროცენტით, შესაბამისად გაიზარდა ჩადენილი დანაშაულის გახსნის მაჩვენებელიც. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მძიმე დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა 86,6 პროცენტს მიაღწია.

გაიხსნა წინა წლებში ჩადენილი 682 სისხლის სამართლის დანაშაული, მათ შორის 27 მკვლელობა, 6 ადამიანის გატაცება, 101 ყაჩაღობა, 255 ქურდობა და სხვა. ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დანაშაულმა იკლო საქართველოს დედაქალაქში, აგრეთვე კახეთში, შიდა ქართლსა და სხვა რეგიონებში. თუმცა, ცალკეულ რეგიონებსა და ქალაქებში ჯერ კიდევ რთული ვითარებაა.

სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ამ რამდენიმე თვის წინათ სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო ოპერატიული შტაბის შექმნა, რომლის ხელმძღვანელობაც დაეკისრა მინისტრის მოადგილეს, პოლიციის გენერალ-მაიორს თემურ მურღულიას. სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, წამყვანი ოპერატიული თანამშრომლები ადგილობრივ პოლიციასთან ერთად ახორციელებენ პროფილაქტიკურ და ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობას დამნაშავეთა ჯგუფების საქმიანობის გამოსავლენად და დასაკავებლად, სასიცოცხლო ობიექტების დასაცავად. საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი, რომ პროკურატურისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა უზრუნველყვეს 9 თებერვლის ტერორისტული აქტისა და 19 ოქტომბრის ამბოხების მონაწილეთა უმეტესობის დადგენა-დაკავება, მათ ხელთ არსებული დიდძალი იარაღისა და საბრძოლო მასალების ამოღება. პოლიციის ძალისხმევისა და პროფესიონალიზმის წყალობით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განადგურდა მსხვილი კრიმინალური ბანდები, რომლებიც წლების მანძილზე აწიოკებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

შარშან აგვისტოში გურიის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა, სამხარეო პოლიციის უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის ვიქტორ გობრონიძის მეთაურობით და შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ოპერატიული სამსახურების თანადგომით საბოლოოდ აღკვეთეს ნოდარ სვანიძის ბანდიტური ჯგუფის თარეში, ხოლო თვით ბანდის მეთაური დაკავებისას შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას მოკლეს თავის ერთ-ერთ თანამზრახველთან ერთად. სვანიძის და გურიამ მოთარაშე სხვა ბანდების კისერზეა მრავალი ადამიანის, მათ შორის 28 პოლიციელის სიცოცხლე, ასობით ჩადენილი ყაჩაღობა, ძარცვა, ადამიანის გატაცება და სხვა დანაშაული. შარშან პოლიციამ ქურდულ სამყაროს ფრთების ფართოდ გაშლის საშუალება არ მისცა. მაგრამ, სამინისტროს ხელმძღვანელობას მაინც არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია კრიმინალური პოლიციის სამხარეო და ადგილობრივი დანაყოფების საქმიანობა ე. წ. „კანონიერი ქურდების“ და დამნაშავეთა სამყაროს ლიდერების წინააღმდეგ. გასულ წელს დააკავეს მხოლოდ 13 „კანონიერი ქურდი“ და ლიდერი. ოპერატიული მონაცემებით, მათი რიცხვი 500-ს აჭარბებს, რომელთა უმეტესობა ამჟამად გასულია ქვეყნის გარეთ. სამინისტრომ დასახა ღონისძიებები, – ინტერპოლისა და შესაბამისი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების დახმარებით მოიძებნოს, დააკავოს და საქართველოში გადმოგზავნოს ქურდული სამყაროს ის წარმომადგენლები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალნენ სხვა ქვეყანაში და ამჟამად იძებნებიან.

და კიდევ ერთი პრობლემა, რომელზედაც სამინისტროს ხელმძღვანელობას აუცილებლად მიაჩნია მიაპყროს საზოგადოებრიობის ყურადღება.

ყველას ახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ ცალკეული შეიარაღებული ფორმირებებისა და კრიმინალური სამყაროს სხვა წარმომადგენლები როგორ „უჯდებოდნენ წილში“ საქმიან ადამიანებს, ან უბრალოდ ეწეოდნენ რეკეტს.

პოლიციის ძალისხმევით ეს ბოროტება აღმოიფხვრა. ბიზნესს შეჭიდებულმა ხალხმა ამოისუნთქა, მაგრამ არის ოპერატიული მონაცემები, რომ თბილისში, ფოთსა და სხვა ქალაქებში გამოჩნდნენ ახლად გამოჩეკილი რეკეტიორები. შემაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ, უმეტეს შემთხვევაში, დაზარალებულები არ მიმართავენ პოლიციას.

როგორც ცნობილია, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა გასცდა ერთი, ცალკე აღებული ქვეყნის ფარგლებს. მართალია, საქართველო არ წარმოადგენს ნარკოტიკების ძირითად მწარმოებელს, მაგრამ მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ტრასეკას, „აბრეშუმის გზის“ ამოქმედება დიდი სიკეთის მოტანასთან ერთად უკიდურესად ამწვავებს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების ტრანზიტის და არაკანონიერი ბრუნვის გაფართოების რისკის ფაქტორს. სწორედ ამიტომ ხდება საქართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის ფართოდ ინტეგრირება გაეროს, ევროკავშირის, ინტერპოლის და სხვა ორგანიზაციების შესაბამის სტრუქტურებთან და საერთაშორისო პროგრამებთან.

უშუალოდ ეროვნული ბიუროს მიერ გამოვლენილია 186 სამართალდარღვევა, მათ შორის ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდის 11, რეალიზაციის – 40, შენახვის – 33 ფაქტი. ამოღებულია 915,086 გრამი ჰეროინი, 16 კილოგრამი ოპიუმი, 31,780 კილოგრამი მარიხუანა, 1638 კაფსულა, 61 ამპულა და 4736 აბი ტრამალი, 38 აბი და 9 ამპულა რელანიუმი, 2 ათას აბზე მეტი კოდეინი, 188 ამპულა მორფინი, უკანონო ბრუნვიდან ამოღებულია სხვადასხვა დასახელების 19.622 აბი და 295 ამპულა ძლიერმოქმედი პრეპარატები. გარდა ამისა, გამოვლინდა და განადგურდა 54 კანაფის და ერთი ყაყაჩოს უკანონო ნათესი, 118 კანაფისა და ერთი ყაყაჩოს ველურად მზარდი რაყა – სულ 31.290.944 კილოგრამი კანაფი და 62 კილოგრამი ყაყაჩო.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა თბილისში მცხოვრებ ნუგზარ ხაჟომიას ბინიდან ამოიღეს 117.750 დოლარად ღირებული 784,6 გრამი ჰეროინი და 164.000 აშშ დოლარად ღირებული 4,15 კილოგრამი ოპიუმი. თბილისის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს აზერბაიჯანის მოქალაქე სარიგულ მამედოვა, რომელმაც საქართველოში კონტრაბანდული გზით შემოიტანა 2,2 კილოგრამი ოპიუმი. დააკავეს ყაბახეთის რესპუბლიკის ქ. მამლუტკაში მცხოვრები ფირმა „მეგობრობის“ დირექტორი ზურაბ კვეტენაძე, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს ამოაჩნდა 14,5 გრამი ოპიუმი, ხოლო მისი ნათესავის, თბილისში მცხოვრების მიხეილ შულლაძის ავტოფარეხიდან ამოღებულია მის მიერ გასაღების მიზნით შენახული 5,4 კილოგრამი ოპიუმი.

ახლახან „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს მოვუთხრეთ, რა მუშაობა გასწია შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციის, ეკონომიკური დანაშაულის, ყალბი ვალუტის, კონტრაბანდისა და რეალიზაციის, სავალუტო ოპერაციებისა და ლარის, როგორც ერთადერთი საგადამხდელო საშუალების წესების დარღვევის, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლის, დიდი ოდენობით გადასახადების დამალვის, ურჩი გადამხდელების, ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, საბიუჯეტო კრიზისისა და სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის გამომწვევი სხვა დანაშაულებების წინააღმდეგ საბრძოლველად. მკითხველს მხოლოდ შევახსენებთ, რომ 1998 წელს ამ ხაზით გამოვლენილია 902 სისხლის სამართლის დანაშაული, მათ შორის მექრთამეობის 42 ფაქტი, (წინა წელთან შედარებით 2-ით მეტი), კონტრაბანდის 61 (31-ერთეულით მეტი), ყალბი ფულის დამზადება-გასაღების 45 (10 ერთეულით მეტი), საბიუჯეტო შემოსავლების დამალვის 44 (14 ერთეულით მეტი), ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, დაუდევრობის, თაღლითობის – 156 (22 ერთეულით მეტი) და სხვა.

რაც შეეხება ამ დანაშაულობათა შედეგად კონკრეტული სამსახურების, სტრუქტურების და თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით ქვეყნისა და საზოგადოებრიობისათვის მიყენებული ზარალის აღმნიშვნელ ციფრებს, სადაც მილიონებზეა ლაპარაკი, როგორც ჩემთვის ცნობილია, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე დაასახელებს თვითონ მინისტრი, ბატონი კახა თარგამაძე.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ყველაფერი იღონა ქვეყანაში სტაბილურობისა და წესრიგის შენარჩუნებისათვის, არ დაუშვა დაძაბული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე დამნაშავეობის ზრდა, კრიმინოგენური ვითარება კვლავ რთულია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 1999 წელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელ პირად შემადგენლობას კვლავ გაძლიერებული რეჟიმით მოუწევს მუშაობა.

ვალერიან გოგოლაშვილი,
მსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მრჩეველ-სპეციალისტი.

უშიშროება

როცა საწამლავი ნერწყვის მომგვრელია

ჩვენს ბაზარზე უვარგისი პროდუქტები კონტრაბანდულად შემოდის

ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ „შპიგელი“ წერდა გერმანიის ძეხვის ინდუსტრიის მესვეურების შეშფოთების მიზეზზე. ეს მიზეზი გახლდათ ე. წ. იაფფასიანი ევროძეხვის საქმე, რომელიც ახალი რეცეპტით წარსდგა მომხმარებლის წინაშე. კერძოდ, ძეხვის ფარშში ხორცის ნაკლები შემცველობით და უფრო მეტი – სხვა მინარევების, ევროპაში აკრძალული ემულგატორის დამატებით.

მაშინ „შპიგელის“ სტუმარმა, გერმანიაში ხორცის წარმოების ერთ-ერთმა შეფმა აღშფოთებით განაცხადა: „მანიპულაციებს ძეხვის წარმოებაში სამომავლოდ კარი გაეხსნაო“. ამ წინასწარმეტყველების ახდენაზე ახლახან გაზეთმა „სრულიად არასაიდუმლოდ“ გვაუწყა.

გერმანელ მომხმარებელს საკვები პროდუქტის შეძენისას, ნაკლებად ეშინია მოწამვლის, შეიძლება ვთქვათ, საერთოდ არ ეშინია.

ქართველ მომხმარებელს პირიქით, გაცილებით ნაკლები შანსი აქვს საკუთარი ჯანმრთელობის გადარჩენისა.

რომ არა პატარა ანი ბაქრაძის „გოლდ სალამით“ მოწამვლის ფაქტი, ალბათ, კიდევ კარგა ხანს შენიღბული დარჩებოდა დანიური „დელიკატესის“ ისლამური საქმე, რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობდა ქართულ იაფ ბაზარზე...

ნეტა რას ფიქრობდა ჩვენი „კეთილმოსურნე“ ირანელი, რომელიც 1997 წლის აპრილში თავის „დომინიონ ჯორჯია კომპანის“ ქ. თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს რეგისტრაციაში ატარებდა?

საქმე ამით არ დაუმთავრებია, დააფუძნა მეორე ფირმა „მერი გოლდი“, მერე გაჩნდა „თბილისი ჰოლდინგ კომპანიც“.

მათი „მოღვაწეობა“ წელიწადსა და შვიდ თვეს გაგრძელდა (1997 წლის აპრილიდან 1998 წლის დეკემბრამდე).

ექვსი წლის ბაქრაძის მოწამვლის ფაქტი გახმაურდა.

უამრავი ფეხზე მოსიარულე მომხმარებლის ჯანმრთელობის საკითხი კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დაისვა...

ბევრის უეცარი სიკვდილის მიზეზი გაურკვეველი დარჩა...

ექსპერტიზა საქართველოში შემოტანილ ძეხვზე, მის გაყიდვამდე კი არ ჩატარდა, არამედ რეალიზაციიდან წელიწადნახევარზე მეტი ხნის შემდეგ, ისიც საქართველოს უშიშროების საგამოძიებო სამსახურის დავალებით, როცა საქმე გამოძიებაზე მიდგა. შემთხვევითობის გამოსარიცხად ძეხვის ნიმუში საექსპერტო გამოკვლევისათვის ყველა სასაწყობო მეურნეობიდან აიღეს: კოოპერატივი „თელეთი“ , „იმედი-2,“ „თეთრი ქალაქი“. ექსპერტიზის დასკვნით, ძეხვი „დაბინძურებულია მიკრობებით, რომელიც საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ექვემდებარება განადგურებას“; ამასთან, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასურსათო კომისიის მიერ საშიშად არის მიჩნეული E-120 ტიპის ემულგატორი და მრავალ ევროპულ ქვეყანაშია აკრძალული. ასეთი ემულგატორი ნახმარია 400-გრამიან ძეხვის ნიმუშში, რაც ეტიკეტზეა მითითებული“...

უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეებს: შპს „დომინიონ ჯორჯია კომპანის“ პრეზიდენტის მეჰდი ყორეიშის, ფირმის დირექტორის – ფარზად ფარ ხოსრავის, აბას ჯაფარის ძე ყაფურის („დომინიონის“ დირექტორი ერთი თვის მანძილზე), „მერი გოლდის“ პრეზიდენტის – სეიდ ჰამიდ შირაზის მიმართ. აშკარა გახდა კონტრაბანდის, საბაჟო გადასახდელებისაგან თავის არიდების (განმეორებით), დიდი ოდენობით შემოსავლის დაფარვის ფაქტები. ჩადენილი დანაშაულებებისათვის მათ, ვაკის რაიონის სასამართლოს ბრძანებით, შეეფარდათ აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება. ხოლო მეჰდი ყორეიში, რომელიც თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, იძებნება.

ფარზად ფარ ხოსრავი უშუალოდ თვითონ ხელმძღვანელობდა მთელ ოპერაციას, დაწყებული საქონლის მიღებით საბაჟო ტერმინალში – განბაჟება, დაბინავება სასაწყობო მეურნეობებში – და საბითუმო ვაჭრობის ქსელში დარიგებით დამთავრებული.

ოპერაცია იწყებოდა მოტყუებით და ასე გადიოდა მთელ გზას მის გასრულებამდე, ანუ – კონტრაბანდით. ტვირთის თანმყოლ დოკუმენტებში ფიქსირდებოდა შემოტანილი პროდუქციის რეალურ ღირებულებასთან შედარებით ნაკლები ფასი. ამ დოკუმენტების საფუძველზე ხდებოდა განბაჟება, ანუ საქონელი, დაბალი ფასის მიხედვით, იბეგრებოდა უფრო ნაკლები პროცენტით. ფირმა ასე არიდებდა თავს დიდი ოდენობით საბაჟო გადასახადს. საბაჟო დეკლარაციებშიც ყალბი მონაცემები აღირიცხებოდა. შემდეგ – რეალიზაციის პროცესში შედგენილ საბუღალტრო დოკუმენტაციაში აფიქსირებდნენ გაყიდული საქონლის ნაკლებ რაოდენობას და გაცილებით დაბალ ფასს, ვიდრე ის რეალურად ღირდა საბითუმო ქსელში. დამალული იყო ნამდვილი საქონელბრუნვა და მოგება. საგადასახადო ორგანოებთან ანგარიშსწორება ხდებოდა უმნიშვნელო თანხებით.

იშვიათი გონიერებით მოაწყეს ფირმის პატრონებმა სამოქმედო მექანიზმი: შპს „დომინიონ ჯორჯია კომპანის“ სახელზე ქ. თბილისის **TBC** ბანკში გახსნილ ანგარიშზე ირიცხებოდა თანხების ის ნაწილი, რაც აუცილებელი იყო საქონლის შემცირებული ფასებით შემოტანისთვის, შემცირებული ფასებით რეალიზებისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. ამავდროულად, იმავე ბანკში, ფირმის ყოფილი დირექტორის სახელზე გახსნილ პირად აგარიშზე გროვდებოდა მოგების რეალურად დიდი ნაწილი, რომელიც იგზავნებოდა დანიასა და კალიფორნიაში შპს-ს პრეზიდენტის მითითებით.

მეჰდი ყორეიში ირანიდან და ამერიკიდან უძღვებოდა საქმის მსვლელობას. პრეზიდენტსა და დირექტორს შორის მოლაპარაკების მიხედვით, ტვირთის შოვნა, ყალბი საბუთების დამზადება პრეზიდენტს ეკისრებოდა, ტვირთის საქართველოში შემოსვლა და რეალიზაცია – დირექტორს.

„მერი გოლდსაც“ თავდაპირველად მეჰდი ყორეიში პარტნიორობდა. იგი აქაც საქონლის მომწოდებელი და ყალბი დოკუმენტების ავტორია, ხოლო საქონელს ყიდდა „მერი გოლდის“ პრეზიდენტი სეიდ ჰამიდ შირაზი და ფარზად ფარ ხოსრავი (დირექტორი), რომელიც სპეციალურად მოავლინა ყორეიშმა გამოგზავნილი ძეხვის რეალიზაციის გასაკონტროლებლად.

„დომინიონ ჯორჯიაში“ საქონლის ბრუნვის 85 პროცენტი ძეხვია, დანარჩენი – სინთეტიკური ქეჩა, ავტომობილის ძრავის ამერიკული ზეთები, საოფისე ავეჯი, ჩინური წარმოების სპორტული ფეხსაცმელი... მაქინაციები ამ საქონლითაც ხდებოდა.

დღეისათვის საქართველოში შემოტანილი 680 ათასი კგ დანიური წარმოების ძეხვიდან ამოღებული და დალუქულია 467 440 კგ, დანარჩენი რეალიზებულია. უშიშროების საგამოძიებო სამსახური, ოპერატიულ სამსახურთან ერთად, აგრძელებს სავაჭრო ქსელებში შემოწმებებს. ძეხვი „გოლდ სალამი“ აღარ უნდა მოხვდეს მომხმარებლის სამზარეულოში.

მიმდინარეობს ფირმების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია. ძიება „თბილისი ჰოლდინგ კომპანიზე“ გრძელდება.

უცხოელმა ჩვენი ჯანმრთელობის ფასად დიდი მოგებაც დაატრიალა. მას ქართველიც ბევრი წაეხმარა.

უშიშროების საგამოძიებო სამსახურმა წინასწარი გამოძიებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა შპს „დომინიონ ჯორჯია კომპანის“ ქართველი თანამშრომლები: თარჯიმნები – ნატა ჯოჯუა, თეა პიტიურიშვილი; მებაჟე ლაშა ბარამიძე.

ნატა ჯოჯუა, კონტრაბანდის გასაწევად ორგანიზებულ პირთა ჯგუფის აქტიური წევრი, ახდენდა საქართველოში შემოსატანი საქონლის საბაჟო გაფორმებას, ხელს აწერდა სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებს, ადასტურებდა მასში შეტანილ მონაცემებს; განბაჟების პროცესში იყენებდა გაყალბებულ ინვოისებს.

მეორე თარჯიმანმა – თეა პიტიურიშვილმა, წინასწარი შეპირების გარეშე, დაფარა მ. ყორეიშის, ფ. ხოსრავის, ა. ყაფურისა და ნ. ჯოჯუას სახელმწიფო დანაშაული – კონტრაბანდის შესახებ. იგი მონაწილეობდა კონტრაბანდული გზით შემოსული საქონლის რეალიზაციაში; კრებდა ამოღებულ თანხებს და ქ. თბილისის **TBC** ბანკის მეშვეობით აგზავნიდა ყორეიშისაგან ნაჩვენებ ანგარიშებზე.

მძიმე შედეგი მოჰყვა მებაჟე ლაშა ბარამიძის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასაც.

თუ აქ დავძლევდით ანგარების დამღუპველ სენს, მაშინ ირანელ კონტრაბანდისტთა დიდმასშტაბიან მანიპულაციებსაც თავშივე წერტილი დაესმებოდა.

მაშინ სახელმწიფო ბიუჯეტი ზარალს გადარჩებოდა, რაც „დომინიონ ჯორჯია კომპანისაგან“ 756 071 ამერიკული დოლარია; „მერი გოლდისგან“ – 89209 ამერიკული დოლარი.

და, რაც მთავარია, ქართველი მომხმარებლის ჯანმრთელობა დაზღვეული იქნებოდა.

ეს არ მოხდა.

ეკა ლობჟანიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№36. ოთხშაბათი. 10 თებერვალი. 1999 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიკონურიდან – გვიანაში

ყაზახეთის ტრამალი შეიძლება საფრანგეთის გვიანას ჯუნგლმა შეცვალოს.

ამ დღეებში ბაიკონურის კოსმოდრომიდან უშვებენ რაკეტა „სოიუზს", რომელიც ორბიტაზე გაიყვანს ამერიკის ფირმა „გლობასტარის" სატელეფონო მობილური კავშირის 4 თანამგზავრს. ეს არის შედეგი რუსეთ-საფრანგეთის კომპანია „სტარსენის" საქმიანობისა, რომელიც უძღვება „სოიუზ" რაკეტების მსოფლიო ბაზარზე გაყიდვას. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იუბერ ვედრინის ამასწინანდელი მოსკოვის ვიზიტის დროს ხელი მოეწერა საბაჟო და საგადასახადო ოქმს, რომელიც ავსებს რუსეთ-საფრანგეთის კოსმოსური თანამშრომლობის შეთანხმებას. „სტარსენი" სწავლობს შესაძლებლობას, გაუშვას „სოიუზები" საფრანგეთის გვიანაში მდებარე კურუს კოსმოდრომიდან და არა ბაიკონურიდან. ეს რუსეთის მატარებელ რაკეტას საშუალებას მისცემს გეოსტაციონარულ ორბიტაზე გაიყვანოს ერთიდან ორ ტონამდე წონის თანამგზავრები. გარდა ამისა, საფრანგეთის გვიანას აქვს პოლიტიკური ხასიათის უპირატესობაც: ბაიკონურისაგან განსხვავებით, ის არ არის დამოკიდებული ყაზახეთზე, წერს ფრანგული „ფიგარო ეკონომი".

შრედერი და მისი გუნდი: 100 დღის შემდეგ

თუ ფრანგებს ოხუნჯობა უყვართ, ინგლისელებს — მდუმარე ჭვრეტა, ბელგიელებს კი საჭმლის კეთება, გერმანელთა უსაყვარლესი საქმიანობაა — თვლა, დებეტისა და კრედიტის შეჯერება. და ახლა სწორედ ასეთი დრო დადგა. გეგონება, მთელი გერმანია გადავიდაო ანგარიშზე, და ყველანი კრიტიკულად აანალიზებენ გერჰარდ შრედერის გუნდის პირველ 100 დღეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენ ქვეყანას ვმართავთ არა 100 დღე, არამედ 100 წელიწადია, და სწორედ ამ მომენტში წყდება ყოფნა-არყოფნის საკითხი, ამბობს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი პეტერ შტრუკი, რომელსაც წინ უწყვია ცნობებისა და დიაგრამების მთელი გროვა.

თუ შეფასებებით ვიმსჯელებთ, კმაყოფილნი ცოტანი არიან. ყველაზე მეტად ლანძღავენ კოალიციას შეუთანხმებელი მოქმედების, პირობის შეუსრულებლობის, დილეტანტობისა და ქარაფშუტობისათვის. განსაკუთრებით იდებს თავს ოპოზიცია. მაგრამ, როგორც ჩანს, ტყუილუბრალოდაც არ ლანძღავენ: არ იგრძნობა შესამჩნევი მიღწევები, არ მომატებიათ ახალი თავისუფლებანი, არ შემცირებულა უმუშევართა რიცხვი, პირიქით, 232 ათასით გაიზარდა. თუმცა, ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში ფინანსთა მინისტრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ოსკარ ლაფონტენი აცხადებდა, რომ უახლოეს ხანს უმუშევართა რიცხვი ოთხი მილიონიდან სამამდე შემცირდებაო.

უკმაყოფილონი არიან მეწარმეებიც, რომლებსაც უპირებენ ახალი გადასახადებით დაბეგვრას, ხელფასის გადიდებული მინიმუმის შემოღებას. სოციალური სამართლიანობის შესახებ წარმოთქმული ლამაზი სიტყვებით დაბნეული პროფკავშირები მეპატრონეებს უტევენ და მოითხოვენ უფრო შეღავათიან სატარიფო შეთანხმებებს, თუ არადა, — გავიფიცებითო. ამას ემატება „მწვანეთა" ინიციატივაც ორმაგი მოქალაქეობის შემოღების შესახებ, რომელმაც საზოგადოება გათიშა პატრიოტებად და კოსმოპოლიტებად. ქრისტიანი დემოკრატები აგროვებენ თანამოაზრეთა ხელმოწერებს, გამოდიან ორი პასპორტის სისტემის წინააღმდეგ და ქუდზე კაცს იხმობენ ეროვნული ერთიანობისა და მიღწევისათვის საბრძოლველად.

მათ რომ უსმინო, შეიძლება დაასკვნა, რომ ხვალ ქვეყანაში დაისადგურებს ქაოსი, და სუპერტანკერი „გერმანია", რომელსაც ხამი მეზღვაური გაუბედავად მართავს, ფსკერისაკენ გაექანება. სწორედ ასე წარმოუდგენია მომავალი, მაგალითად, ქდკ/ქსს ფრაქციის პირველ საპარლამენტო მდივანს ჰანს პეტერ რეპნიკს. იგი აფრთხილებს კანცლერს, რომ გერმანია არ არის საცდელი ნაკვეთი წითელ-მწვანე ექსპერიმენტებისათვის. ხოლო, ჰელმუტ კოლი გაოცებულია, სად ჰქონდათ ჭკუა გამჭრიახ გერმანელებს, როცა ხმა სოციალ-დემოკრატებს მისცესო.

ხოლო ისინი, ვისაც ხმა მისცეს გერმანელებმა, მხნედ და ხალისიანად გამოიყურებიან, ცხადყოფენ მტკიცე ოპტიმიზმს. ყველაფერი რიგზეა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. თუმცა, ცალკეული ნაკლოვანებები გვაქვსო, ამტკიცებს გერჰარდ შრედერი. საგარეო საქმეთა ისეთი მინისტრი კი, როგორიც იოშკა ფიშერია, ქვეყანას ვილი ბრანდტის შემდეგ საერთოდ არ ახსოვსო.

ერთი სიტყვით, ემოციები მოეძალა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. მაგრამ უკიდურესი თვალსაზრისები — ყოველთვის ჰიპერბოლაა. უფრო მშვიდი ანალიზი გვიჩვენებს, რომ განვლილმა 100 დღემ თუ არ შეაზანზარა, შეანჯღრია მაინც გერმანია. მაგრამ ყველაზე გამაოგნებელი აღმოჩენა, რომელიც ანალიტიკოსებმა მოახდინეს, ის არის, რომ საანგარიშო პერიოდში შრედერის პრესტიჟი უმაგალითოდ გაიზარდა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მის საქმიანობას კანცლერის პოსტზე იწონებს გერმანიის მოქალაქეთა 78 პროცენტი.

ამ 100 დღის მანძილზე შრედერმა გამოიჩინა საოცარი სიმტკიცე და შეუვალობა თავისი მეტოქეების ავყია თავდასხმების მიმართ. იგი ცხადყოფს გამოცდილი პოლიტიკური მებრძოლის წრთობას, რომელიც კარგად იტანს დარტყმებს. კარიკატურებზე მას წარმოსახავენ ქონდრისკაცად ჰელმუტ კოლთან შედარებით, მაგრამ ეს როდი უფუჭებს გუნება-განწყობილებას. ხშირად, ტრიბუნაზე გამოსვლისას თვითონაც ოხუნჯობით ცდილობს მოიცილოს ყოფილი კანცლერის აჩრდილი: „ეს ბლენძი კიდევ აქ არისო?"

მან იცის, როგორ მოაწონოს თავი ხალხს, და ხალხიც ტაშს უკრავს. პატიობენ შეცდომებს, მეტისმეტ ბანალობას სიტყვებში, რომლებსაც წაუკითხავად წარმოთქვამს, და ერთგვარ ძმაბიჭურ დამოკიდებულებას პრესასთან, რასაც არაფრის დიდებით არ დაუშვებდნენ მისი დარბაისელი წინამორბედნი — ჰელმუტ კოლი და ჰელმუტ შმიდტი. შრედერის საყვარელი გამოთქმაა — „უნდა იმუშაო მხიარულად", ხოლო საყვარელი სიტყვა — „უშუალობა".

სულ რამდენიმე თვის წინათ ბევრმა არ იცოდა შრედერი ვინ იყო, იგი ძალზე გაუბედავად გამოიყურებოდა. მაგრამ ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ 100 დღეში იგი საუცხოოდ დაეუფლა დამოუკიდებელი და მტკიცე პოლიტიკოსის როლს, რომელსაც სულაც არ სჭირდება პარტიული ხელმძღვანელობის აზრის მოშველიება. თვით ოსკარ ლაფონტენიც კი მას „შეფს" უწოდებს. ჟურნალისტები გაოცებას გამოთქვამენ, აქამდე როგორ არ ვიცნობდითო. მაგრამ მას ჯერ სრულად არ გამოუჩენია თავი, წერს „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი".

18 თებერვალს გერჰარდ შრედერი ევროპის კომისიის დელეგაციასთან ერთად ეწვევა მოსკოვს. მასზე, როგორც ევროკავშირის ახლანდელ თავმჯდომარეზე, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული, მისცემს თუ არა ევროპა ახალ კრედიტებს რუსეთს, და აპატიებს თუ არა ძველ ვალებს, არავინ იცის. მოსკოვისათვის შრედერი ისეთივე გამოცანაა, როგორც გერმანიის საზოგადოებისათვის, წერს „იზვესტიაში" ბორის ვინოგრადოვი.

RADIO LIBERTY, BBC, CNN იუწყება

შეერთებულმა შტატებმა მკაცრად დაგმო სერბეთის მთავრობის გადაწყვეტილება იმ ფარმაცევტული კომპანიის კონფისკაციის შესახებ, რომელიც ნაწილობრივ ეკუთვნოდა სერბული წარმოშობის ამერიკელ ბიზნესმენს მილან პანიჩს, იუგოსლავიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის მოწინააღმდეგეს. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა კონფისკაციას უწოდა ცდა, ჩააჩუმონ ქვეყნის დემოკრატიული ოპოზიცია, და დასძინა, რომ სერბეთის ხელისუფალთ, გარდა ამისა, არ სურთ იხადონ დიდძალი თანხები, რომლებიც კომპანიისა მართებთ. სერბეთის მთავრობის თქმით, კონფისკაციის მიზეზია კონტრაქტის დარღვევა, რომლის მიხედვითაც კომპანიას ფული სერბეთში უნდა დაებანდებინა.

ამერიკის სენატის წევრები გაეცნენ მხარეთა საბოლოო არგუმენტებს პრეზიდენტ კლინტონის საიმპიჩმენტო მოსმენაზე. ბრალდებამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ჩვენებანი ადასტურებს მართლმსაჯულების დაბრკოლებისა და ცრუმოწმეობის ბრალდებებს. მისი აზრით, პრეზიდენტ კლინტონის გადაყენების უნარობა საფრთხეს უქმნის ამერიკის პრეზიდენტობის ინსტიტუტს. მაგრამ თეთრი სახლის საბჭოს წარმომადგენელმა ჩარლზ რუფმა (სურათზე) განაცხადა, რომ თუმც ბილ კლინტონმა ტკივილი მიაყენა ამერიკას მონიკა ლევინსკისთან ურთიერთობით, მისი მოქმედება მაინც ვერ იქნება იმპიჩმენტის საფუძველი. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი იუწყება, სენატორებს სული კბილით ეჭირათ, ვინაიდან მხარეები თავიანთ არგუმენტებს დაუსრულებლად იმეორებდნენ. საბოლოო კენჭისყრა უნდა მოეწყოს ხუთშაბათს ან პარასკევს, და ბილ კლინტონს, ალბათ, გაკიცხვა მოელის.

ლიტვის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, გაგრძელდეს თუ არა ორი მოქალაქის პროცესი, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან სამხედრო დანაშაულობებში. ორ ყოფილ პოლიციის უფროსს ბრალად ედება ბრძანებების გაცემა ათასობით ებრაელის მკვლელობის შესახებ მეორე მსოფლიო ომის წლებში, როდესაც ლიტვა გერმანიას ჰყავდა ოკუპირებული. სასამართლო იანვარში შეჩერდა ბრალდებულთა სამედიცინო გამოკვლევისათვის, რის შემდეგაც ორივე განსასჯელი, რომლებიც 90 წელიწადზე მეტი ხნისანნი არიან, მეტისმეტად ავადმყოფებად ცნეს. გუშინ ებრაელთა გავლენიანმა ორგანიზაციამ — სიმონ ვიზენტალის ცენტრმა განაცხადა, რომ ლიტვას არ სურს დაასრულოს სასამართლო პროცესი, და ევროკავშირსა და ვაშინგტონს მოუწოდა, ძალა დაატანონ ლიტვის ხელისუფალთ.

ჰუსეინის დაკრძალვაზე ჩასული მსოფლიო ლიდერების მიერ იორდანიის მხარდაჭერის დამაჯერებელი დემონსტრაციის შემდეგ საერთაშორისო ყურადღება მიპყრობილია მისი შვილის აბდალა მეფისადმი. მან უკვე განაცხადა, რომ განზრახული აქვს განაგრძოს მამის პოლიტიკა. მაგრამ მეთვალყურენი ხაზს უსვამენ, რომ აბდალამ მემკვიდრეობად მიიღო ქვეყანა მორყეული ეკონომიკითა და მოსახლეობით, რომელსაც მიაჩნია, რომ ისრაელთან დადებულმა ხელშეკრულებამ ბევრი არაფერი მოუტანა იორდანიას. როგორც ბი-ბი-სის ამმანელი კორესპონდენტი იუწყება, ახალი ლიდერის მთავარი საზრუნავი გახდება წონასწორობის დაცვის ურთულესი პოლიტიკა, რომელსაც ჰუსეინი ახორციელებდა: ერთი მხრივ ისრაელთან მშვიდობა და ვაშინგტონთან თანამშრომლობა, და, მეორე მხრივ რთული ურთიერთობა ზოგიერთ ქვეყანასთან, მაგალითად, სირიასთან და ერაყთან.

ბრიტანეთის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს რობინ კუკს და იუბერ ვედრინს განზრახული აქვთ, შეუერთდნენ მოლაპარაკებას კოსოვოს საკითხზე. მინისტრები იმედოვნებენ, რომ შეიპირებენ მხარეებს შეთანხმების მიღწევაზე ორი კვირის განმავლობაში, რათა თავიდან აიცილონ ნატოს შესაძლო სამხედრო ინტერვენცია. ალიანსის გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ კოსოვოში აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტი შეთანხმების შესრულებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად.

ეთიოპიის სამხედრო საჰაერო-ძალების თვითმფრინავებმა დაბომბეს სასაზღვრო სამკუთხედი ბადმეს სადავო პუნქტის რაიონში, სადაც მეოთხე დღეა გრძელდება მძიმე ბრძოლები ერითრეის ჯარებთან. კონფლიქტი დაიწყო 1993 წელს, როდესაც ერითრეა ეთიოპიას გამოეყო.

გუშინ საფრანგეთში სასამართლოს წინაშე წარსდგა სამი წამყვანი პოლიტიკოსი, რომლებსაც ბრალად ედებათ წინასწარ განუზრახველი მკვლელობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქმედებდნენ ისინი შიდსის ეპიდემიის გავრცელების ადრეულ სტადიაზე. ყოფილ პრემიერ-მინისტრს სოციალისტ ლორან ფაბიუსს და მისი კაბინეტის ორ მინისტრს ბრალდება შვიდი კაცის დაღუპვა ინფექციისაგან, რაც გამოიწვია დანაშაულებრივმა დაუდევრობამ სისხლის გადასხმის სისტემის რეგულირებაში 80-იანი წლების დროს, როდესაც უკვე ცნობილი იყო, რომ დონორებისადმი ჯეროვანი კონტროლის გაუწევლობას შეიძლება მოჰყვეს შიდსით დაავადება. მაშინ დაახლოებით 4 ათას კაცს გადაესხა დასნებოვნებული სისხლი და მათგან ასობით ადამიანი უკვე დაიღუპა.

79 წლისა გარდაიცვალა აირის მერდოკი, ბრიტანელი რომანისტი ქალი. მისი ახლობლები იუწყებიან, რომ მერდოკს ალცჰაიმერის დაავადება სჭირდა. მერდოკი იყო თავისი თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ბრიტანელი მწერალი, რომელსაც საერთაშორისო აღიარება მოუპოვა „ო, ზღვაო, ზღვაოს" ტიპის რომანებმა.

შავი შაშხანა

მილიტარიზმის სიმბოლოს, განთქმულ „შავ შაშხანას" გამორჩეული ადგილი უკავია მსოფლიოს ცეცხლსასროლ იარაღებში. თავის დროზე, საიერიშო მ-16 შაშხანა გახდა დასავლეთის თავისებური პასუხი კალაშნიკოვის ავტომატზე. ეს უკანასკნელი კი იწვევდა სოციალისტური ბანაკისა და ნაირ-ნაირი რევოლუციური თუ რადიკალური, ანუ ტერორისტული მოძრაობების ასოციაციას. მაგრამ, თუ „ცივი ომის" დამთავრების შემდეგ პოლიტიკურ სისტემათა ბრძოლა ჩაცხრა, ცეცხლსასროლი სისტემების დაპირისპირება გრძელდება. მ-16 საუკეთესო იარაღია ისეთი ომის წარმოებისათვის, როგორიც იყო ვიეტნამის კონფლიქტი. ეს საიმედო, მსუბუქი იარაღი უზრუნველყოფს მტრის ეფექტიან განადგურებას. ვიეტკონგს ეშინია „შავი შაშხანისა", — წერდა გენერალი უილიამს უესტმორლენდი. სსრ კავშირში მ-16-ის წინააღმდეგ გაჩაღებული იყო პროპაგანდისტული კამპანია, ამერიკული შაშხანა თავისი არსით ვერ იქნებოდა კარგი, ვინაიდან „მილიტარისტულ მისწრაფებებს ემსახურებოდა". კინემატოგრაფისტებს ასევე არ დაუტოვებიათ უყურადღებოდ მ-16 — შაშხანა ამერიკული მძაფრი ფილმების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გმირების უსაყვარლესი იარაღია და, როგორც ნებისმიერ სხვა იარაღს, მასაც აქვს უდავო ღირსებები და სერიოზული ნაკლოვანებები.

„შავი შაშხანის" დაბადება

1950-იანი წლების დამდეგს აშშ „არმალაიტ კორპორეიშნის" კონსტრუქტორმა იუჯინ სტონერმა შეიმუშავა ახალი უდგუშო აირსისტემა, დენთის აირის უშუალოდ საკეტ მექანიზმში გადასროლით. სისტემა წარმატებული გამოდგა და 50-იანი წლების დამდეგს საჯაროსო გამოცდაზე წარადგინეს არ-10 ავტომატური შაშხანა 7,62X51 მმ ნატოს ვაზნისათვის. მთელი რიგი ორიგინალური გადაწყვეტების მიუხედავად, სტონერის შაშხანამ მაშინ დიდად არ დააინტერესა სამხედროები, მაგრამ ამერიკელმა კონსტრუქტორმა როდი გაიტეხა გული, და განაგრძო მუშაობა. მან გაამზადა ახალი ვარიანტი მცირე კალიბრის ვაზნისათვის. სტონერმა ზუსტად გაიანგარიშა: ასეთი ვაზნების ტყვიები, თუ მათი სიჩქარე 900-1000 მ/წმ აღწევს, გამანადგურებელი მოქმედებით არ ჩამოუვარდება მსხვილი კალიბრის ტყვიებს. უფრო მეტიც, მცირე კალიბრს აქვს თავისი უპირატესობანი: კლებულობს იარაღის საერთო წონა, მატულობს სატარებელი საბრძოლო მარაგი, მცირდება უკუგების იმპულსი და ამის შედეგად სროლა უფრო ზუსტი ხდება. ხოლო ინტენსიური სროლის დროს ლულა ისე ძლიერ არ ხურდება. უკვე 1957 წელს გაჩნდა 5,56-მმ-იანი საიერიშო შაშხანა არ-15. იგი უფრო მსუბუქი, კომპაქტური და მალმსროლელი იყო. საბრძოლო მასალად გამოიყენებოდა სამონადირეო ვაზნა — 223 რემინგტონი, 3,56 გრ მასის მქონე ტყვიით. სტონერის იარაღი ბევრი თვალსაზრისით იყო უჩვეულო. უწინარეს ყოვლისა, — სამიზნე სამარჯვების არატრადიციული განლაგება — იარაღის გადასატან სპეციალურ ჩარჩოზე. კონდახი ლულის არხის ღერძის ხაზზეა და ასეთი განლაგებისას პრაქტიკულად არ არის უკუცემის მხარი, მცირდება ლულის შვეული გადაადგილება. თუმცა, არ-15-ის მეორე თავისებურებაა კონსტრუქციაში მჩატე ალუმინის შენადნობებისა და მინაპლასტმასის გამოყენება. ამის შედეგად, საიერიშო შაშხანა ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი გამოდგა მსოფლიოში. ეს მოეწონათ სამხედროებს. გაჩნდა რეალური შესაძლებლობა, მნიშვნელოვნად გაეზარდათ ქვეითი ჯარისკაცის სატარებელი საბრძოლო კომპლექტი საცეცხლე ძლიერებისა და მანევრულობისათვის ვნების მიუყენებლად. დაახლოებით ამავე დროს ნატოს წევრი ქვეყნები შეუდგნენ უფრო სრულყოფილი საარმიო იარაღის შემუშავებას. მაგრამ, მხოლოდ 1962 წელს მოაწყო აშშ სახმელეთო ჯარების სამინისტრომ განმეორებითი გამოცდა ფორტბენინგში, რომელიც დამთავრდა 8500 შაშხანის შეკვეთით აშშ სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის და 1000 შაშხანისა — ვიეტნამში გამოსაცდელად. ხოლო, მეორე წელს „კოლტ ინდასტრიზმმა" მიიღო უკვე 104000 შაშხანის შეკვეთა და არ-15-ს მიეკუთვნა საარმიო აღნიშვნა მ-16.

საბრძოლო ნათლობა

ახალი იარაღის პირველივე გამოყენებამ ვიეტნამში გამოავლინა არა მარტო მისი ღირსებები, არამედ ნაკლოვანებებიც. ყველაზე მეტად ჯარისკაცები აკრიტიკებდნენ ავტომატიკის არასაიმედო მუშაობას, როდესაც ჭვარტლი სავაზნეში იჭედებოდა და იძულებული ხდებოდნენ იგი ზუმბით ამოეგდოთ ლულიდან. ყოფილა შემთხვევები, რომ ვიეტკონგელები სწორედ ამ დროს წამოდგომიან თავს ამერიკელ ჯარისკაცებს... ამის შემდეგ იარაღი გააუმჯობესეს, სრულყვეს, აღჭურვეს მოსავლელად საჭირო მასალებითა და სამარჯვებით. როგორც გამოირკვა, მ-16-ის ექსპლუატაციის პირველ სახელმძღვანელო მითითებებში იყო ასეთი ფრაზები: „ამ იარაღს ესაჭიროება მინიმალური მოვლა ნებისმიერ სხვა შაშხანასთან შედარებით", ანდა „შაშხანის დრო და დრო წმენდა უზრუნველყოფს იარაღის ხანგრძლივ ექსპლუატაციას". ამის შედეგად, ჯარისკაცებმა საერთოდ დაანებეს თავი იარაღის წმენდას და ხშირად გასასინჯად აღებული შაშხანების ლულაში გახედვისას სინათლე არ მოჩანდა.


საიერიშო შაშხანა (მ-711).
კარაბინი (მ-723).
მცირეგაბარიტიანი ავტომატი „კომანდო" (მ-733).
ხელის ტყვიამფრქვევი (მ 741).
ავტომატ-ყუმბარსატყორცნის კომპლექსი.

1967 წელს კონსტრუქციაში ცვლილებების შეტანის შემდეგ ამერიკის არმიის შეიარაღებაზე მიიღეს საიერიშო შაშხანის მოდერნიზებული ვარიანტი მ-16 ა1, რომელმაც ცოტა ხნის შემდეგ, ფაქტობრივად, გამოდევნა დანარჩენი სატაბელო შაშხანები და კარაბინები. სამხედრო სპეციალისტთა შეფასებით, ეს იყო მაღალეფექტიანი იარაღი და ამერიკელმა და სამხრეთვიეტნამელმა ჯარისკაცებმა პირველად „მიიღეს შაშხანა, რომელიც წარმატებით უწევდა კონკურენციას აკ-47 ავტომატს". მიუხედავად ამისა, შაშხანის მოდერნიზაცია გრძელდებოდა.

ძირითადი მოდელის გარდა, ამერიკის არმიაში გამოიყენებოდა მ-16-ის ბაზაზე შექმნილი სხვადასხვა კარაბინები, ხელის ტყვიამფრქვევი და შაშხანები ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით. უაღრესად მარჯვე გამოდგა „ლულისქვეშა" სამარჯვიანი შაშხანის ვარიანტი. 1970 წელს ნიმუშს ეწოდა მ-203 და იგი შეიარაღებაზე მიიღო აშშ არმიამ. მ-16+ა1მ203 კომპლექსმა პრაქტიკულად განდევნა ქვეითი ჯარის ხელის ყუმბარსატყორცნი და დაიმკვიდრა ადგილი აშშ, კანადისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის არმიებში, სადაც მას ლიცენზიით უშვებს სინგაპური, ტაივანი, ფილიპინი და სამხრეთი კორეა. გარდა ამისა, შაშხანა ნაწილობრივ შეიარაღებაზე აქვთ დიდ ბრიტანეთში, ჰაიტიზე, ისრაელში, იორდანიაში, იტალიაში, მექსიკაში, ნიკარაგუაში, პანამაში, ჩილეში — სულ 30-მდე ქვეყანაში. საინტერესოა, რომ მ-16, როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სჭირდებათ მაქსიმალურად მჩატე ავტომატური იარაღი. დამახასიათებელი მაგალითია ბრიტანეთის გვარდიის ბურქთა, ნეპალის ტანმორჩილ მკვიდრთა პოლკი. „შავმა შაშხანამ" თვალსაჩინოდ გამოავლინა მცირეკალიბრიანი ავტომატური იარაღის უპირატესობა, რომელიც ამჟამად მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობის და მათ შორის ყოფილი სსრკ არმიების ცეცხლსასროლი შეიარაღების საფუძველს შეადგენს.

„შავი შაშხანის" აწმყო და მომავალი

1982 წელს აშშ არმიამ შეიარაღებაზე მიიღო საიერიშო შაშხანა მ-16 ა2. მისი ძირითადი განსხვავებაა ახალი 5,56 მმ ვაზნის გამოყენება, რომელიც ბელგიელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს და ნატოს მიერ იყო სტანდარტიზებული. ახალი ვაზნის ფოლადისგულიანი ტყვია მ-193 ვაზნის ტყვიაზე ოდნავ უფრო მძიმე და გრძელია, გამოირჩევა გაუმჯობესებული აეროდინამიკური ფორმით და კარგი გამტანი მოქმედებით (100 მ მანძილზე იგი ხვრეტს 3,5 მმ სისქის ფოლადის ფილას).

მ-16 ა2-ის ბაზაზე კომპანია „კოლტ ინდასტრიზმმა" შექმნა ცეცხლსასროლი იარაღის მთელი ოჯახი. მასში შედის: მ-16 ა2 მ-203 ლულისქვეშა 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნით, ხელის ტყვიამფრქვევი მ 741, სნაიპერული შაშხანა არ-15 ა2 ჰბ და სხვ. კარაბინს მ-16 ა2 (მ-729) აქვს 140 მმ-ით დამოკლებული ლულა, ტელესკოპური კონდახი და გაძლიერებული ლულის მუხრუჭი. მისი მაქსიმალური ეფექტიანი სროლის სიშორე შემცირდა 600 მეტრამდე. პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი მ-16 ა2 ასევე აღჭურვილია ტელესკოპური კონდახით და მისი ლულის სიგრძე სულ 290 მმ შეადგენს.


კარაბინი.
საიერიშო შაშხანა.
ჩუბინის (სნაიპერული) შაშხანა.
ხელის ტყვიამფრქვევი.

მ-16-ის მოდერნიზაციის სამუშაოები დღესაც გრძელდება. ცნობილია, რომ მისთვის შემუშავებულია ახალი ლულის მუხრუჭი, რომელიც თითქმის 40 პროცენტით ამცირებს უკუცემას, სარეგულირებელი გამოსაწევი კონდახი, შექმნილია აგრეთვე 5,56 მმ-იანი ორგულიანი ვაზნა. ამ სიას შეიძლება დაემატოს ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნის ახალი მოდიფიკაციაც. მ-203 — უნივერსალური სამაგრი მ-16 ა2 ნებისმიერ შაშხანაზე იძლევა მისი დაყენების შესაძლებლობას.

უახლოეს მომავალში მ-16 უდავოდ დარჩება შეიარაღებაში — მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებში ამჟამად მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები XXI საუკუნის საიერიშო შაშხანის შესაქმნელად. საერთოდ კი „შავი შაშხანის" არსებობის მანძილზე არაერთგზის ცდილან შეეცვალათ იგი უფრო ეფექტიანი ნიმუშით. მიუხედავად ამისა, სამხედროები ნაკადზე დაყენებულ და დროით შემოწმებულ ძველ იარაღს ამჯობინებენ სუპერთანამედროვე ნამუშევრებს, რომლებიც ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე აქ სამაკეტო ნიმუშების სახით არსებობს.

ჟურნალი

МАСТЕРРУЖЬЁ

დაზუსტება

„საზღვარგარეთის" გუშინდელ გვერდში დაბეჭდილ მასალაში, რომელიც ეხება მაქს ვან დე სტულს, სათაური უნდა იკითხებოდეს: ყოფილი მინისტრი წარდგენილია ნობელის პრემიაზე.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით.

უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

თარიღი

დიდი დაპირისპირებიდან დიდი თანამშრომლობისაკენ

ნატოს დაარსების 50 წლისთავისათვის

მიმდინარე წლის აპრილში ვაშინგტონში გაიმართება ნატოს სამიტი, რომელიც ეძღვნება ამ ორგანიზაციის დაარსების 50 წლისთავს. სამიტზე განსჯის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება ნატოს მომავალი ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან.

ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობა სულ უფრო დინამიკურ და საქმიან ხასიათს იძენს. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საქართველოში ნატოს სხვადასხვა დონის დელეგაციათა ვიზიტები, რომელთა შორის აღსანიშნავია 1997 და 1998 წლებში გენერალური მდივნის ბ-ნ ხ. სოლანას სტუმრობა საქართველოში. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, დიპლომატები, მეცნიერები, სპეციალისტები და სამხედრო პირები მონაწილეობას იღებენ „მშვიდობისათვის პარტნიორობის“ პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ნატოს სასწავლებლებში სწავლობენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები. ნატოსა და საქართველოს შორის ყოველწლიურად ფორმდება „ინდივიდუალური თანამშრომლობის გეგმა“, რომელიც მოიცავს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის საკმაოდ ფართო სპექტრს. 1997 წლიდან ნატოსთან ფუნქციონირებს საქართველოს დიპლომატიური მისია.

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სხვადასხვა ქვეყანაში „მშვიდობისათვის პარტნიორობის“ ეგიდით ჩატარებულ სამხედრო წვრთნებში ქართველი სამხედროების მონაწილეობაც. მომავალ წლებში ასეთი ვარჯიშების ჩატარება გათვალისწინებულია საქართველოშიც.

ნატოს ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით, წინამდებარე სტატიაში განხილულია, თუ რანაირად იწყებოდა ეს ურთიერთობები და როგორ მოხდა, რომ „ცივი ომის“ პერიოდში დაპირისპირებულმა ორმა ბანაკმა თანამშრომლობისაკენ იბრუნა პირი.

1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში „გარდაქმნის“ პოლიტიკის შედეგად შექმნილმა ახალმა ვითარებამ ნატოს წინაშე დააყენა საკითხი აღნიშნულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების შესახებ. ახალი სტრატეგია მიზნად ისახავდა „ცივი ომის“ ეპოქის კონფრონტაციიდან პრაქტიკულ თანამშრომლობაზე გადასვლას, ევროპული უშიშროების ახალი არქიტექტურის მშენებლობას, რომელსაც, ბუნებრივია, დასავლური ცივილიზაციის ფასეულობები და პრინციპები უნდა დასდებოდა საფუძვლად.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისათვის, რომელიც საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავებისა და დასავლური დემოკრატიის დაცვას ემსახურებოდა დღიდან მისი დაარსებისა – 1949 წლიდან, ამგვარი ტრანსფორმაციის განხორციელება დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან სირთულეებთან. უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული მოწინააღმდეგის პარტნიორად აღიარება მოითხოვდა ალიანსის მიზნებისა და ამოცანების ახლებურ კონცეფციურ გააზრებას, ევროპული უსაფრთხოების სისტემის რეალობასთან ადაპტირებასა და თანამშრომლობის ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ამ თვისებრივად ახალი ურთიერთობებისათვის შესაბამისი კლიმატის შექმნის საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა 1989 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. შევარდნაძის ვიზიტმა ნატოს შტაბბინაში, ბრიუსელში. შეხვედრაზე, რომელსაც დღესაც ხშირად იგონებენ ნატოში, როგორც ფსიქოლოგიური გარდატეხის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს, გაიჟღერა იდეამ ორი დაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის ფუნქციებისა და სტრატეგიის ტრანსფორმაციის შესახებ. აღნიშნულმა ვიზიტმა და საბჭოთა მინისტრის პიროვნებამ საბოლოოდ დაარწმუნა ალიანსი, რომ აუცილებელია ახალი სტრატეგიული ინიციატივის შემუშავება ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მიმართ.*

აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირისაკენ ნატოს „დიდი შემობრუნების“ ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევენ ალიანსის სამიტს, რომელიც გაიმართა 1990 წლის 5-6 ივლისს ლონდონში. სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში („ლონდონის დეკლარაცია“ ტრანსფორმირებული ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შესახებ) ჩამოყალიბებულია ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მთავარი პრინციპები, რომელიც დაეფუძნება არა ორი დაპირისპირებული ბანაკის ძალთა თანაფარდობას, არამედ თანამშრომლობასა და პარტნიორობას. დოკუმენტში აშკარად იგრძნობა ის ოპტიმისტური განწყობილება, რომელიც სუფევდა დასავლეთში აღნიშნულ პერიოდში ყოფილ სოციალისტურ ბანაკში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. „იწყება ევროპის ახალი და დამაიმედებელი ეპოქა. თავისუფლება მკვიდრდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. საბჭოთა კავშირი დაადგა თავისუფალი საზოგადოებისაკენ მიმავალ გრძელ გზას. ინგრევა კედლები, რომლებიც წლების მანძილზე ჰყოფდნენ ერთმანეთისაგან ხალხებსა და იდეებს. ევროპელები თვითონ ირჩევენ თავიანთ ბედს. ისინი ირჩევენ დამოუკიდებლობას. ისინი ირჩევენ ეკონომიკურ თავისუფლებას. ისინი ირჩევენ მშვიდობას. ისინი ირჩევენ ერთიან და თავისუფალ ევროპას. ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა შეიცვალოს ალიანსიც. და იგი შეიცვლება“ – ნათქვამია საკმაოდ მაღალფარდოვნად დეკლარაციის დასაწყისში. შემდგომ, დეკლარაციაში აღნიშნულია ის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც მიუძღვის ნატოს – „კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ თავდაცვით ალიანსს“ – ევროპაში ამ გარდაქმნების განხორციელებაში. ამასთანავე, დეკლარაციის საწყის ნაწილშივე მითითებულია, რომ ალიანსის წევრები „კვლავაც უნდა იდგნენ ერთად“, რადგან „არავის შეუძლია მომავლის ზუსტად წინასწარმეტყველება“. ამ კონტექსტში ხდება განსაზღვრა იმ ახალი კონტურებისა, რომელთა ფარგლებშიც უნდა იმოქმედოს მომავალში ნატომ „ევროპაში მიმდინარე გარდაქმნების ხელშესაწყობად“. უპირველეს ყოვლისა, კეთდება განცხადება იმის თაობაზე, რომ უშიშროება და სტაბილურობა ევროპაში აღარ უნდა ეფუძნებოდეს სამხედრო კომპონენტს და რომ აუცილებელია პოლიტიკური განზომილების გაძლიერება. დოკუმენტში ხაზგასმულია გერმანიის გაერთიანების მნიშვნელობა ახალი და ერთიანი ევროპის მშენებლობისათვის. აღნიშნულია, რომ ახალ ევროპაში ყველა ქვეყნის უსაფრთხოება დაკავშირებულია მეზობელი სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან. ამიტომ, ადაპტირებული ნატო მოიაზრება როგორც ორგანიზაცია, რომელშიც „ევროპელები, ამერიკელები და კანადელები იმუშავებენ ერთად არა მხოლოდ თავიანთი კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით, არამედ ევროპის ყველა ხალხებთან თანამშრომლობისათვის. ალიანსი უნდა დაუკავშირდეს ყველა იმ ქვეყანას, რომელიც „ცივი ომის“ პერიოდში ჩვენი მოწინააღმდეგე იყო. მათ ჩვენ მეგობრულად უნდა გავუწოდოთ ხელი“.

ამ სულისკვეთებით, სამიტზე, ალიანსის ლიდერებმა შესთავაზეს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს ნაწილების მზადყოფნის რეჟიმი, ურჩიეს შეამცირონ მათი სამხედრო ვარჯიშებისა და წვრთნების პროგრამები.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპაში განლაგებულ ბირთვულ შეიარაღებას, დეკლარაცია არ შეიცავს განსაკუთრებულ ახალ ვალდებულებებს ამ ძალების შემცირების თვალსაზრისით. აღნიშნულია მხოლოდ, რომ მოკავშირეების მიერ ამ შეიარაღების გამოყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ თავდაცვითი მიზნებით და რომ ნატოს მიზანია ბირთვული არსენალის შემცირება რაც შეიძლება „დაბალ, სტაბილურ დონემდე“. ეს შემცირება კი დაკავშირებულია აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებებთან. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის დასრულებისა და შჩძ ხელშეკრულების რეალიზაციის შემდეგ ალიანსი მზად იქნება შეამციროს თავისი ბირთვული შეიარაღება. სამიტზე ასევე მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ალიანსის ახალი სამხედრო სტრატეგიის შემუშავების შესახებ, რომელიც გაითვალისწინებდა „რევოლუციურ ცვლილებებს“ ევროპის სტრატეგიულ სივრცეში.

გაიხსენა რა საბჭოთა ხელმძღვანელობის რეაქცია „ლონდონის დეკლარაციაზე“, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ 1993 წლის 23 ივნისს ნატოს შტაბ-ბინაში ვიზიტისას განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი „პასუხობდა ჩემს ყველაზე გაბედულ, იმ დროისათვის კი – ფანტასტიკურ ვარაუდს, განსაკუთრებით ეს ეხებოდა ინიციატივას ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის არსის კარდინალური ცვლილების შესახებ“.

აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის მიმართ ნატოს ახალი სტრატეგიის პრინციპებისა და ამ თვალსაზრისით პირველი პრაქტიკული ნაბიჯების უფრო დეტალურ განხილვას მიეძღვნა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ნატოს საბჭოს 1991 წლის 6-7 ივნისის სხდომა (კოპენჰაგენი). „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის შესახებ“ სხდომაზე მიღებულ სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია: „ევროპის დაყოფის ხანგრძლივი ეპოქა დასრულდა. ჩვენ მიესალმებით ალიანსისა და მისი წევრი სახელმწიფოების კონტაქტების მნიშვნელოვან გაფართოებას საბჭოთა კავშირთან და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, თუკი ეს უკანასკნელნი მიესალმებიან გასულ წელს ლონდონის შეხვედრაზე ალიანსის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ მეგობრობისათვის გაწვდილ ხელს. ჩვენ მიესალმებით ამ ქვეყნების ხალხთა მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს. ჩვენი სურვილია დავამყაროთ მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობა, თავისუფალ და ერთიან ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების მიზნით...“

აღნიშნული მიზნების მიღწევის მთავარ მექანიზმად განცხადებაში დასახელებულია ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენცია. იმ ეთნიკურ-პოლიტიკური კონფლიქტური მოვლენების გათვალისწინებით, რომლებმაც ამ პერიოდისათვის უკვე იხინეს თავი იუგოსლავიასა და სსრკ რიგ რესპუბლიკებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ორგანიზაციის როლს კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისების მოწესრიგებისა და მათი პოლიტიკური მეთოდებით მოგვარების საქმეში, რისთვისაც საჭიროდ არის მიჩნეული საგანგებო საკონსულტაციო მექანიზმის შექმნა და კონფლიქტების მოგვარების არსებული ცენტრის გაძლიერება. საყურადღებოა, რომ განცხადებაში ხაზგასმით დასტურდება ალიანსის განსაკუთრებული მიდგომა ბალტიისპირეთის რეგიონის მიმართ, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ლიტვაში ამ პერიოდში მომხდარ ცნობილ მოვლენებთან: „ჩვენ მხარს ვუჭერთ ბალტიისპირეთის ქვეყნების ხალხთა სურვილებსა და კანონიერ მოთხოვნებს და მოვუწოდებთ საბჭოთა ხელისუფლებას, რათა თავი შეიკავოს ძალის გამოყენებისაგან და ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის დემოკრატიულად არჩეულ ლიდერებთან ერთად დიალოგისა და მოლაპარაკებების გზით, გააგრძელოს ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტის პრინციპებზე დაყრდნობით შესაბამისი გადაწყვეტილების ძიება“.

ავითარებს რა ლონდონის სამიტის დებულებას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მაღალი დონისა და რეგულარული დიპლომატიური კონტაქტების დამყარების შესახებ, მინისტრთა განცხადებაში ჩნდება ამ ურთიერთობებისათვის ახალი ტერმინი „სხვადასხვა დონეზე სამხედრო თანამშრომლობის განვითარების შესახებ“. ამ თვალსაზრისით ჩამოთვლილია შემდეგი მიმართულებები:

– ოფიციალურ პირთა და ექსპერტთა შეხვედრების ორგანიზება უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში აზრთა ურთიერთგაცვლისა და ინფორმირების მიზნით, კერძოდ ისეთი საკითხების თაობაზე, როგორიცაა: სამხედრო სტრატეგია და დოქტრინები, შეიარაღებისადმი კონტროლი, სამხედრო ინდუსტრიის კონვერსია;

– ერთი მხრივ ნატოს სამხედრო ხელმძღვანელებს, ხოლო მეორე მხრივ – აღმოსავლეთ ევროპიდან მათ კოლეგებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარება. ნატოს შტაბ-ბინაში, შეიპ-სა (ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბ-ბინა ქ. მონსში) და ნატოს სხვა სამეთაურო ცენტრებში აღნიშნული ქვეყნების ოფიცრებისა და სამხედრო სპეციალისტების ვიზიტების განხორციელება სპეციალური პროგრამის ფარგლებში, მათი გაცნობა ნატოს საწვრთნელ დაწესებულებებთან;

– ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტთა მონაწილეობა ალიანსის ცალკეულ ღონისძიებებში, მათ შორის ნატოს ე.წ. მესამე განზომილების სამეცნიერო და გარემოსდაცვითი პროგრამებში;

– ნატოს საინფორმაციო პროგრამების განხორციელება რეგიონის ქვეყნებში, უშიშროებისა და დემოკრატიის საკითხებზე დისკუსიების გამართვა, ორგანიზაცია და ჩატარება ნატოს შტაბ-ბინაში აღნიშნული ქვეყნების პარლამენტართა, ჟურნალისტებისა და ახალგაზრდული დელეგაციების მიწვევა;

– თანამშრომლობის გაფართოება ჩრდილო– ატლანტიკურ ასამბლეასა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტებს შორის. აღმოსავლეთ ევროპისა და სსრკ-ის მიმართ ახალი პოლიტიკის შემუშავებასთან ერთად ნატოს დღის წესრიგში კვლავ რჩება საკუთრივ ალიანსის სტრატეგიული ერთიანობისა და კონსოლიდაციის შენარჩუნება. საგარეო საქმეთა მინისტრების აღნიშნული შეხვედრის დასკვნით კომუნიკეში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ჩვენ კვლავაც უზრუნველვყოფთ ალიანსის მიერ მისი მთავარი ფუნქციების შესრულებას. ალიანსი არის ძირითადი ფორუმი მის წევრებს შორის კონსულტაციებისათვის, რომელთა მთავარი მიზანია ვაშინგტონის ხელშეკრულების (მხედველობაშია 1949 წლის აპრილში, ვაშინგტონში გაფორმებული ხელშეკრულება ნატოს დაარსების შესახებ) შესაბამისად მოკავშირეთა მიერ უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება... ჩვენ ყველანი ვიზიარებთ იმ აზრს, რომ აუცილებელია შესაბამისი არსებული სამხედრო პოზიციების შენარჩუნება მოკავშირეთა კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის“. ამ დებულებების ხაზგასმა უპასუხებს ნატოს რიგ წევრ-სახელმწიფოებში იმ დროს არსებულ მოსაზრებებსა და ეჭვებს იმის თაობაზე, რომ სოციალისტური ბანაკის რეფორმირებამ და „ცივი ომის“ დასასრულმა შეიძლება გამოიწვიოს ალიანსის შესუსტება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კოპენჰაგენის მინისტრთა შეხვედრაზე ცალკე დოკუმენტად იქნა მიღებული განცხადება „ახალ ევროპაში ნატოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მთავარი ფუნქციების შესახებ“. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ალიანსის დამფუძნებელი ხელშეკრულებით მისი წევრებისათვის გათვალისწინებული ვალდებულებები და უფლებები, უცვლელია. ნატოს მთავარ ამოცანად კვლავ რჩება პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით მისი წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თავისუფლების დაცვა, რისთვისაც იგი მზად არის ალკვეთოს ალიანსის ან რომელიმე მისი წევრის მიმართ ნებისმიერი აგრესია. ნატო იყო და რჩება უშიშროების ტრანსატლანტიკურ მექანიზმად, რომლის მეშვეობითაც „აშშ მუდმივადაა დაკავშირებული ევროპასთან“. ამავე დროს განცხადებაში ნატოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახულია „ევროპაში სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნება“, რაც აშკარად მიუთითებს, რომ „ცივი ომის“ რეციდივები და მენტალიტეტი ჯერ კიდევ იგრძნობა.

ნატოსა და საბჭოთა კავშირს შორის საწყის ეტაპზე მყოფი თანამშრომლობის გამოცდად იქცა 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. 21 აგვისტოს ბრიუსელში გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრთა დონეზე ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენები, პოლიტიკური შეფასება მისცა მათ და ჩამოაყალიბა ალიანსის მიდგომა შექმნილი ვითარების მიმართ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სხდომამ ერთმნიშვნელოვნად დაგმო „პუტჩისტების“ მიერ მ. გორბაჩოვის მიმართ გამოყენებული უკანონო მეთოდები, რამაც „სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭოთა კავშირში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას“. ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ალიანსი წინააღმდეგია ყოველგვარი ანტიკონსტიტუციური ძალისმიერი ქმედებისა „... საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობათა წინააღმდეგ. მოკავშირეთა განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ცნობები ბალტიისპირეთის ქვეყნებში სამხედროების მიერ განხორციელებული რეპრესიებისა და ძალადობის შესახებ“.

დაუჭირეს რა მხარი რუსეთის დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის ბ. ელცინის კანონიერ ქმედებას, მინისტრებმა გააკეთეს საყურადღებო დასკვნა იმის შესახებ, რომ მ. გორბაჩოვის მიმართ განხორციელებულმა კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ „წარმოშვა სერიოზული კითხვები საბჭოთა კავშირის მომავლის შესახებ, კერძოდ ევროპასა და საერთოდ მთელ მსოფლიოსთან მისი ურთიერთობების თაობაზე“. ამ საკმაოდ წინასწარმეტყველური კონტექსტით ალიანსმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ საბჭოთა კავშირმა შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ყველა საერთაშორისო ვალდებულება, მათ შორის განიარაღებისა და ცენტრალური ევროპიდან საჯარისო ნაწილების გაყვანასთან დაკავშირებით. საყურადღებოა ასევე განცხადების ის ნაწილი, რომელშიც საუბარია იმის თაობაზე, რომ ალიანსი თავს შეიკავებს „პუტჩისტებთან“ ყოველგვარი პოლიტიკური კონტაქტებისაგან, თუმცა შეინარჩუნებს საბჭოთა კავშირთან „საკომუნიკაციო არხებს, რომელთა გადახედვა შეიძლება მოხდეს საჭიროების შემთხვევაში“. განცხადებაში აღნიშნულია ასევე, რომ ნატო „შეაჩერებს საბჭოთა კავშირთან ოფიციალური გაცვლების პროგრამას, ქვეყანაში სიტუაციის გარკვევამდე“.

ზურაბ აბაშიძე,
ნატოსთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

(დასასრული იქნება).

---

* ***როგორც ჩანს, ეს შეხვედრა ნატოში განსაკუთრებულ ემოციურ ფონზე წარიმართა, რის დასტურად ასეთი პატარა კურიოზიც კმარა: ბატონ ედუარდ შევარდნაძის თანაშემწეებს შეხვედრის შემდეგ ნატოს შტაბბინის მოლაპარაკებათა დარბაზში შემთხვევით დარჩენიათ დოსიე საბჭოთა მინისტრის სამსახურებრივი დოკუმენტებით. დოსიე სასწრაფოდ დააბრუნეს.***

კრიმინალი

ვინ შეუკვეთა ოთარიკო?

№128848 სისხლის სამართლის საქმის სენსაციური დოკუმენტები

ერთ-ერთმა მოწმემ თავის ჩვენებაში თქვა, რომ მკვლელობის ორგანიზაციაში მონაწილეობდნენ ალექსანდრე შოხინი, იმხანად რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი და მისი ძმა გენადი, სააქციო საზოგადოება „პარტნიორის“ გენერალური დირექტორი. კვანტრიშვილს, ვითომდა, სურდა ამ სააქციო საზოგადოების კუთვნილი ფული.

ო. ვ.-ის მეურვეობით
„სოვერშენო სეკრეტნოს“ დოსიედან:

ოთარ ვიტალის ძე კვანტრიშვილი, 1948 წელს დაბადებული, საქართველოს ქალაქ ზესტაფონის მკვიდრი.

ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანაყოფთა სპეციალისტების აზრით, იყო მოსკოვის, თბილისის, კიევისა და სხვა რეგიონების სისხლის სამართლის დამნაშავეთა ერთ-ერთი ავტორიტეტი. მეტსახელი – ოთარიკო. 1966 წელს მიესაჯა ცხრა წელი ჯგუფურ გაუპატიურებაში მონაწილეობისათვის. განთავისუფლდა ოთხი წლის შემდეგ, ვინაიდან გაიგზავნა ზოგადი ტიპის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შიზოფრენიის დიაგნოზით.

საქმიანობა დაიწყო თავის ძმასთან ამირანთან ერთად სასტუმრო „სოვეტსკაიაში“ ბანქოს თამაშით, როგორც „გადამგდებმა“. იყო ცნობილი კანონიერი ქურდის ვიაჩესლავ ივანკოვის, იაპონჩიკის ახლო მეგობარი, რომელთან ერთადაც გადიოდა წინათ ერთ სისხლის სამართლის საქმეში. პირვანდელი კაპიტალი დააგროვა ცენტრის მეძავეებზე შეწერილი ხარკის კრეფით.

წინათ – საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კლასიკურ ჭიდაობაში 80-იანი წლების დამდეგს მუშაობდა „დინამოს“ მოსკოვის საქალაქო საბჭოს მწვრთნელად. ირგვლივ შემოიკრიბა ცნობილი მოჭიდავეები, მოკრივეები, ძალოსნები. ბევრი მისი „ნამოწაფარი“ შევიდა ლუბენცის, ბაუმანის, დომოდედოვის, ბალაშიხას ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა შემადგენლობაში. „დინამოს“ მეშვეობით დაამყარა კავშირი მილიციის ხელმძღვანელობასთან.

1985 წელს კვანტრიშვილმა აქტიურად მოჰკიდა ხელი მეწარმეობას. ოპერატიული მონაცემებით, მისი რეკომენდაციით – ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წარმომადგენლებმა მოიკალათეს სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურაში. მიზანი – ამ ფირმების ფულის გადაქაჩვა მის სტრუქტურებში, ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი სახსრების ინვესტირება.

საქმეში ჩახედულ ადამიანთა აზრით, მოსკოვის დანაშაულებრივ გარემოში იყო ერთგვარი „პასუხისმგებელი პირი საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის დარგში“. შსს მონაცემებით, ცრუმაგიერი პირების მეშვეობით ფლობდა რამდენიმე კაზინოს – რესტორან „პავანაში“, სასტუმროებში „ინტურისტი“, „ლენინგრადსკაია“, „უნივერსიტეტსკაია“ – გახსნა კაზინო „როიალში“. ამყარებდა კონტაქტებს მსახიობთა გარემოში და შოუ-ბიზნესში, რომლებსაც კონტროლს უწევდნენ ძირითადად სოლნცევოელები.

ცნობილი მსახიობებისა და სპორტსმენების მეშვეობით თანდათან შეაღწია სამთავრობო წრეებში, ფეხი მოიკიდა დიდ სახელმწიფო ორგანიზაციებში, კომერციულ სტრუქტურებსა და საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში, რომლებსაც დიდი კაპიტალი ჰქონდათ. იყო ასოციაცია „XXI საუკუნის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლევ იაშინის სახელობის სპორტსმენთა სოციალური დაცულობის ფონდის პრეზიდენტი. ეწეოდა ქველმოქმედებას, აგრეთვე აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას, მიმართავდა ძალისხმევას თავისი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად. სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროში მას მიაწერდნენ სრულ კონტროლს მოსკოვის ცენტრის, კერძოდ, წითელი პრესნისადმი.

ოთარ კვანტრიშვილი – ეს არის მთელი ეპოქა ჩემს ჟურნალისტურ ცხოვრებაში. საკმარისი იყო მოკლედ მეხსენებინა მისი ნასამართლობანი და ბიოგრაფიის სხვა ბნელი ლაქები სტატიაში იაპონჩიკის ვადამდელი განთავისუფლების შესახებ, რომელიც 1992 წლის მარტში დაიწერა, მაშინ ამაზე ჯერ არავინ არ ლაპარაკობდა – რომ ყოვლისმძლე „ნათლიამ“ ჩამიტარა „პროფილაქტიკური“, როგორც თვითონ ამბობდა, სატელეფონო საუბრები.

ეს საუბრები არ იყო ხანგრძლივი, მაგრამ საკმაოდ საყურადღებო ეთქმოდა. „მე ვგრძნობ, რომ თქვენ რაღაც უბედურება შეგემთხვევათ, მაგრამ ეს არ იქნება ჩემი ბრალი, რაც უკვე ვაცნობე წითელი პრესნის რაიონის პროკურორს“, „მე ქალებს არ ვებრძვი, მაგრამ თუ ისეთი ბუმბერაზი, როგორიც მე ვარ, ადგილიდან დაიძრა...“ „ყველა ეს პუბლიკაცია სპილოსა და ფინიის ურთიერთობას მომაგონებს. მოვა დრო, სპილოს მობეზრდება ფინიის წკავწკავი და გასრესს მას“, – ამბობდა ყოვლისმძლე კვანტრიშვილი.

დროთა განმავლობაში საუბრები უფრო ხანგრძლივი გახდა. ო. ვ. მიზიარებდა თავის შეხედულებებს სახელმწიფოებრიობის, ახალგაზრდა თაობის აღზრდის შესახებ, მაცნობდა გეგმებს სატელევიზიო ინტერვიუზე. რომელშიც უნდა ელაპარაკა ჩვენი ორგანიზებული დამნაშავეობის ასავალ-დასავალზე. „რა იქნება ეს, რადაც „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“-ს მაგვარი?“ – ვერ შევიკავე თავი და დავუსვი კითხვა, რომელიც ენის წვერზე მადგა. ოთარ ვიტალის ძემ გულუბრყვილოდ მიპასუხა: „თქვენ წარმოიდგინეთ, თავისებურად მომწონხართ კიდეც, თქვენ მომაგონებთ რეციდივისტს, რომელსაც მენტები ცემით სულს ხდიან, ის კი ხმას არ იღებს“.

გულითად საუბრებს არ უშლიდა ხელს ჩემი სტატიების ახალი ციკლი, რომელიც უკვე ო. ვ.-ს ეძღვნებოდა. იგი თითქოს ვეღარც კი ამჩნევდა ინფორმაციას კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებშიც მისი ხსენება იყო.

სატელეფონო იდილია დასრულდა 1993 წლის აგვისტოში, როცა ფირმა „მერწყულის“ ოფისში ბანდიტური საქმის გარჩევის დროს მოკლეს ო. ვ.-ს უფროსი ძმა ამირანი.

უცნაურია, მაგრამ მოყვარული უმცროსი ძმისათვის მთავარი მტრები გახდნენ არა კაცისმკვლელები, სიცოცხლეს რომ გამოასალმეს უიარაღო ამირანი, რომელიც სამარელ თედო ცოფიანთან ერთად არკვევდა ურთიერთობას ჩეჩენთა თემის წარმომადგენლებთან, არამედ ისევ და ისევ ჟურნალისტი, რომელმაც გაკვირვება გამოთქვა, რატომ მარხავენ დანაშაულებრივი სამყაროს ისეთ ავტორიტეტს, როგორიც იყო ამირანი, სასაფლაოზე, სადაც ოდითგან კრძალავდნენ იმათ, ვინც ერის სიამაყეს შეადგენდა. ახლა უკვე სამმეტრიანი მარმარილოს ანგელოზი, რომელსაც თავზე შარავანდედი ადგას, თავისი ფრთებით გადაჰფარებია ორივე ძმის საფლავებს. მის ფონზე ოდნავ უკან აღმართული ვლადიმერ ვისოცკის სკულპტურა ბოროტ ჯუჯას წააგავს.

...ჰოდა, ოთარ ვიტალის ძემ მაშინ მითხრა: „უკანასკნელად გირეკავთ. ღმერთი დაგსჯით. ჩემი ძმა მოკლეს, თქვენ კი მას ბანდიტი უწოდეთ“. შესაძლოა, ღმერთმა დამსაჯა კიდეც – უცოდველი არავინ ვართ, მაგრამ არა ამისათვის: ბანდიტი მკვდარიც ბანდიტია. მას შემდეგ მუქარა მხოლოდ ტელეეკრანიდან გაისმოდა. ო. ვ. თითქმის ყოველდღიურად გამოდიოდა მოსკოვის არხით. მისი სიტყვები მომაგონებდა ქადაგებას, მართალია, ზოგჯერ ეკრანიდან თითს უქნევდა ჟურნალისტებს, მილიციას, გადაკვრით ამბობდა, რომ მოსკოვის ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის რაისამმართველოს მაშინდელ უფროსს ვლადიმერ რუშაილოს ჰყავს შვილები.

ეს საკვირველი გადაცემები იყო. წამყვანი დიქტორები ელაქუცებოდნენ კვანტრიშვილს, პირდაპირი ტელეფონით კი სტუდიაში რეკავდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ: „ოჰ, რა საოცარი ადამიანია ოთარ ვიტალის ძე. მადლობა ოთარს იმისათვის, რომ არის“. ერთ-ერთმა წამყვანმა კი ვერ შეიკავა თავი შედარებისაგან: „წინათ ვამბობდი: გმადლობთ იმისათვის, რომ ხართ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ახლა კი იგივეს გეუბნებით თქვენ, ოთარ ვიტალის ძევ“. მგონი ამის შემდეგ ის ტელეჟურნალისტი უკვე აღარც მინახავს.

სამშაბათს, 1994 წლის 5 აპრილს დაახლოებით 17 საათზე წითელი პრესნის აბანოდან გამოსვლისას უცნობმა პირმა საცხოვრებელი სახლის სხვენიდან სამი ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრა ლევ იაშინის სახელობის სპორტსმენთა სოციალური დაცულობის ფონდის პრეზიდენტი ოთარ კვანტრიშვილი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. მკვლელობის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მოსკოვს. საღამოს შვიდი საათისათვის მითხრა ეს ნაცნობმა მაძებარმა.

იტარ-ტასის არხებით ჩემი ინფორმაცია, რომელშიც ჟღერდა სიტყვები „მაფია“, „დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტი“ და ა. შ., თითქმის „დასავლური“ ოპერატიულობით გავიდა და რამდენიმე საათით გაუსწრო ოფიციალურ ცნობას, რომელშიც განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს სამძიმარს უცხადებდნენ... რუსეთის პრეზიდენტის სახელით.

მაგრამ სკანდალი არ მომხდარა. „დიდი და საშინელი“ ო. ვ.-ს დაღუპვის შემდეგ გაჩნდა უამრავი „კვანტრიშვილმცოდნე“, რომლებიც ისწრაფვოდნენ პირუთვნელად აესახათ „ბავშვებისა და ფიზკულტურელების საუკეთესო მეგობრის“ დანაშაულებრივი მიდრეკილებანი. კრემლიდან მიღებული სამძიმარი თითქოს ყველას დაავიწყდა, ხოლო ადამიანებმა ხეირიანად რომ არ იცნობდნენ კვანტრიშვილს და ორგანიზებულ დამნაშავეობას, მრავალი წიგნი გამოაცხვეს ოთარისა და მისი გარემოცვის შესახებ.

მე სინდისი სუფთა მაქვს: სიმართლეს ვწერდი ჯერ კიდევ ო. ვ.-ს სიცოცხლეში, რაც არ იყო მთლად უსაფრთხო. ახლა კი სწორედ მე მომხვდა ხელში – უფრო ზუსტად, თითქმის მთელ წელიწადს თავს არ ვიზოგავდი მათს საშოვრად, – უნიკალური საიდუმლო მასალები №128848 სისხლის სამართლის საქმიდან, კვანტრიშვილის მკვლელობის საქმიდან, და, გამომაქვს რა ისინი სააშკარაოზე, ჩემს ჟურნალისტურ ვალს ვიხდი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ო. ვ-ს საქმე უდიდესი იდუმალებით არის მოცული პირველი დღეებიდანვე. გამოძიებას ეწეოდა საქალაქო პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების გამომძიებელი ოლღა ლეონტიევა, უმაღლესი კლასის პროფესიონალი. ჟურნალისტებს ოლღა ორგანულად ვერ იტანდა და ამიტომ არავითარი ინტერვიუ არ მოუცია. თუმცა, ასობით მკვლელობა აქვს გახსნილი.

ამას სპეციალურად ვწერ. ვიცი, რომ სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელები ამ მასალის წაკითხვისთანავე დაიწყებენ „ინფორმაციის გაჟონვის“ წყაროს ძებნას და არ მინდა, რომ გამოცდილ გამომძიებელს რაიმე ჩრდილი მივაყენო. არ არის გამორიცხული, რომ ამ პუბლიკაციამ მორიგი სკანდალი გამოიწვიოს. მაგრამ მე არაფერი მომიგონია. უბრალოდ, მომყავს ციტატები სისხლის სამართლის საქმის დოკუმენტებიდან. მათში ბევრი ძალზე ხმამაღალი სახელი ფიგურირებს, და არ არის გასაკვირი, რომ ესოდენ გახმაურებული მკვლელობა გაუხსნელი რჩება და აქ მთავარი ჩვენი მაძებრებისა და გამომძიებლების სისუსტე კი არ არის. ყოველივე ასეთი მკვლელობის მიღმა იმალება ძალიან დიდი ფულის განაწილება, ხოლო ძალიან დიდი ფულის მიღმა დგანან ძალიან დიდი ადამიანები.

მაგალითად, ვლად ლისტიევის მკვლელობა, არსებითად, გახსნილია. პრაქტიკულად ცნობილია შემკვეთის, შემსრულებლისა და ზოგიერთი შუამავლის სახელები. მაგრამ ოპერატიული ხასიათის ცნობების ლეგალიზაციის შესაძლებლობა გამოძიებას ჯერ არ გააჩნია. ისინი, ვინც ყველაზე ხმამაღლა გაჰკიოდა შურისგების შესახებ, ახლა ყველაფერს აკეთებენ, რათა გადაეფოფრონ შემკვეთს.

კვანტრიშვილის საქმის ცნობები კი მაღალ კაბინეტებში ვრცელდებოდა „სრულიად საიდუმლოდ“ გრიფით. მაღალ კაბინეტებში სდუმდნენ. 1995 წლის 5 იანვარს №128848 საქმის გამო ამოიწურა წინასწარი გამოძიების ვადა. იგი შეჩერდა „განსასჯელად პასუხისგებაში მისაცემი პირის (პიროვნების) დადგენამდე. რაც შეეხება სენსაციურ ჩვენებებს, როგორც საქმეშია ჩაწერილი, მათ „ვერც დაადასტურებ და ვერც უარყოფ“.

„ვერ დაადასტურებ, და ვერც უარყოფ“

მაშ ასე, მივყვეთ თავისი რიგით.

1993 წლიდან მოსკოვის ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო მუშაობდა უნიკალურ საქმეზე კრიმინალური სტრუქტურის შესახებ, რომელსაც ჰქონდა მრისხანე სახელწოდება, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი „რუსეთის ფედერალური სამძებრო ბიურო“. როგორც შემდეგ გამოირკვა, ბრძანებულება ყალბი ყოფილა. ორ წელიწადს იარსება ამ უცნაურმა ორგანიზაციამ, რომლის ლიდერებს სიამოვნებით ართმევდნენ ხელს ძლიერნი ამა ქვეყნისანნი და ხელის ჩამორთმევის გარდა ფინანსურ დახმარებასაც უწევდნენ. სამძებრო ბიუროს თანამშრომლები, როგორც სპეცსამსახურების განსაკუთრებით საიდუმლო აგენტები, არ იმორებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს.

აგენტები თავიანთი სტრუქტურის მოწმობებს, ცეცხლსასროლ იარაღსა და მისი ტარების ნებართვას აძლევდნენ ძალზე საჭირო ადამიანებს. მოწმობის ყიდვა შეიძლებოდა 500 დოლარად, ხოლო იარაღთა კომპლექტის 5-7 ათას დოლარად.

ყოველივე ეს კეთდებოდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ამტკიცებდა ფედერალური სამძებრო ბიუროს შექმნას, არეგლამენტებდა ამ ფარული ორგანიზაციის თანამშრომლებისათვის შინაგანი ჯარების ოფიცერთა წოდების მინიჭების წესს. ბრძანების შესაბამისად სამძებროს წევრებს ჰქონდათ იარაღის ტარებისა და ხმარების უფლება. ეს დოკუმენტიც ყალბი გამოდგა.

„ჯილდო“ იარაღის მფლობელებს შორის იყვნენ „სამძებრო ბიუროს საპატიო წევრები“ – მოქალაქეები მიხაილოვი, ავერინი და გამი, რომლებსაც სოლნცევოს წრეებში იცნობდნენ მეტსახელებით: მიხასი, ავერა და არნოლდი.

როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, სამძებრო ბიუროს ფინანსურ დახმარებას უწევდა, კერძოდ, რუსეთის მთავრობის მაშინდელი ვიცეპრემიერის უფროსი ძმა გენადი შოხინი, რომლის ფირმამაც – „პარტნიორმა“ ბიუროს საჭიროებებისათვის დაახლოებით 40 მილიონი მაშინდელი რუბლი გადარიცხა. სამძებრო საქმის გამო დაპატიმრებული ამ „სოლიდური“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი 21 წლის ივანე ვორონცოვი ამტკიცებდა, რომ სწორედ ეს ფული მოხმარდა იარაღის შესყიდვას და ინფორმაციის შეგროვებას შოხინ-უფროსის დავალებით.

მაინც, რა აინტერესებდა „რუსეთის ფედერალურ სამძებრო ბიუროს“? აი, მხოლოდ ზოგიერთი ამოცანა: „რუსეთისა და დსთ სახელმწიფო უწყებათა სრული და უტყუარი ოპერატიული ინფორმაციის მიღება, ბიუროს თანამშრომელთა ჩანერგვა ხელისუფლების ორგანოებში, ინფორმაციის შეგროვება ფარული სტრუქტურებიდან, „არასასურველი“ მოქალაქეების სიების შედგენა, დანაშაულებრივ დაჯგუფებათა ხელმძღვანელების ლიკვიდაცია“.

ივანე ვორონცოვს, რომელსაც ბრალად ედებოდა თაღლითობა, ყალბი საბუთების დამზადება, იარაღის უკანონო შენახვა, ტარება და ვაჭრობა, სიყმაწვილეში უკვე მოესწრო თანაშემწედ ემუშავა სსრკ სახალხო დეპუტატთან მიხეილ ულიანოვთან, რომელიც ცდილობდა გავლენა მოეხდინა გამოძიებაზე, და კიდევ. იგი შრომობდა სსრკ სახალხო დეპუტატთა თანაშემწეების ასოციაციაში და რუსეთის პრეზიდენტის ინფორმაციის განყოფილებაში.

ამ მაღალი მფარველების ქომაგობის მიუხედავად, ვორონცოვი დააპატიმრეს. „ლეფორტოვოში“ ვანიჩკომ თავის მოკრძალებულ საშუალო განათლებას დაუმატა განთქმული ციხეების – ბუტირკის, „მატროსკაია ტიშინას“ და ლეფორტოვოს საუნივერსიტეტო გამოცდილება. ვანიჩკომ გაოგნებულ ოპერმუშაკებს უამბო ისტორია, რომელმაც მაშინვე დააყენა კვანტრიშვილის მკვლელობის საქმე განსაკუთრებით საიდუმლო საქმეების წყებაში. მისი ნაამბობის თითქმის ყველა დეტალი შემოწმებისას დადასტურდა.

მაშ ასე, მივცეთ სიტყვა დოკუმენტებს №128848 საქმიდან.

მოწმედ დაკითხულმა ი. ვ. ვორონცოვმა, რომელიც 1994 წლის 28 ივლისიდან იმყოფებოდა №2 საგამოძიებო იზოლატორში, აჩვენა, რომ მისთვის ცნობილია თუ ვინ იყო ო. ვ. კვანტრიშვილის მკვლელობის ორგანიზატორი.

„მოცემული დანაშაულის ორგანიზაციაში, – იძლეოდა ჩვენებას ვორონცოვი, – მონაწილეობდნენ ალექსანდრე შოხინი – რუსეთის მთავრობის ვიცეპრემიერი, ვიქტორ სკრიპკინი – კერძო დაცვის საწარმო „ქიტონის“ გენერალური დირექტორი, ლეონიდ ივანიცკი – გაეროსთან არსებული ხალხური დიპლომატიის ფონდის თანათავმჯდომარე. ზელიმხან ხარაზოევი – ჩეჩენთა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წარმომადგენელი, კომერსანტი“.

მოგვიანებით ვორონცოვმა დააზუსტა: მკვლელობა შოხინმა მოაწყო, ვინაიდან ფული, რომლითაც მოისურვა ესარგებლა კვანტრიშვილს, განკუთვნილი იყო სააქციო საზოგადოება „პარტნიორში“ მისი ძმისთვის გადასარიცხად. ივანიცკის თქმით, აჩვენა ვორონცოვმა, დანაშაულის უკან დგას კომპანია ჯმმ მისი ხელმძღვანელობის მეთაურობით, რომელიც თავისი ფულით აძლევდა გასამრჯელოს კილერს.

„სოვერშენო სეკრეტნო“
მოამზადა
ლია გოგიჩაიშვილმა.

(გაგრძელება იქნება).

სპორტი

კალათბურთი

მუხანათი რამაა წუთისოფელი

რას გაუგებ კაცი ცხოვრებას — ჭირს ხომ ლხინი ცვლის და პირიქით. ახლახან იყო, ქორწილის გამო კალათბურთელ ვაჟთა მერვე ეროვნული ჩემპიონატის მატჩი რომ გადაიდო, გუშინ კი გათამაშების კალენდარში ცვლილება უბედურმა შემთხვევამ გამოიწვია.

კერძოდ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდისა და „შევარდენის“ შეხვედრა ზღვისპირელთა გამთამაშებლის ბუბა ბერიშვილის მამის დაკრძალვას დაემთხვა და დღეს მოეწყობა. „ვითას“ მცველის მამუკა ტურაშვილის ბაბუაც გუშინ მიაბარეს მიწას კახეთში, მაგრამ ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონებმა, მართალია, არასრული შემადგენლობით, მაგრამ მაინც ჩამოუსწრეს „მაკაბისთან“ თამაშის დაწყებას და მორიგი გამარჯვებაც მოიპოვეს — 93:81.

ზუსტად ასეთივე შედეგით (იშვიათი დამთხვევაა) დასრულდა გუშინ გამართული კიდევ ერთი პაექრობა **სტუ — ასკ.** გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულ პოლიტექნიკოსებს შესვენებამდე მძაფრი ბრძოლა გადახდათ შეუპოვრად მოასპარეზე მეტოქესთან, რომლის შეტევებსაც ჩვეული პროდუქტიულობით აგვირგვინებდა აკოლაშვილი (მან 26 ქულა მოაგროვა, აქედან 18 — სწორედ პირველ ტაიმში), მაგრამ თამაშის განახლების შემდეგ ოთიურიძის ძალისხმევით გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს ორივე ფართან და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 93:81.

დღეს ვერის ბაღში პრინციპული მატჩებია: „აზოტი“ — თსუ (14 საათზე), სდასუ — „დინამო“ (15 საათსა და 45 წუთზე) და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი — „შევარდენი“ (17 საათსა და 30 წუთზე).

აკრობატიკა

დედაქალაქის პირველობაზე

70-მდე აკრობატი — ყველა სპორტსაზოგადოება „მართვეს“ წარმომადგენელი, შეეჯიბრა ერთმანეთს დედაქალაქის პირველობაზე, რომელიც ამას წინათ დამთავრდა.

სპორტის ოსტატთა პროგრამით გაიმარჯვეს ნათია ტაკაშვილმა, მარინა ოვანესიანმა (გოგონათა წყვილები), ნინო ჯღარკავამ, ნაირა გამჯაშვილმა, ლანა ქარაიამ (გოგონათა ჯგუფური ვარჯიშები), ილია იანტბელიძემ, ლევან ბუზიაშვილმა, ბექა ქამუტაშვილმა (ვაჟთა ჯგუფური ვარჯიშები).

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მხტომელთა შორის უძლიერესი იყო რუსუდან გუგუშვილი, ვაჟთა წყვილებში — გიორგი მამულაშვილისა და ლაშა ნადირაძის დუეტი. შერეულ წყვილთა შორის პირველობა დაისაკუთრეს სიურინა ტარზიანმა და ირაკლი ჭანტურიამ.

გაიმართა, აგრეთვე, პაექრობა პირველთანრიგოსან ჭაბუკთა შორის. საერთოდ, ამ ასპარეზობის მონაწილეთა ასაკი 21 წელს არ აღემატებოდა.

გარი ამირხანოვი.

ხელბურთი

ირანიდან — კრასნოდარში

ირანის თასზე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები, განაცხადა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ალეკო ქიქაბიძემ.

იგი ირანში 20 თებერვალს მიემგზავრება და შინ 1 მარტს დაბრუნდება.

„ირანის შემდეგ ნაკრები კრასნოდარს ეწვევა, სადაც მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის შესარჩევ ტურნირში პოლონეთის, ბულგარეთისა და რუსეთის გუნდებთან ერთად იასპარეზებს“ — თქვა მან.

პრაიმ-ნიუსი.

მადლი

შოთა ჩოჩიშვილის სიკეთის შუქი

ხანშიშესული ომელი ქალი ავტობუსს ელოდებოდა. უცებ მის წინ გორიდან მომავალი უცხოური მანქანა შეჩერდა, მანქანიდან გულღიად შემოპდიმა მძღოლმა: დეიდაჩემო, თუ თბილისისაკენ მობრძანდებით, წაგიყვანთო.

იმ სიცივეში დგომას თბილ სალონში ყოფნა სჯობდა და ომელი კატოც, თავის პატარა ხელბარგით, სავარძელში მოკალათდა.

გზაში გაირკვა, რომ ქალი თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა სოფელში და, როგორც ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს, არც ამ მარტოხელა მოხუცებს ულხინდათ.

თბილისში ჩავიდნენ, ქალმა მანქანის პატრონს მგზავრობის ფული შეაძლია.

კაცმა იუარა, როგორ გეკადრებათ, სიცივეში ხომ არ დაგტოვებდით, თანაც დედაჩემს მიგამგვანეთ... ჯიბიდან ფული ამოიღო, — გამომართვით ეს ასი ლარი, ვითომ დედაჩემისთვის შემიციაო, — დაასაჩუქრა გაოცებული ომელი კატო და გამოთხოვებისას ისიც უთხრა, სოფელშიც მალე გინახულებთო.

სოფელში რომ დაბრუნდა, კატო მეუღლეს და მეზობლებს მოუყვა, ასე და ასე მოხდა, ვიღაც ლეთისნიერს გადავეყარეო...

კატოს ნაცნობი მალე ოკამშიც ჩამოვიდა, ფქვილი მიუტანა, მოიკითხა მოხუცები, ხომ არაფერი გიჭირთო.

ცხენი მოგვეპარეს, თუ დაიკარგა, ვერ გავიგეთო.

შეჰპირდა, მაგ საქმესაც მოვუვლიო და, რამდენიმე დღეში, ცხენი მართლაც მიუყვანეს. „შვილობილი“ რომ ყურადღებას არ აკლებთ, რა თქმა უნდა, გაოცებული და გახარებული არიან, მაგრამ თან სწუხან, ქათმები გვყავს, ინდაურები, ვეხვეწებით, როცა ჩამოდის, უხერხულ მდგომარეობაში ნუ გვაგდებ, წაიყვანეო. ხელს არაფერს აკარებს, თქვენგან რამეს როგორ წავიღებო...

ვინც ეს ამბავი მომიყვა, ისიც მითხრა, კატო, მგონი თვითონ აპირებს ხელდამშვენებული ესტუმროს იმ კაცს გორშიო.

ვინ არის ის კაცი, აღარ იტყვი-მეთქი?

ვინ და შოთა ჩოჩიშვილიო!

ეს რომ მითხრა, გამახსენდა ერთი შემთხვევა:

კარგა ხნით ადრე, მოსკოვიდან მომავალი მამაჩემი თვითმფრინავში გორელი ბიჭის გვერდით მოხვდა.

გამოეცნაურნენ ერთმანეთს. საუბარში მამაჩემმა რაღაც წამალი ახსენა, რომელიც მოსკოვში ვერ იშოვა.

ბიჭი შეჰპირდა, საზღვარგარეთ ტურნირზე მივდივარ და ჩამოგიტანო.

გავიდა ხანი, დაპირება მამაჩემს აღარც ახსოვდა, რომ ერთ დილას ვიღაცამ დაიძახა...

კარში ის ბიჭი იდგა. წამალს შევპირდი თქვენს მეუღლეს და ჩამოვუტანეო, თან დაამატა, თუ სხვა რამეც დასჭირდეს, ნუ მომერიდებაო.

ის ბიჭიც შოთა ჩოჩიშვილი გახლდათ, რომლის სპორტული ვარსკვლავი ის-ის იყო, ამობრწყინებას იწყებდა.

მაშინდელი ყურადღება და გულისხმიერება შემთხვევითი არ ყოფილა.

ნებისმიერი ჯილდოს, მიღწევის მნიშვნელობა გაუფასურდება, თუ ყველაფერი ადამიანური სიკეთის შუქით არ არის განათებული.

ეს შემთხვევაც, თავისი მნიშვნელობით, ჩემთვის არანაკლებია, ვიდრე ყველა სპორტსმენისთვის სანუკვარი ოლიმპიური ოქროს მედალი. მით უმეტეს, რომ სხვისადმი დახმარების, მხარში დგომის სურვილი ამ კაცის ცხოვრების წესია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ბევრისაგან განსხვავებით, პრესას და რადიო-ტელევიზიას რომ ააწრიალებენ ხოლმე, შემოგვხედეთ, როგორი ქველმოქმედები ვართო, ბატონი შოთას სიკეთე მართლა გულიდან მოდის, უანგარო მადლის შუქით არის განათებული და გავიფიქრე: თუ ბევრს გვექნება თანაგრძნობის, წაქცეულის წამოყენების სურვილი და უნარი, ქვეყანა არ დაიღუპება-მეთქი.

ეს წერილი იმიტომაც დაიწერა, რომ ვისაც შეძლება აქვს, მინდა, მიბაძოს ჩვენს სახელოვან სპორტსმენს და მოქალაქეს, მიიხედოს, მგონი, ჩვენს გადატაკებულ ქვეყანაში არ გაუძნელდება გაჭირვებულის პოვნა.

გადავარჩინოთ ერთმანეთი, ამით ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალს გადავარჩენთ!

* * *

იანვრის ბოლოს, ზამთრისათვის უჩვეულო თბილ დღეს, ქარელის რაიონის სოფელ ღველეეში, შემოღობილ, ცაცხვისა და ვერცხლისფერი ნაძვის ახალჩარგული ნერგებით გაშენებულ ხეთისმშობლის ბაზილიკის ეზოში ვართ.

ბაზილიკა შოთა ჩოჩიშვილმა თითქმის თავიდან ააშენა, თეთრი ტუფის პერანგში ჩასვა და მოახატვინა. როგორი გულდადებით და სიყვარულით არის ყველაფერი ნაკეთები, ამის აღწერას ნახვა სჯობს.

ბაზილიკა გასულ წელს, მარიამობის წინა დღეებში აკურთხა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

მრავალრიცხოვანი საპატიო სტუმრების მასპინძელიც შოთა ჩოჩიშვილი გახლდათ.

— გახედეთ, როგორი გასაოცარი ადგილია — ისტორიული ურბნისი თავისი სტეფანეწმინდით, მარჯვნივ — გორიჯვარი, მარცხნივ ქარელის სალოცავები, ჩვენ სადღაც შუაში ვართ... ქრისტიანი კაცი ვარ და, ასე გამოვხატე ჩემი სიყვარული და თავის მოდრეკა.

ოლიმპიური ჩემპიონი ჩემმა ხეთისმშობელმა გამხადა... ყოველი დიდი შეჯიბრის წინ მე და ჩემი დეიდაშვილი — ცნობილი მოჭიდავე, მსოფლიო ჩემპიონი კობა კურტანიძე აქ ამოვდიოდით და ვლოცულობდით... გასაოცარია კობას სპორტული შედეგები — რვაჯერ საბჭოთა კავშირის და ოთხჯერ ევროპის უძლიერესი ფალავანი იყო თავის წონაში... ჩვენს დედებს, ორ უბრალო ქართველ ქალს, რა შეეძლოთ მეტი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი აჩუქეს ქვეყანას, — ეღიმება ბატონ შოთას.

ჩვენთან ერთად შოთა ჩოჩიშვილის მწვრთნელი და ახლა უკვე მისი მეგობარი, გურამ პაპიტაშვილია.

ჭიდაობის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული გორის ძიუდოისტთა სკოლა ამ კაცის მხრებზე იდგა და ახლაც ამ სკოლის წინამძღოლია. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი, შოთას ვაჟი რამაზ ჩოჩიშვილიც მასთან ვარჯიშობს.

— შოთა ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდა და შინ დაბრუნდა, სკრის სადგურში მატარებლიდან ჩამოხტა, ერთი სული ჰქონდა დედას როდის შეხვდებოდა, — მიყვება ბატონი გურამი, — ამოვიდა ღელეეში, დაინახა, დედა წყაროდან მოდის, ერთმანეთისკენ გაიქცნენ დედა-შვილი...

— გადავეხვიეთ და ყურში ჩამჩურჩულა, — განაგრძო ბატონმა შოთამ, — ვიცოდი, რომ გაიმარჯვებდი, სიზმარში გნახე, კავკასიონზე იდექიო...

ამ დღეებში რამაზ ჩოჩიშვილი საქართველოს ნაკრებთან ერთად დიდ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება ევროპაში.

ღმერთმა ქნას, ის საოცარი სიზმარი ხეთისმშობლის ძალამ რამაზის სახელოვან მამასაც აჩვენოს და უმცროსი ჩოჩიშვილიც გამარჯვებული დაბრუნდეს...

აქედან, მართლაც, საოცრად ჩანს კავკასიონი, განსაკუთრებით ასეთ მზიან, ულრუბლო ამინდში, თითქოს ახლოს მოდიან მწვერვალები...

ქართველ კაცს უყვარს მწვერვალების მზერა.

და, რა თქმა უნდა, უყვარს ამ მწვერვალებიდან გადმოხედვა.

ვანო ჩხიკვაძე,
გორი.

სანთელი

კოლეგის ხსოვნას

ნოდარ გიორგობიანს, ყველა რომ „ამხენას“ ეძახდა, მთელი თბილისი იცნობდა, თუმცა, თბილისი კი არა, მთელი საქართველო აფასებდა მის კაიკაცობას, მაღალ პროფესიონალიზმს, მეგობრებს კი უყვარდათ სარკესავით სუფთა, გულალალი, ყველას მოსიყვარულე „ამხენა“. იგი იყო კოლორიტული, გამორჩეული, განუმეორებელი პიროვნება. მუდამ მოუსვენარი, საინტერესო ამბების მცოდნე და ორიგინალურად გადმომცემი...

მახსოვს, წლების წინათ, ბიჭვინთაში, შემოქმედებითი მუშაკების დასასვენებელ სახლში ყოფნისას, აფორიაქებული ვყავდით ნოდარს — ყველაზე ადრე დგებოდა, მზეს ასწრებდა — სურდა, ჩვენც ვყოლოდით გვერდით სისხამ დილიდანვე. არ უყვარდა მარტოობა, სიჩუმე, მდორე, დაშაქრული ცხოვრება. ბობოქრობდა, მოძრაობდა და ჰყვებოდა ამბებს ყველასა და ყველაფერზე.

სპორტისა და სპორტსმენების თაობაზე პროფესიული აზრი და სიტყვა გააჩნდა. ამ სიტყვას იგი გადმოგვცემდა უკვე რადიოს საშუალებით, სადაც წლები და წლები გაატარა.

თავის საყვარელ ქალაქს, მეგობრებს, ქართულ სპორტს და ჟურნალისტიკას ჩამოშორდა ჩვენი ამხენა — ნოდარ გიორგობიანი. ვაგლახ, რომ სამუდამოდ.

ანზორ ბასილაია.

წყალჯომარდობა

„ლაგუნა-ვერე“: პაუზა მარტამდე

ქალაქში ხმა დაირხა — თბილისში ერთი საცურაო აუზი მუშაობს ნორმალურად და იმასაც ხურავენო. ინფორმაციის დასაზუსტებლად გუშინ სპორტკომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ ვეწვიეთ და მის თავკაცს, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ გოიაშვილს ვესაუბრეთ:

— ჩვეულებრივ, აუზებს წელიწადში ერთხელ პროფილაქტიკურ სამუშაოებს უტარებენ — აგვიხსნა ბატონმა ვლადიმერმა, — ჩვენთანაც ასე იყო უწინ. ყოველწლიურად, მარტში, 20-25 დღით ვაჩერებდით ხოლმე კომპლექსს. ბოლო 5-6 წელიწადი შეუსვენებლად ვმუშაობდით და უმთავრესად „კოსმეტიკური“ შეკეთებებით ვკმაყოფილდებოდით. გადავწყვიტეთ, მარტში ძირფესვიანად მივხედოდა აუზებისთვის. ბოლო დროს ელექტროენერგიას ხშირად გვირთავენ (**სხვათა შორის, ჩვენი საუბრისას გამოირთო შუქი და წამოსვლამდე არ ჩართულა**), იძულებული ვხდებით დიზელ-გენერატორი გამოვიყენოთ და დამატებითი ხარჯები გავიღოთ, ბუნებრივ გაზზეც საგრძნობლად გაიზარდა ფასები, რასაც დაერთო ლარის კურსის მერყეობაც. შედეგად — აუზზე მომსვლელთა რაოდენობაც გარკვეულწილად შემცირდა. ყოველივე ამის გამო გადავწყვიტეთ, კომპლექსის პროფილაქტიკური სამუშაოები თებერვალში გადმოგვეტანა. **10 თებერვლიდან თვის ბოლომდე აუზებს გავაჩერებთ:** გავწმენდთ ქვაბებს, შევცვლით ურდულებს, მოვაწესრიგებთ აუზებში წყალგაყვანილობის სისტემას, შევაკეთებთ ჰამხაპებსა და გასახდელებს. პირველი მარტიდან კი „ლაგუნა-ვერე“ მთელი ძალით ამუშავდება.

— გამოდის, რომ კომპლექსი მთლიანად არ წყვეტს მუშაობას...

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენ გვაქვს ელექტროენერგიით წყლის გაცხელების ავტონომიური სისტემა, ამდენად, შეუფერხებლად იმუშავებს საუნები, სილამაზის სალონი, ბოდიბილდინგისა და აერობიკა-შეიპინგის ჯგუფები. რამდენიმე დღის წინათ „გარუჯვის კაბინეტი“ გავხსენით და ისიც მოემსახურება მსურველებს.

— წყალბურთელებსა და მოცურავეებს რა ეშველებათ?

— მოცურავეებს იძულებითი შესვენება ექნებათ და ამ პერიოდს საერთო ფიზიკურ მომზადებას დაუთმობენ. 1981-82 წლებში დაბადებული წყალბურთელები, რომლებმაც შარშან რუსეთის ჩემპიონობა მოიპოვეს, ამჟამად რუსეთის წლევანდელი პირველობის ნახევარფინალში ასპარეზობენ ვოლგოგრადში. იქიდან დაბრუნების შემდეგ, 1984-1986 წლებში დაბადებულ წყალბურთელებთან ერთად, ბაკურიანში გაივლიან საწვრთნელ შეკრებას, მარტიდან კი ჩვენთან განაახლებენ ვარჯიშებს. უმცროსები კიევში გაემგზავრებიან და უკრაინის პირველობაში ჩაებმებიან თანატოლთა შორის. ახალგაზრდებს აპრილის მიწურულს რუსეთის პირველობის ფინალი ელოდებათ, ხოლო 7-10 მაისს პოლანდიაში ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში ითამაშებენ მასპინძლებთან, ისრაელისა და ბელორუსიის ნაკრებ გუნდებთან ერთად ფინალურ ეტაპზე გასასვლელად.

— სარემონტო სამუშაოების ჩატარება მომსახურების ფასების გაზრდას ხომ არ გამოიწვევს?

— თებერვლის შუა რიცხვებში უკვე გავზარდეთ მომსახურების ფასები 25 პროცენტით, ამიტომ, არა გვგონია, კიდევ მოგვიხდეს ტარიფების გადახედვა, რადგან მოსახლეობის შესაძლებლობებსაც ვითვალისწინებთ...

ასე რომ, დღეიდან პირველ მარტამდე „ლაგუნა-ვერეში“ მხოლოდ აუზები „დაისვენებენ“, დანარჩენები კი ჩვეული რიგმით იმუშავებს.

ვაჟა ნოსირელი.

ჭადრაკი

მსოფლიო ჩემპიონს დაატოვებინეს... „რეიტინგ-ლისტი“

ეს მართლაც დიდი სიურპრიზია — ფიდეს „რეიტინგ-ლისტში“ ქალთა შორის ვეღარ ნახავთ მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგარს! თუმცა, ამის შესახებ — ცოტა ქვემოთ...

პირველ ადგილზე დიდი უპირატესობით (2677 ქულით) განთქმული უნგრელი დიდოსტატი, 22 წლის იუდით პოლგარია. რახან იგი, პრინციპული მოსაზრებებით, არ მონაწილეობს ქალთა შეჯიბრებებში, ბევრი ექსპერტი სრულიად სამართლიანად თვლის, რომ იუდითი საერთოდ არ უნდა იყოს წარმოდგენილი დიდოსტატ ქალთა სიაში, მას სახელად ისიც ეყოფა, რომ უძლიერეს ვაჟთა შორის მეთექვსმეტეა!

ამჟამად, მეორეა ალისა გალიამოვა (რუსეთი, 2558). წინა სიასთან შედარებით მას სულ ცოტა 2 სარეიტინგო ქულა დააკლდა. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ალისა გალიამოვამ ვერ გამოიყენა თავისი უფლება ეთამაშა პრეტენდენტების ფინალურ მატჩში სიე ჟუნის წინააღმდეგ, რომელიც შეეძლო დაემარცხებინა კიდეც...

ამჟამად მესამეა მაია ჩიბურდანიძე (2553), რომლისთვისაც გასული წელი ერთობ წარმატებული გამოდგა. მაიამ წლის მეორე ნახევარში 24 პარტია ითამაშა და 28 სარეიტინგო ქულა შეიძინა. სახელოვანი დიდოსტატის საბრძოლო მზადყოფნის ასეთი აშკარა გაუმჯობესება მის გულშემატკივრებს იმედს გვაძლევს, რომ სექტემბერში მაია იბრძოლებს თავისი დაკარგული წოდების დასაბრუნებლად.

ახლა კი ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ რატომ აღარ არის სიაში მსოფლიო ჩემპიონი ჟუჟა პოლგარი, რომელსაც წინა „რეიტინგ-ლისტში“ 1565 ქულით მეორე ადგილი ეკავა თავისი უმცროსი დის შემდეგ. საქმე ის არის, რომ თუ მოჭადრაკე ორი წლის მანძილზე საერთოდ არ თამაშობს (ჟუჟას უკვე თითქმის სამწლიანი პაუზა გამოუვიდა), იგი ავტომატურად ტოვებს „ლისტს“. რა თქმა უნდა, ზაფხულიდან, როცა თამაშს განაახლებს, ჟუჟა პოლგარი ისევ დაიკავებს ადგილს უძლიერესთა შორის.

ახლა დიდ ინტერესს იწვევს სიე ჟუნის (ჩინეთი) თამაში, რომელსაც სამწლიანი „შესვენების“ შემდეგ ისევ მიეცა მსოფლიო ჩემპიონის წოდების დაბრუნების შესაძლებლობა. წლის მეორე ნახევარში ჩინელმა 33 პარტია ითამაშა. მისი ახლანდელი რეიტინგი 2532-ია, მოიმატა 22 ქულა.

ამჟამად მეხუთეა პია კრამლინგი (შვეცია, 2515), მეექვსე — შუათანა და — სოფია პოლგარი (უნგრეთი), რომელიც იონა ქოსაშვილზე გათხოვების შემდეგ ისრაელში ცხოვრობს, თელ-ავივის უნივერსიტეტში სწავლობს და, ასე გასინჯეთ, უკანასკნელი 6 თვის მანძილზე ერთი პარტიაც კი არ უთამაშია.

2499 ქულით მეშვიდეა 25 წლის რუსი ეკატერინა კოვალევსკაია, რომელსაც მთელი გასული წლის მანძილზე დიდი წარმატებები ჰქონდა.

ნანა იოსელიანი (2493) ბევრს თამაშობდა (26 პარტია), როგორც საერთაშორისო ტურნირებში, ისე ჩეხეთისა (იგი დროებით პრაღაში ცხოვრობს) და გერმანიის გუნდურ შეჯიბრებებში. ნანა ახლა რეიტინგით მერვეა, რაც, ცნადია, სრულიადაც არ შეესაბამება მის შესაძლებლობებს. ახლა, რა თქმა უნდა, გამოჩენილი ქართველი დიდოსტატისათვის მთავარია არა ეს ცვალებადი რეიტინგი, არამედ მსოფლიო ჩემპიონატი, სექტემბერში ნოკაუტ-სისტემით, თუ ნანამ ისე ითამაშა, როგორც მას ხელეწიფება...

23 წლის ჩინელი ჟუ ჩენი (2487), რომელიც სამშობლოშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც სიე ჟუნის სერიოზული მეტოქეა (და მასზე მთელი 6 წლით უმცროსი), ახლა სიაში მეცხრეა, გამოჩენილი იუგოსლაველი დიდოსტატი ალისა მარიჩი (2481) კი მეათე.

ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ 19 წლის ვიეტნამელმა ხოანგ ტხონგ ტრანგმა (2450) მთელი 100 ქულა მოიმატა და სიაში მეთოთხმეტეა, 21 წლის დიანა დარჩია (2445) მეთექვსმეტე, ქეთევან კახიანი (გერმანია, 2439), — მეცხრამეტე, ქეთევან არახამია (2431) კი — მეოცე.

თუ რამდენად ასახავს ამჟამად მოქმედი „რეიტინგ-ლისტი“ მსოფლიოს წამყვანი მოჭადრაკე ქალების რეალურ ძალთა თანაფარდობას, ამას, რა თქმა უნდა, უახლოესი შეჯიბრებები დაგვანახებს. ქართველი მოჭადრაკე ქალებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება მსოფლიო პირველობის მორიგ ზონალურ ტურნირს, სადაც მათი დიდი ჯგუფის მონაწილეობაა ნავარაუდევი. ამ შეჯიბრების გამართვის დრო და ადგილი ამ მოკლე ხანში უნდა დადგინდეს.

გივი გამრეკელი.

ფეხბურთი

უშველის „ოდიშს“ ბოდიში?

მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე მინიფეხბურთში ზუგდიდის „ოდიშიც“ ასპარეზობდა. ზუგდიდელებს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ ჯერჯერობით მე-10 ადგილი უკავიათ, მაგრამ მე-2 წრეში, როგორც ჩანს, გაუჭირდებათ — უპრეზიდენტოდ, ფაქტობრივად, უპატრონოდ დარჩენილ გუნდს საარსებო სახსრები არ გააჩნია.

— ბედის ანაბარა ვართ მიტოვებულები. — გვითხრა „ოდიშის“ მთავარმა მწვრთნელმა სოსო ჭედიამ. — ჩვენი პრეზიდენტი ვახტანგ ნანავა მაისიდან თვალითაც არავის უნახავს. იგი ბიზნესმენია, პოლონეთში წავიდა რაღაც საქმეებზე და მას მერე მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის. ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდით. ხელფასებსა და პრემიებს ვინ ჩივის, კვება და შეჯიბრებებზე გამგზავრება გვიჭირს. ზუგდიდიდან ხუთ-ათ კილომეტრზე გვაქვს სავარჯიშო მოედნები რუხსა და ზედა ეწერში. იქ წასასვლელი ავტობუსი არა გვაქვს. ცხელ მხაპზე ხომ ფიქრიც წარმოუდგენელია. ხომ ნახეთ, ამ ტურნირზე, ყველაზე ცუდი ფორმა ჩვენს ბიჭებს ეცვათ — ორი წლის წინათ შეძენილი მაისურებით ვიასპარეზეთ. მოთამაშეებს ერთნაირი კედებიც კი არ გააჩნიათ, რომ არაფერი ვთქვათ ბუცებზე. კიდევ კარგი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გვამარაგებს ბურთებით, თორემ, ალბათ, ჭინჭის ბურთებით არ აგვცდებოდა ვარჯიში. მადლობა გვინდა ვუთხრათ ფეხბურთის ფედერაციას, პირადად ბატონ მერაბ ჟორდანიას, რომელმაც დიდად შეგვიწყო ხელი ამ ტურნირზე ჩამოვსულიყავით. ჩვენს ახალბედა ფეხბურთელებს სპორტის სასახლეში ნათამაშევი ორი მატჩი და ამხანაგური შეხვედრა „მერანთან“ გარკვეულ გამოცდილებას შესძენს.

— შეგნებულად გააახალგაზრდავეთ გუნდი?

— არა, რას ამბობთ. პრეზიდენტის გაუჩინარების გამო ფეხბურთელებს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები რომ ვერ შევუსრულეთ, აღარ ისურვეს „ოდიშში“ თამაში. ძირითადი შემადგენლობის ცხრა ფეხბურთელი წავიდა — ენდელაძე, ტყემალაძე, ლურსმანაშვილი, ჩადუნელი, ანჯაფარიძე, კიპაროიძე, ბარქაია, თოლორდავა, ჯაბუა. გუნდს ხომ შევსება უნდოდა. „ოდიში-2“-იდან და განმუხურიდან ავიყვანეთ რამდენიმე ფეხბურთელი: მებონია, გოროზია, გაბისონია, აკობია, გუგუჩია, ვახანია, ასლანიშვილი. მართალია, გულშემატკივრებს ეს გვარები არაფერს ეუბნება, მაგრამ, მერწმუნეთ, ისინი ჩინებული ფეხბურთელები დადგებიან — 1980-82 წლებში არიან დაბადებულები. გამოუცდელი ბიჭებით მძიმე სეზონი გველის, მაგრამ რა ვქნათ, უნდა გავუძლოთ. ყველაფერს ვიღონებთ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. ნახავთ, რა ძნელი იქნება ზუგდიდიდან თუნდაც ქულის წამოღება; ქალაქის მერია გვპირდება დახმარებას. უამისოდ შეიძლება გუნდი დაიშალოს.

— ვიცი, რომ ზუგდიდში ძალიან უყვართ ფეხბურთი. ნუთუ არავინ გამოჩნდა ისეთი, ვინც შეგეხიდებოდათ?

— როგორ არა, არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ, დახმარების ხელი გამოგვიწოდონ, მაგრამ ერიდებათ. ნანავა გუნდში რომ მოვიდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩამოაყალიბა. ფაქტობრივად, გუნდი მისი საკუთრებაა, ამიტომ ყველა გვიბოდიშებს — სხვის გუნდში როგორ მოვიდეთო. არადა, მეც უკონტრაქტოდ ვმუშაობ, აგვისტოდან ხელფასი არ მიმიღია. ვერც ფეხბურთელებთან ვდებთ ხელშეკრულებას. აი, ამ ახალგაზრდა ბიჭებს მოვამზადებ, დაოსტატდებიან და რომ იფიქრებ, მგონი, მეშველაო, ერთ მშვენიერ დღეს დაავლებს ვინმე ხელს და წაიყვანს მუქთად. ვერც ვერავის დავაკავებ, რადგან ფეხბურთელი ვიყავი და თავადაც ვიცი, რა ძნელია დღევანდელ პირობებში მხოლოდ ენთუზიაზმზე თამაში. ადამიანია, არსებობა უნდა.

— ასეთ პირობებში ფეხბურთიდან წასვლა ხომ არ გიფიქრიათ?

— რას ამბობთ, ლამეც ფეხბურთი მესიზმრება, ძილშიც კი სამომავლო გეგმებს ვაწყობ. მე ზუგდიდელი ვარ და მორალური უფლება არა მაქვს, გუნდი მივატოვო. ჩვენთან მართლაც უყვართ ფეხბურთი და მინდა, ისეთი გუნდი შევქმნა, რომ ყოველ თამაშზე მოსვლა ზუგდიდელებისათვის ზეიმი იყოს. მართალია, წლეულს უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მოგვიწევს ძნელი ბრძოლა, მაგრამ გაისისთვის ბიჭები გამოცდილებას შეიძენენ და, თუ ოდნავ ეკონომიკური შემწეობაც იქნა, ყველა გუნდს თანატოლად გაეეჯიბრებით.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.
სურათზე: სოსო ჭედია.

ყოველი მხრიდან

უმდიდრესი უმდიდრესებში

რეიტინგი ათასნაირია და მათ შორის არის უმდიდრესი საფეხბურთო კლუბების ნუსხაც, რომელშიც **„Deloitte and Touche“** საბუღალტრო ფირმის გამოანგარიშებით, ლიდერობს „მანჩესტერ იუნაიტედი“, თანაც საგრძნობლად უსწრებს მილიონერთა ოცეულში მყოფ კლუბებს — მისი შემოსავალი 1997 წელს 89,7 მილიონი გირვანქა სტერლინგი იყო.

უმდიდრესთა სიაში უმეტესი ადგილები ინგლისის, ესპანეთისა და იტალიის გუნდებს უკავია. ტელეტრანსლაციებით გაზრდილმა შემოსავლებმა ამ გუნდების მესვეურებს საშუალება მისცა, თავიანთ გუნდებში მოეზიდათ ფეხბურთის ვარსკვლავები, რომელთა თამაშს თანამგზავრული ტელეხედვით თითქმის მთელი მსოფლიო უყურებს, უმდიდრესთა საფეხბურთო ელიტაში მხოლოდ ერთმა არაევროპულმა გუნდმა შეძლო „გაძრომა“ — ბრაზილიის „ფლამენგომ“, რომელიც მეთერთმეტე ადგილზე აღმოჩნდა.


MANCHESTER UNITED
THE LOVE OF MONEY IS A ROOT OF ALL EVIL

— ამ სიაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლიდერობა კანონზომიერია, — განაცხადა საბუღალტრო ფირმის წარმომადგენელმა ჯერი ბუნმა, — „მანჩესტერ იუნაიტედი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასაქონლო მარკა გახლავთ.

— კლუბს ისე ვხელმძღვანელობთ, როგორც საწარმოს, — აღიარებს კლუბის პრეზიდენტი მარტინ ედვარდსი, — ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველაფრის თავი და თავი ფეხბურთის გუნდია.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კლუბების ოცეული ასე გამოიყურება (მილიონ გირვანქებში): 1. **მანჩესტერ იუნაიტედი** (ინგლისი) 89,79; 2. **ბარსელონა** (ესპანეთი) 58,87; 3. **რეალი** (ესპანეთი) — 55,66; 4. **იუვენტუსი** (იტალია) — 53,22; 5. **ბავარია** (გერმანია) — 51,62; 6. **მილანი** (იტალია) — 47,48; 7. **ბორუსია** (გერმანია) — 42,20; 8. **ნიუკასლი** (ინგლისი) — 47.13 9. **ლივერპული** (ინგლისი) — 39,15; 10. **ინტერი** (იტალია) — 39,07; 11. **ფლამენგო** (ბრაზილია) — 37,42; 12. **ატლეტიკო** (ესპანეთი) — 32,38; 13. **პარი სენ ჟერმენი** (საფრანგეთი) — 31,70; 14. **რეინჯერსი** (შოტლანდია) — 31,66; 15. **რომა** (იტალია) — 28,22; 16. **ტოტენჰემი** (ინგლისი) — 27,87; 17. **აიაქსი** (ჰოლანდია) — 27,80; 18. **პარმა** (იტალია) — 27,76; 19. **ლაციო** (იტალია) — 27.33. 20. **არსენალი** (ინგლისი) — 27,16.

სურათზე: „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებს მაინც და მაინც არ ახარებთ გუნდის სიმდიდრე. კლუბის სტადიონთან „ოლდ ტრაფორდთან“ შეკრებილი დემონსტრანტების ლოზუნგს აწერია: „ფულის სიყვარული ყველა ბოროტების სათავეა“.

მარადონა — კინომსახიობი?

ფეხბურთის არგენტინელი ვარსკვლავი დიეგო მარადონა კვლავ ჩავიდა იტალიაში, რომელთანაც დაკავშირებულია მისი საფეხბურთო კარიერის ბოლო წლები. აქ ის უნდა შეხვდეს ორ ფინანსურ მონსტრს — სილვიო ბერლუსკონისა და ვიტორიო ჩეკი გორის, რომლებიც შესაბამისად „მილანისა“ და „ფიორენტინას“ ფაქტობრივი ბატონ-პატრონები არიან. რაზე იქნება საუბარი? რასაკვირველია, ფეხბურთზე. უფრო სწორად, ფეხბურთსა და კინოზე. როგორც ფეხბურთელის პირადმა აგენტმა გილიერმო კოპოლამ განაცხადა, მისი კლიენტი უნდა მოელაპარაკოს იტალიელ ფინანსისტებს თავის პირად ცხოვრებაზე, ფილმის გადაღების დეტალებზე. ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ — მხატვრული იქნება ფილმი თუ დოკუმენტური, დიდი ფეხბურთელი თავად მიიღებს თუ არა მასში მონაწილეობას, ცნობილია, მხოლოდ, რომ სანამ მაღალ ხელოვნებას ეზიარება, მარადონა იტალიაში ყოფნას გამოიყენებს სპორტული ტანსაცმლის ერთ-ერთი ცნობილი ფირმის ნაწარმის სარეკლამო ფილმში მონაწილეობისათვის.

ამ დროს კი კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციამ სახელგანთქმული ფეხბურთელი მიიწვია ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრებისა და დანარჩენი ამერიკის ნაკრების საქველმოქმედო მატჩში, რომელიც მარტში ნიუ-იორკში გაიმართება. მთელი შემოსავალი გადაირიცხება ახლახან მიწისძვრით დანგრეული კოლუმბიის დახმარების ფონდში. საშინელმა კატასტროფამ ხომ თითქმის ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 4 ათასამდე ადამიანი დაშავდა.

სურათზე: დიეგო მარადონა იტალიაში ჩასვლისას.

შინ თამაში აუკრძალეს

ჩეხეთის ჩოგბურთის ასოციაციამ აუკრძალა პეტერ კორდას სამშობლოში თამაში, სანამ საბოლოოდ არ გამოირკვევა შარშანდელ უიმბლდონზე მის მიერ დოპინგის გამოყენების საკითხი. „პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა — განაცხადა ასოციაციის პრეზიდენტმა კარლ პაპუხეკმა, — კორდას ყველგან თამაში შეუძლია, თავისი მშობლიური ქვეყნის გარდა. ასეა თუ ისე, ჩვენი გადაწყვეტილება ეფუძნება დოპინგთან ბრძოლის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებას. ერთი კია, ეს გადაწყვეტილება ბევრ ვერაფერს დააკლებს უკვე კარგა ხანია მონტე კარლოში მცხოვრებ ჩეხ ჩოგბურთელს, თანაც მან შარშანწინ დაანება თავი დევისის თასზე ეროვნულ ნაკრებში თამაშს და საერთოდ, იშვიათად ჩადის ჩეხეთში.

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

რეპორტაჟი ევროპიდან

ვენა. დიდი ავსტრიელები: მოცარტი, შტრაუსი; და ავსტრიელები დღეს.
ბადრი ვადაჭკორიას ფოტო
(„სრ“ საკ. კორ. ვენა).

საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება“ პროექტის მიწის რეგისტრაციის განყოფილება

აცხადებს ბიდინგს (ტენდერს) საკადასტრო სამუშაოების ჩასატარებლად გარდაბნის რაიონის ქესალოს, ნაზარლოს და ვახტანგისის საკრებულოების ტერიტორიებზე.

სამუშაოების შესრულების მსურველთა განაცხადები მიიღება 1999 წლის 8 თებერვლიდან 1999 წლის 8 მარტამდე.

ბიდინგის მასალების მიღება და შეფასება იწარმოებს მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი წესების და სტანდარტული ფორმების შესაბამისად.

მიწის რეგისტრაციის განყოფილება აწყობს გასაუბრებას ბიდინგში მონაწილე კომპანიებთან 1999 წლის 18, 23 თებერვალს და 4 მარტს, 14 საათზე.

დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე:

ქ. თბილისი, თამარაშვილის 15 ა, მე-3 სართული, ოთახი 306, ტელ: 32-37-69, 53-67-51.

რუსთავი შპს „პროგრესი“
გთავაზობთ შედარებით დაბალ,
მისაწვდომ ფასად მაღალხარისხოვან,
ეკოლოგიურად სუფთა ბურღულეულს:

1. *წიწიბურა;*
2. *ბარდა;*
3. *ქერის ბურღული;*
4. *შვრიის ბურღული;*
5. *„პერლოვკა“.*

მისამართი: ქ. რუსთავი,
მშვიდობის ქუჩა № 6.
ტელ: (24) 15-07-12 ან 8-77-42-43-86.

გასწორება

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

თქვენი გაზეთის ა. წ. 16 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ სარეცენზიო წერილში, სამწუხაროდ, გამეპარა შეცდომა: ვანო სარაჯიშვილთან დაკავშირებულ ეპიზოდში **კაპელნიცკის** ნაცვლად მიწერია **ისეცკი**, რის გამოც ბოდიშს ვუხდი რედაქციასაც და მკითხველსაც.

შუქია აფრიდონიძე.

მეუღლე ლილი, და თამარი, ძმა ირაკლი, დისწულები ნინო, გიორგი მოდრეკელიძეები, ძმისწულები ივანე, კონსტანტინე, ალექსანდრე, გიორგი, ბიცოლა ნუნუ ხოსროშვილი, ბიძაშვილები იოსებ, რუსუდან, ანასტასია ჭანტურიძეები, რძლები მერი, ხათუნა ერისთავები, იზაბელა მეშველიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბიძინა ივანეს ძე ერისთავი

პანაშვიდი 9, 10 II, 4 სთ., გამოსვენება 11 II, 2 სთ., არაყიშვილის I ჩიხი, № 8, I სადარბაზო.

მეგობრები თამაზ თხელიძე, ილო ბურჯანაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გია ბუზალაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე კოლია, შვილი მარინე რობიტაშვილები, დები ნატა, ნორა, ძმა ფარნა დარჩიაშვილები, სიძე რეზო, შვილიშვილები ნინო, კახა ცხადაძეები, დისწული ნინო, ძმისწული ხათუნა ოჯახებით, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქრისტინე (ციცო) ნოეს ასული დარჩიაშვილი-რობიტაშვილი

პანაშვიდი 9, 10 II, 4 სთ., გამოსვენება 11 II, 3 სთ., ნუცუბიძის პლატო IV მ/რ, კორპ. 17, II სადარბაზო, II სართული.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანოები გიწვევთ აუქციონებსა და კონკურსებზე

რაიონი	ო ბ ი ე ქ ტ ი	საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარებში)
თბილისი	ბ.ხმელნიცკის ქ.№161-ში მდებარე შენობაში განთავსებული 103,4 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი	3200
	ბ.ხმელნიცკის ქ.№48, მე-6 კორპუსში განთავსებული 70კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი	2200
	ბ.ხმელნიცკის ქ. №48, მე-6 კორპუსში განთავსებული ფართი (30კვ.მ. სარდაფით)	2200
	ჯიქიას ქ.№2ა-ში მდებარე სახაზინო საწარმო „ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის“ ლაბორატორიულ-საძიებო კომპლექსი	23000
	ჭონქაძის №12- ში მდებარე ავტოფარეხის ნახევარი, 26კვ.მ. ფართი	800
	სახაზ. საწარმო მექანიკური ქარხანა „ჩუღურეთის„ ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი სათეგავი წნეხი, მოდ. კ-8336(400ტ.)	1695
	„სამგორწყალმშენის“ ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი ვაგონი-სახლი ზკტო-20	201
	შევჩენკოს ქ.№5- ში მდებარე მშენებელი საცხოვრებელი სახლის სარდაფის პირველ სართულზე განთავსებული ავტოფარეხები №1-დან №36- ის ჩათვლით და მეორე სართულზე განთავსებული ავტოფარეხები №55- დან №72 -ის ჩათვლით	3661,2 - დან 5820 - მდე
ხაშური	ყოფილი მრავალდარგოვანი მოიჯარე სახელმწიფო საწარმო „იმედის“ ბლოკის საამქრო	613
	ყოფილი მრავალდარგოვანი მოიჯარე სახელმწიფო საწარმო „იმედის“ შპალერის საამქრო	14663
	ქ.ხაშურში გორგასლის ქ-ზე მდებარე არასაცხოვრებელი 546კვ.მ.	21294
	ს/ს „საკისარის“ საწესდებო კაპიტალში არშე ბული პურის საცხობი	1800
	ყოფილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პავილიონი ქ.ხაშური სტალინის ქ.	877
	ყოფილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პავილიონი (ფოტო-ატელიე) ქ.ხაშური თამარ მეფის ქ.	229
	ყოფილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გაქირავების ბიუროს ფარდული ქ.ხაშური გორგასლის ქ.	571
	ხორცკომბინატი (ქ.ხაშური, 9 აპრილის ქ.)	66072
	სახაზინო საწარმო „ნობათის“ კარტოფილის საცავი	1813
	სახაზინო საწარმო „ნობათის“ ბოსტნეულის საცავი	2376
ქარელი	ბებნისის სახაზინო საწარმოს სამჭედლოს შენობა	660
	ბებნისის სახაზინო საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური საწყობი	1100
	ბებნისის სახაზინო საწარმოს ტრაქტორების ფარდული	680
	ბებნისის სახაზინო საწარმოს საწვავის სარდაფი	110
	ბებნისის სახაზინო საწარმოს ძველი კანტორის შენობა	330
	მოხისის საკრებულოს ბოსტნეულის შესანახი საწყობი	17630
	მოხისის საკრებულოს ძველი აბანოს შენობა	500
	მოხისის საკრებულოს წისქვილი	100
	მოხისის საკრებულოს ძველი კანტორის შენობა	1780
	ქარელის პურის მიმღები საწარმო	28615
	სოფელ ფცის შპს-ს ყოფილი აბანო	300
	სოფელ დირბის მეურნეობის ფარდული	180
	სოფელ დირბის მეურნეობის მარცვლეულის საწყობი	2900
	სოფელ ფცის შპს-ს საქვაბე	175
	სოფელ ფცის შპს-ს ტიპიური საქრონე	2130
გარდაბანი	საგორის მევენახეობის საზ. მეურნეობა	26958

შენიშვნა: ნუსხაში მოყვანილი ობიექტების ღირებულების დაფარვა მოხდება ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი კურსით.

კონკურსისა და აუქციონის წესით პრივატიზებული იქნება აგრეთვე ხონის რაიონში განლაგებული მცირეფასიანი სახელმწიფო ქონება.

აუქციონები ნულოვანი საწყისი ფასით, რომლებზეც გამოტანილი იქნება ამორტიზებული და ფიზიკურად გაცვეთილი ობიექტები, მოეწყობა ხონში და ქარელში.

№41 სპეციალიზებულ აუქციონზე, რომელზეც გასაყიდად გამოტანილია 51 სააქციო საზოგადოების აქციები, განაცხადები მიიღება 5 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით.

საპრივატიზებო ობიექტებზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრეს“ 5 თებერვლის №5-ში.

გახსენება

ოთარ გოცაძე

7 თებერვალს 70 წელი შეუსრულდებოდა **ოთარ გოცაძეს**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონული სეისმოლოგიის განყოფილების გამგეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს.

ოთარ გოცაძე იყო ქართული სეისმოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში სეისმოლოგიის განვითარებაში.

დიდია მისი დამსახურება საქართველოს სეისმური ქსელის გაფართოებაში; ის იყო ავტომატიზაციისა და ახალი კომპიუტერული მეთოდების დანერგვის, სეისმოლოგიური მასალების მანქანურ დამუშავებაზე გადაყვანისა და საინფორმაციო საძიებო სისტემების შექმნის პიონერი ქართულ სეისმოლოგიაში. ოთარ გოცაძის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოში თანამედროვე სეისმოლოგიური ობსერვატორია, რომელიც მის სახელს ატარებს. ოთარ გოცაძე აქტიურად მონაწილეობდა საინსტიტუტო, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. იყო 60 მეცნიერული ნაშრომის ავტორი.

ოთარ გოცაძის საქმისადმი სიყვარული და ერთგულება, შესაშური შრომისმოყვარეობა და პრინციპულობა ყოველთვის მისაბაძი იყო და იქნება ახალგაზრდობისათვის. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მრავალი, ახლა უკვე წამყვანი სეისმოლოგი.

მან დიდი კეთილშობილებით და თავმდაბლობით საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. უსაზღვროდ მტკივნეული იყო ინსტიტუტის თანამშრომელთათვის ბატონ ოთართან განშორება. იგი იყო მოსიყვარულე მეუღლე, მამა, ბაბუა...

6 წელია, რაც ჩვენს გვერდით აღარ არის ოთარ გოცაძე, პიროვნება, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო მეცნიერებაში.

მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგებისა და მეგობრების გულში.

თ. ჭელიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ზ. ჯავახიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის აპარატი თანაუგრძნობს ტრანსპორტისა და გზების პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს ზურაბ ანთაძეს მამის

მიხეილ ანთაძის

გარდაცვალების გამო.

გახსენება

ელისო ბერიძე

დაიღალეო, დაგვტოვე... თავზარდამცემი იყო შენი წასვლა. ვერ დაგვიჯერებია ეს მწარე სინამდვილე. ჩვენო კარგო და კეთილო **ელისო**, დაგვაკლდა შენი ბავშვივით გულუბრყვილო, ღიმილიანი კისკისი, სიყვარული და გულის უშურველი სითბო, ყველანი მზესავით რომ ვეფიცხებოდით. უსაზღვროდ გვენატრები და გვაკლიხარ. შენ ამშვენებდი საყვარელ ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, სრულიად საქართველოს.

არ გვჯეროდა, რომ შენს მშვენიერ სხეულში ავი სენი დაიბუდებდა. ვეება გულის პატრონს ზამთრის სუსხის გეშინოდა. გისმინა ბუნებამ. გაზაფხულივით ზამთარი დაგიდგა. იანვრისათვის უჩვეულო მზიან, თბილ დღეს გულწრფელი ცრემლითა და ყვავილებით მიგაცილებდა შენზე უსაზღვროდ შეყვარებული ათასობით თანამემამულე. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, შენ ხომ დღე და ღამ მათი ცხოვრებით ცხოვრობდი, მათი დარდი გადარდებდა, მათი სიხარული გიხაროდა. ილვწოდი, სანთელივით იწვოდი, თავს არ ზოგავდი, რათა შენი ქვეყნის, შენი მხარისათვის სასიკეთო კვალი დაგემჩნია. აღწევდი კიდეც მიზანს. სადაც შრომობდი, ყველა კუთხეში ლამაზი ავტოგრაფებივით ტოვებდი შენი აზრის, გონებისა და შემოქმედების ნაყოფს, ხალხის გულში კი ულევ სიხარულსა და სიყვარულს.

დღეს შენი დაბადების დღეა. მწუხარენი და დაბნეულნი უშენოდ პირველად ვხვდებით 10 თებერვალს. გვიჭირს და გვიმძიმს უშენობა, როგორ მოვიქცეთ, რა გავაკეთოთ, როგორ აღვნიშნოთ ეს დღე? შენს გარეშე ჩვენთან არაფერი მნიშვნელოვანი არ კეთდებოდა. გვიფრთხილდებოდი, გვეფერებოდი, ბევრის ლხინსა და სადარდებელს იტევდა შენი მგრძნობიარე გული. ამიტომაც უთქმელად, უსაყვედუროდ დაგვტოვე წარსულთან, მომავლის ნუგეშად კი ცრემლი და გლოვა დაგვიტოვე. საუბარს შენს სურათთან განვაგრძობთ. სათქმელი ლოცვებად გვიქცია – უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და სასუფეველი დაგიმკვიდროს.

ვაი, რომ ამ ტკივილს დრო ვერ მოერევა.

ოჯახი.

შვილები რეზო, ლევან, თენგიზ ღლონტები, რძლები ლია ბელელაძე, ლენა ღლონტი, მზიული ერისთავი, ნათელა მურმანიშვილი, ქსენია დოლიძე, თეა ახალაძე, შვილიშვილები კახა, ლაშა, მაია, ნატო, ანა ღლონტები, შვილთაშვილები ვალერი, ლევანი, გიორგი, ელენე, ანა, დისწული ირა ბაქუნაშვილი, ბიძაშვილი მართა მგელაძე, სიძეები მალხაზ ჟორდანია, თამაზ იმნაიშვილი, ძმისწულები გიორგი, დავით, ქეთევან, ეკა, რუსუდან, თამაზ ბერიძეები, ნუნუ, ალბერტ მახარაძეები, მაზლიშვილები ვახტანგი, ნათელა, თამაზი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარგალიტა გიორგის ასული ბერიძე-ღლონტი

პანაშვიდი 11, 12 II, 5 სთ., დაკრძალვა 13 II, 3 სთ., ბათუმი, რუსთაველის ქ. № 11.

ხსოვნა

მიხეილ ჩიხლაძე

გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, შრომის ვეტერანი **მიხეილ თეოფანეს ძე ჩიხლაძე.**

დაიბადა 1908 წელს ხონის რაიონის სოფელ გორდში, დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში, ხოლო 1925 წელს დაამთავრა ქუთაისის პირველი რეალური სასწავლებელი – საშუალო განათლების ატესტატით.

1927 წელს შევიდა და 1931 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი – ჰიდროელექტრიკოსის სპეციალობით.

1932-34 წლებში მუშაობდა „ელექტროენერგიის“ სისტემაში, ხოლო 1934-1941 წლებში – „საქენერგიის“ სისტემაში რიგითი ინჟინრიდან დაწყებული დირექტორამდე.

1941-42 წლებში იყო კავკასიის „ელექტრომონტაჟმშენის“ უფროსად.

1942 წლის მარტში დაინიშნა საქართველოს „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ, ხოლო 1951 წლიდან 1972 წლამდე ამავე სამმართველოს უფროსად და ამ სამმართველოს ბაზაზე შექმნილი სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა.

1972-77 წლებში იყო საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.

ბატონი მიხეილი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ჩვენგან წავიდა ერის ღირსეული შვილი, მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ახლობელთა და მეგობართა გულებში.

განათლების სამინისტრო; დაწყებითი პროფესიული განათლების დეპარტამენტი; მეგობრების ჯგუფი.

ბიძინა ერისთავი

ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა სს „საქწყალპროექტის“ ენერგეტიკის განყოფილების უფროსი, მელიორაციის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერ-ენერგეტიკოსი **ბიძინა ივანეს ძე ერისთავი.**

უდროოდ წავიდა ჩვენგან ღირსეული მოქალაქე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, შესანიშნავი მეგობარი, თბილი, სიკეთით სავსე, უღალატო კაცი, რომელიც ყოველი ჩვენგანის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა.

ბიძინა ერისთავი დაიბადა 1930 წლის 26 თებერვალს. 1954 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-საინჟინრო ელექტრომექანიკური ფაკულტეტი, რომლის დამთავრების შემდეგაც მუშაობდა ქ. გორკის „პერვომაისკის“ შახტში მექანიკოსად, „ტყიბულნახშირში“ ელექტრომექანიკური სახელოსნოს ოსტატად, ხოლო 1956 წლიდან თავისი პროფესიული საქმიანობის ოთხ ათეულ წელზე მეტი მთლიანად დაუკავშირა საქართველოში წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის განვითარების საქმეს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოში არ განხორციელებულა მცირე თუ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სამელიორაციო ობიექტის მშენებლობა, რომლის დაპროექტებაშიც მას არ მიეღოს უშუალო მონაწილეობა, როგორც სამელიორაციო სისტემების ელექტრომომარაგების საკითხების დამუშავების უშუალო შემსრულებელსა და ხელმძღვანელს.

მისმა მაღალმა პროფესიულობამ განაპირობა ის, რომ 1973-1974 წლებში მივლინებული იყო ერაყში, ხოლო 1978-1979 წლებში სირიის არაბთა რესპუბლიკაში, სადაც იგი მონაწილეობდა ამ ქვეყნების წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების სქემების შედგენაში.

ბიძინა ერისთავის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მრავალრიცხოვანი მეგობრების, ახლობლებისა და კოლეგების გულში.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა, ჩვენო ბიძინა, სასუფეველი დაგიმკვიდრდეს და ნათელი დაადგეს შენს ხსოვნას.

ს/ს „საქსახწყალპროექტი“; მელიორაციის სახელმწიფო ინსპექცია; მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტი; რესპუბლიკური გაერთიანება „წყალმშენი“; წყალეკოლოგიის ინსტიტუტი.

ეთერ პაპაშვილი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კოლექტივს გამოაკლდა ღირსეული წევრი, შესანიშნავი მუსიკოსი და პიროვნება, საქართველოს დამსახურებული არტისტი, პროფესორი **ეთერ დავითის ასული პაპაშვილი.**

ე. პაპაშვილი დაიბადა 1920 წელს თბილისში, 1944 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილება პროფესორ ანასტასია ვირსალაძის ხელმძღვანელობით. მისი საშემსრულებლო და პედაგოგიური მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა ჩვენს მთავარ მუსიკალურ სასწავლო დაწესებულებას. 1944-1959 წლებში იგი მუშაობდა პიანისტ-კონცერტმეისტერად (სიმებიან საკრავთა კათედრაზე), ხოლო 1959 წლიდან გარდაცვალებამდე – საკონცერტმეისტერო ოსტატობის კლასის პედაგოგად. პედაგოგიურ მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის ქალბატონ ეთერს მინიჭებული ჰქონდა პროფესორის წოდება. მრავალი წლის მანძილზე იგი მუშაობდა, აგრეთვე, თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში და სხვა სასწავლო დაწესებულებებში.

1969 წლიდან ე. პაპაშვილი მიავლინეს ეგვიპტეში, ქ. კაიროს კონსერვატორიაში, სადაც ნაყოფიერად იმუშავა 4 წლის განმავლობაში.

თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ქალბატონმა ეთერმა აღზარდა მრავალი ცნობილი მუსიკოსი-პიანისტი და მომღერალი, რომლებიც ამჟამად წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოსა და უცხოეთში. მაღალ პროფესიულ კულტურასთან და შრომისმოყვარეობასთან ერთად იგი შესანიშნავი ადამიანური თვისებებით იყო დაჯილდოებული და მთელი კოლექტივის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ჩვენს გულში მარად იცოცხლებს სათნო ქალბატონის, მშვენიერი ქართველი მანდილოსნის, შესანიშნავი მუსიკოსის ეთერ პაპაშვილის ხსოვნა.

საქართველოს კულტურის სამინისტრო; თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ქართული სამუსიკო გიმნაზია.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს სასაზღვრო ჯარების ყოფილ თანამშრომელს, თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სარდლის პირველ მოადგილეს, პოლკოვნიკ რამაზ ლურსმანაშვილს დედის

ლიუბა ლურსმანაშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი – შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები –
„საქართველოს
რესპუბლიკის“
ჟურნალისტები

ნომრის მორიგე
რედაქტორი
რუსლან
რუსია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება —
ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.